მაგნიუმის გარევეული რაოდენობა დაკავშირებულია კალციუმსა და ფოსფორთან და ქმნის კომპლექსურ ნაერთებს ძვლებში. გვხვდება ექსტრაცელულარულ სითხეშიც. კალციუმის საწინააღმდეგოდ მაგნიუმის რაოდენობა უჯრედში მეტია, – ვიდრე უჯრედ გარეთა სითხეში. მაგნიუმის იონი მონაწილეობს კუნთის შეკუმშაბში და მრავალი ფერმენტის აქტივატორია. მაგნიუმი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ფერმენტების შენებაში, განსაკუთრებით იმ ფერმენტებისა, რომლებიც ჩართულია ნახშირწყლების მეტაბოლიზმში. მაგნიუმის დეფიციტი ვითარდება ალკოჰოლიზმისა და ზოგიერთი შარდმდენის გამოყენებისა და მეტაბოლური აციდოზის დროს. Mg^{2+} -ის დეფიციტის ძირითადი სიმპტომებია: სისუსტე, კანკალი და გულის არითმია. მაგნიუმის დამატება ხელს უწყობს თირგმელებში კალციუმის ოქსალატის კენჭების ჩამოყალიბების თავიდან აცილებას. ასევე ამცირებს არტერიული სისხლის წნევას. არსებობს უცუდამოკიდებულება საკვებით Mg^{2+} -ის მიღებასა და ინსულტის რისკს შორის. მაგნიუმი ერთგვარ ანტაგონიზმს ჩენს კალციუმის მიმართ. ალდოსტერონი აძლიერებს მაგნიუმის გამოდევნას ორგანიზმიდან შარდთან ერთად მაგნიუმის კათიონი ცენტრალური იონია უმნიშვნელოვანესი ლითონპრიფირინის ქლოროფილის კლასტერში, სადაც მაგნიუმი აზოტის თხს ატომთან არის დაკავშირებული. ქლოროფილის მონაწილეობით მიმდინარეობს ფოტოსინთეზი. მზის ენერგიის ხარჯზე მიღება ნახშირწყლები [4].

გოგირდი ცხოველურ უჯრედში წარმოდგენილია ან როგორც ორგანული გოგირდი, ან დაკავშირებულია ორგანულ რადიკალებთან. ორგანულ რადიკალებში გოგირდი წარმოდგენილია სულფატიდრიდის ან სულფატ-ანიონების სახით. ორგანული გოგირდი მონაწილეობას იღებს მრავალი ნაერთის შენებაში. ეს ნაერთებია ლიპოის მჟავა კოენზიმი, ქონდრიოლტინის მჟავა, ამინომჟავები: ცისტეინი და მეთიონინი, ცისტეინის გარდა ქმნის პროდუქტი ტაურინი, ტრიპეპტიდი, გლუტათიონი, ჰორმონი ინსულინი და სხვა. უჯრედისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სულფატიდრიდის ჯგუფებს (-SH), რომლებიც მონაწილეობს უანგვა-ალდგენით პროცესში. ალდგენილი გოგირდი სულფატიდრიდის ჯგუფების სახით მონაწილეობს სხვადასხვა ცილების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში [3].

ქლორი ორგანიზმში უმთავრესად ნატრიუმის ქლორიდის ან სხვა ქლორიდების სახითაა წარმოდგენილი და ნატრიუმთან ერთად ერთ-ერთი მთავარი ელექტროლიტია სისხლის პლაზმის ოსმოსური წნევის რეგულაციის განხორციელებაში. ქლორის იონის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კუჭის წვენში მარილმჟავას წარმოქმნა. აგრეთვე ქლორის იონი ზოგი ფერმენტის (პეპსინი, ამილაზა) აქტივატორია. ქლორის მიღება ძირითადად ხდება სუფრის მარილის სახით და გამოიყოფა შარდში მავნე ნატრიუმის ქლორიდის სახით. ქლორის შემცველობა, ნატრიუმის მსგავსად, ექსრაცელულარულ სითხეში უფრო მეტია, ვიდრე – უჯრედში. საერთოდ ქლორისა და ნატრიუმის ცვლილებები პარალელურად მიმდინარეობს [5].

ნახშირბადი შედის ადამიანის ორგანიზმის ყველა ქსოვილისა და უჯრედის შემადგენლობაში უმთავრესად ორგანული ნივთიერების სახით. ნახშირბადის არაორგანული ნივთიერებიდან სამედიცინო ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ნახშირბად (IV)-ის ოქსიდის, ნახშირმჟავას და მის მარილებს [6].

ორგანიზმში არსებული იოდის უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ფრისებრ ჯირკვალში. ადამიანის ორგანიზმში გვხვდება დაახლოებით 50 მგ იოდი, აქედან 30–40 მგ შედის ფარისებრ ჯირკვალში. სისხლის პლაზმაში იოდის კონცენტრაცია უმნიშვნელოა – 10 მკგ 100 მლ სისხლში. სადღეადმისო მოთხოვნა იოდზე შეადგენს 0,2 მგ-ს. მოთხოვნილება იოდზე შეიძლება გაზარდოს: ჩიყვის, ორსულობის დროს და მოზარდებში. იოდის მოხვედრა ორგანიზმში ხდება საკვები პროდუქტებით და სასმელი წყლით (კალიუმის და ნატრიუმის იოდიდების სახით). ფარისებრ ჯირკვალს უნარი აქვს სისხლიდან და სხვა ქსოვილებიდან იოდიდონის კონცენტრირება მოხდინის. ფარისებრ ჯირკვალში პეროქსიდაზას მოქმედებით იოდის იონი იუნგება. ამ გზით მიღებული თავისუფალი იოდი ჩაერთვება თირეოდელი ჰორმონების (T₃ და T₄) ბიოსინთეზში. ეს ჰორმონები მოქმედებენ ზრდასრულთა ბაზალურ მეტაბოლურ სიჩქარის რეგულირებაზე და ბავშვთა ზრდასა და განვითარებაზე. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულები ამოვსებულია სპეციფიკური ცილით, რომელსაც იოდთირეოგლობულინი ეწოდება. ამ ცილის პროტოლიზური დაშლა ხდება საჭიროების შემთხვევაში და გამოთავისუფლებული ჰორმონები გადადიან სისხლში [4,5].

გავითვალისწინეთ რა კალციუმის, მაგნიუმის, გოგირდის, ნახშირბადის, ქლორისა და იოდის მნიშვნელობა, ადამიანის, ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სასიცოცხლო პროცესების წარმართვაში, ჩენი კვლევის მიზნად დაგისახეთ შეგვესწავლა Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და I^- იონების შემცველობა ზესტაფონის რაიონის მეორე სკორის მტკნარ წყლებში. საკითხის აქტუალობა

მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ წყლებში პირველად იქნა განსაზღვრული ზემოთ დასახელებული იონების შემცველობა, რისთვისაც შეირჩა მგრძნობიარე მეთოდები.

ჩვენს საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ათი წყაროს წყალი. წყაროთა ამოსასვლელები ერთმანეთისაგან 400–500 მ–ით არის დაშორებული. კვლევას ვატარებდით ნიმუშის აღებიდან ხუთი დღის შემდეგ. მაგნიუმისა და კალციუმის იონები ამ წყლების წამყვანი კათიონია.

სულფატ იონები განსაზღვრული იქნა გრავიმეტრული მეთოდით, რისთვისაც განსასაზღვრავი იონები ილექტოდა ბარიუმის ქლორიდის ნაჯერი ხსნარით. ნალექს ვაყოვნებდით დედახსნართან ერთად 1–2 საათის განმავლობაში. შემდეგ იფილტრებოდა, ირეცხბოდა, შრებოდა და ვარვარებდა მუდმივ მასამდე და იწონებოდა. სულფატ იონების რაოდენობა დადგენილი იქნა რეაქციის პროდუქციის მასის მიხედვით [7].

მაგნიუმი და კალციუმი ისაზღვრებოდა ტრილონომეტრიული მეთოდით, რომელიც ემფარება ტიტრანტად ტრილონ ნ–ს გამოყენებას. მაგნიუმისა და კალციუმის განსაზღვრისათვის ინდიკატორად ვიყენებდით ერიოქრომშავს, ხოლო მაგნიუმის განსასაზღვრავად – ვიყენებდით მურექსიდს. ტრილონომეტრული მეთოდი მარტივი, სწრაფი, ზუსტი, ხელმისაწვდომი და კარგი განმეორებადობითაც ხასიათდება [8]. მაგნიუმისა და კალციუმის კომპლექსონომეტრული გატიტვრისას ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს Fe^{3+} იონები, რისთვისაც ჩვენ წინასწარ ჩავატარეთ ათივე წყაროს წყლებისათვის თვისებითი რეაქცია Fe^{3+} –ის იონის აღმოსაჩენად ამონიუმის როდანიდის გამოყენებით. Fe^{3+} –ის იონები როდანიდ იონებთან იძლევა წითელი ფერის ნაერთს – $\text{Fe}(\text{SCN})_3$. თვისებითი რეაქციით დადასტურდა, რომ რკინა(III)–ის იონების შემცველობა საანალიზო წყლებში აღმოსაჩენ მინიმუმზე უფრო მცირეა. ასევე არ დადასტურდა სპილენდ(II)–ის იონების არსებობა საანალიზო წყლებში ამიაკის კონცენტრირებული წყალხსნარის ჭარბად დამატებისას. ამიაკი სპილენდ(II)–ის იონთან წარმოქმნის მუქი ლურჯი ფერის სპილენდის ამიაკურ კომპლექსს $[\text{Cu}(\text{NH}_3)_4]^{2+}$ ანალიზის მსვლელობისას ზუსტად ვიცავდით ხსნარის pH–ს. მაგნიუმი ისაზღვრებოდა ნეიტრალურ არეში, ხოლო კალციუმი ისაზღვრებოდა pH=12,5–ზე, რადგანაც ტუტე გარემოში მაგნიუმი წარმოქმნის ჰიდროქსიდს, რომელიც ილექტა. მაგნიუმი სრულად ინიტება და ვერ ახდენს ხელშემშლელ გავლენას კალციუმის განსაზღვრაზე.

ჰიდროკარბონატ იონები განსაზღვრული იქნა აცილიმეტრული მეთოდით. ინდიკატორად ვიყენებდით მეთოლნარინჯს. საკვლევი წყლის ნიმუში იტიტრებოდა მარილმჟავას ტიტრიანი ხსნარით. ვითვლიდით ტიტრაციაზე დახარჯულ ტიტრატების რაოდენობას. დახარჯული ტიტრანტის რაოდენობა ექვივალენტურია HCO_3^- –ის იონების რაოდენობისა წყაროს წყლებში [8]. შემდეგ ვახდენდით მათემატიკურ დამუშავებას.

ქლორიდ იონები განსაზღვრული იქნა დალექვითი – არგენტომეტრული მეთოდით. საანალიზო წყაროს წყლებს ვტიტრავდით ვერცხლის ნიტრატის ტიტრანტით, 1–2 წვეთი 10%–იანი კალიუმის ქრომატის თანაბიძისას, მოწითალო ფერის წარმოქმნამდე. საანალიზო ხსნარში არსებული ქლორიდ იონები ექვივალენტურია ტიტრაციაზე დახარჯული ტიტრანტის მოცულობისა [9].

იოდ იონები ისაზღვრებოდა რეზნიკოვის მეთოდით. საანალიზოდ აღებულ წყაროს წყლებს ვამჟავებდით გოგირდმჟავას ხსნარით და ვუმატებდით 20–25 წვეთ ახლად დამზადებულ ბრომიან წყალს. ჭარბი ბრომის მოსაცილებლად ვაცხელებდით კოლბას შიგთავსით ქვიშის აბაზანაზე. შემდეგ ვუმატებდით სალიცილის მჟავას სპირტხსნარს ბრომის კვალის მოსაცილებლად. ინდიკატორად ვიყენებდით 0,5%–იან სახამებელს, საკვლევ ხსნარს, ვუმატებდით კალიუმის იოდიდის წყალხსნარს და ვაფოვნებდით სიბნელეში და ვტიტრავდით მიკრობიურეტიდნ ნატრიუმის თიონსულფატის ხსნარით. ვტიტრავდით გაუვერულებამდე [10].

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის წყაროს წყლებში Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და Γ იონების განსაზღვრის ექსპერიმენტული შედეგები წარმოდგენილია ცხრილ №1–ში.

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის წყაროების წყლები დაბალმინერალიზებულია (0,13–0,45მგ/ლ), რის გამოც მათი ერაქცია თითქმის ნეიტრალურია (pH 5,73–6,5).

ჩვენ მიერ შესწავლი ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მტენარ წყლებში Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და Γ იონების შემცველობა ცვალებადია.

მაგნიუმის იონებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ბოჭორიშვილებისა და მთვარისას წყარო 11,21 მგ/ლ და 7,25 მგ/ლ. მცირე რაოდენობით მაგნიუმის იონებს შეიცავს ხიდაშლების და ლომინაშვილების წყარო 0,84 მგ/ლ და 0,92 მგ/ლ-ში.

ცხრილი 1. Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და Γ იონების შემცველობა ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის წყაროს წყლებში

| N | წყაროს დასახელება | pH | შშრალი ნაშთი გ/ლ-ში | მგ/ლ-ში | | | | | მკგ/ლ-ში |
|----|-------------------|------|---------------------|-----------|-----------|-------------|-----------|--------|----------|
| | | | | Mg^{2+} | Ca^{2+} | SO_4^{2-} | HCO_3^- | Cl^- | |
| 1 | ბოჭორიშვილების | 6,21 | 0,15 | 11,21 | 3,23 | 0,2012 | 7,08 | 2,08 | 0,61 |
| 2 | შაველას | 6,11 | 0,34 | 6,84 | 6,80 | 0,2022 | 6,00 | 1,64 | 0,66 |
| 3 | მთვარისას | 6,15 | 0,13 | 7,25 | 7,21 | 0,1214 | 7,42 | 0,84 | 0,19 |
| 4 | მთის | 5,73 | 0,28 | 0,84 | 4,44 | 0,0411 | 4,63 | 0,46 | 0,15 |
| 5 | ნოდარის | 6,18 | 0,45 | 2,83 | 4,85 | 0,0819 | 5,64 | 2,32 | 0,35 |
| 6 | ხიდაშლების | 5,82 | 0,06 | 1,10 | 1,16 | 0,1624 | 1,08 | 0,43 | 1,65 |
| 7 | ცხადაძეების | 6,56 | 0,17 | 3,62 | 6,00 | 0,1645 | 2,46 | 0,75 | 0,42 |
| 8 | ბრეგოულას | 5,78 | 0,39 | 5,21 | 8,01 | 0,2801 | 7,37 | 3,64 | 1,42 |
| 9 | ჯუღელების | 5,97 | 0,16 | 6,80 | 7,64 | 0,2037 | 7,69 | 0,87 | 0,44 |
| 10 | ლომინაშვილების | 5,98 | 0,18 | 0,92 | 1,62 | 0,0828 | 1,68 | 0,90 | 0,93 |

კალციუმის იონებს დიდი რაოდენობით შეიცავს მთვარისასა და ჯუღელების წყარო შესაბამისად 7,21 მგ/ლ და 7,64 მგ/ლ-ში. კალციუმის იონს ყველაზე მცირე რაოდენობით შეიცავს ხიდაშლებისა და ლომინაშვილების წყარო 1,16 მგ/ლ და 1,62 მგ/ლ-ში.

სულფატ იონებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ბრეგოულასა და ჯუღელების წყარო 0,2801 მგ/ლ და 0,2037 მგ/ლ-ში, ხოლო მთისა და ნოდარის წყარო სულფატ იონებს შეიცავს მცირე რაოდენობით 0,0411 მგ/ლ და 0,08 მგ/ლ-ში.

ჰიდროკარბონატ იონებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს მთვარისასა და ჯუღელების წყარო 7,42 მგ/ლ და 7,69 მგ/ლ-ში, მცირე რაოდენობით, ჰიდროკარბონატ იონებს შეიცავს ლომინაშვილებისა და ხიდაშლების წყარო 1,368 მგ/ლ და 1,08 მგ/ლ-ში.

ქლორიდ იონებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ბროგეულასა და ნოდარის წყაროს წყალი 3,64 მგ/ლ და 2,32 მგ/ლ-ში. ხოლო მცირე რაოდენობით ქლორიდ იონებს შეიცავს ხიდაშლებისა და მთის წყარო 0,43 მგ/ლ და 0,46 მგ/ლ-ში.

მიდიდ იონებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ხიდაშლებისა და ბრეგოულას წყარო 1,65 მკგ/ლ და 1,42 მგ/ლ-ში, ხოლო მიდიდ იონებს ყველაზე მცირე რაოდენობით შეიცავს მთვარისასა და მთის წყარო 0,19 მგ/ლ და 0,15 მგ/ლ-ში.

ამრიგად, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის წყაროების წყლებში პირველად იქნა განსახლვრული Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და Γ იონების შემცველობა ქიმიური მეთოდებით. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ზემოთ დასახელებული იონების კონცენტრაცია პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული წყლების pH-თან და უკუპროპორციულია მათი მინერალიზაციისა.

შესწავლილ წყლებში Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- და Γ იონების შემცველობა ნორმის ფარგლებშია და მისი გამოყენება სასტატის თვალსაზრისით მიზანშეწონილია..

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია [4,5]. თბილისი. 1988
2. ი. პრივეზენცევი, მტკნარი წყალსატევების ჰიდროქიმია, თბილისი., 1990.
3. ნ. კოშორიძე, ქ. მენაბდე, ფუნქციური ბიოქიმია. თბილისი., 2009.

4. ქ. დევლინი, ბიოქიმია კლასიკური კოლერაციებით, თბილისი., 2008.
5. ა. ბოლქვაძე, ბიოქიმია, თბილისი., 1999.
6. ო. გაბრიელიძე, ბ. არზანი სამედიცინო ქიმია, თბილისი., 2003.
7. გ. სუპატაშვილი, რაოდგნომითი მნალიზი, თბილისი., 1992.
8. იუ. ია. ხარიტონოვ, ანალიტიკა, მოსკოვი., 2005.
9. ვ.პ. ვასილევ, ანალიტიკური ქიმია, მოსკოვი., 1989.
10. დ. ა. რეზნიკოვ, ე.მ. მულაკოვსკა, ი. იუ. სოკოლოვ., მეთოდები მუდმივი წყალის ანალიზისთვის. მოსკოვი., 1970.

DETERMINATION OF Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- AND J^- IONS IN SPRING WATERS OF THE VILLAGE MEORE SVIRI, ZESTAPONI DISTRICT

Manuchar Kikalishvili, Salome Jugheli
Trilonometry, repeatability, gravimetric analysis
Akaki Tsereteli State University, Kutaisi

SUMMARY

For the first time it was studied the content of Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- and J^- ions in spring waters of the village Meore Sviri, Zestaponi District. Relatively simple and rapid methods of chemical analysis, distinguished by high repeatability were implemented. Namely, the trilonometric method was applied for determination of Mg^{2+} and Ca^{2+} ions, gravimetric analysis for SO_4^{2-} , argentometry for HCO_3^- , acid-base titration for Cl^- , and Reznikov's method for J^- ions. As a result of the experiment it was established that the spring waters are characterized by low salinity (0,13 – 0,45 mg/l) and neutral pH (5,73 – 6,5). The concentration of abovementioned ions in the water samples were within the normal range.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ИОНОВ Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- И J^- В РОДНИКОВЫХ ВОДАХ СЕЛА МЕОРЕ СВИРИ ЗЕСТАФОНСКОГО РАЙОНА

Манучар Кикалишвили, Саломе Джугели
Кутаисский Государственный Университет им. А. Церетели

РЕЗЮМЕ

Впервые было определено содержание ионов Mg^{2+} , Ca^{2+} , SO_4^{2-} , HCO_3^- , Cl^- и J^- в родниковых водах села Меоре Свирь Зестафонского района. Были использованы относительно простые и быстрые химические методы, характеризующиеся высокой повторяемостью. Содержание ионов магния и кальция было определено трилонометрическим методом, SO_4^{2-} – методом гравиметрии, HCO_3^- – методом аргентометрии, Cl^- – методом ацидометрии, а ионы J^- – методом Резникова. На основе эксперимента установлено, что изучаемые родниковые воды характеризуются низкой минерализацией (0,13 – 0,45 мг/л) и вследствие этого, практически нейтральной реакцией (рН 5,73 – 6,5). Содержание вышеперечисленных ионов находится в пределах нормы.

სამმაგი შეღენილობის მქონე MoNbB კომპოზიციური უხველის მიღების ტექნოლოგია იონური ნალჯობებიდან

მარინე ხუციშვილი, სერგო გასვიანი, ცისანა გაბისონია, ნინო მაისურაძე

ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რ.აგლაძის არაორგანული ქმითი და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მრავალმხრივი უქსერიმენტის საფუძველზე, შესწავლით იქნა სამმაგი კომპოზიციური ფხვნილის $MoNbB$ ელექტროქიმიური სინთეზის ტექნოლოგია $KCl-KF-Na_2MoO_4 - Nb_2O_5 - B_2O_3$ თუნერი ნალღობიდან. სტაციონარული ელექტროლიზის პირობებში, პროცესის ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, მიღებული იქნა $MoNbB$ კომპოზიციური ფხვნილი.

პრაქტიკული და ტექნოლოგიური გამოყენების თვალსაზრისით მეტად აქტუალურია სამმაგი შეღენილობის მქონე მნელადლღობადი ლითონების (Mo , Nb , Ta) შემცველი კომპოზიციური ფხვნილები: $MoNbB$; $MoNbB_2$ და სხვ.

კომპოზიციური მასალები ძირითადად გამოიყენებიან როგორც მაღლებირებელი საშუალება მაღალტემპერატურულ რეჟიმებზე მომუშავე სხვადასხვა მოწყობილობების დეტალების ლეგირებისათვის, აგრეთვე როგორც ანტიკორიზოული საშუალება. შრომებში [1, 2] მოცემულია ბორის შემცველი სამმაგი ნაერთები: Mo_2FeB_4 , Mo_2CoB_4 , Mo_2CoB_2 ; Mo_2NiB და $CrNiB_4$ და შესწავლილია მხოლოდ აღნიშნულ ნაერთთა სტრუქტურა.


ჩვენს მიერ შესრულებული კვლევები ეხება $MoNbB$ და $MoNbB_2$ ფხვნილთა მიღებას იონური ნალღობებიდან. შერჩეულ კომპონენტთა Mo , Nb , B -ის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით და კინეტიკურ კვლევებზე დაყრდნობით, დავადგინეთ $KCl-KF$ ფონური ნალღობიდან მათი ერთობლივი ელექტროქიმიური აღდგენის შესაძლებლობა პოტენციოსტატიკურ რეჟიმში, რამაც საშუალება მოგვცა $KCl-KF-Na_2MoO_4-Nb_2O_5-B_2O_3$ ნალღობიდან განგვეხორციელებინა $MoNbB$ -ის კომპოზიციური ფხვნილის სინთეზის ტექნოლოგიური მხარე [3].

ექსპერიმენტს ვატარებდით შახტური ტიპის ღუმელში, სტაციონარული ელექტროლიზის პირობებში, ისეთი ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორიცაა: ელექტროლიზის ტემპერატურა, დენის სიმკვრივე, მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციები და ელექტროლიზის ხანგრძლივობა.

შახტური ტიპის ღუმელებში ჩადგმული გვერდა მაღალტემპერატურული ელექტროქიმიური უჯრედი (სურ. 1). ელექტროლიზერში პროცესის ტემპერატურას ვცვლიდით 973-1023 K-ის ზღვრებში. დენის კათოდური სიმკვრივის D კათ. მორეაგირე კომპონენტთა კონცენტრაციების, ელექტროლიზის ხანგრძლივობის τ_{st} სიდიდეთა ცვლილებით და მრავალჯერადი ექსპერიმენტების საფუძველზე დაგვინეთ $MoNbB$ და $MoNbB_2$ -ის ფხვნილთა სინთეზის ტექნოლოგიის ოპტიმალური პარამეტრები (ცხ. 1).

გაღვანოსტატიკური ელექტროლიზის შედეგად, კათოდზე გამოიყოფა მოლიბდენის, ნიობიუმის, ბორის წვრილდისპერსული ფხვნილი. მიღებული პროდუქტის შედგენილობის დადგენამდე, ვაშრობდით ფხვნილის გამოშრობას $100-120^{\circ}C$ ტემპერატურაზე საშრობ ღუმელში, რის შედეგადაც წვრილდისპერსულ ფხვნილს გადაკეცმდით საანალიზოდ. რენტგენოფაზური ანალიზის საფუძველზე იკვეთებოდა $MoNbB$ სტრუქტურა.

მოლიბდენ-ნიობიუმ-ბორის კომპოზიციურ ფხვნილთა სინთეზი იონური ნალღობებიდან, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, არის ბევრად ხელსაყრელი სხვა მეთოდებით შედარებით [3]. $MoNbB$ და $MoNbB_2$ -ის წვრილდისპერსული ფხვნილები გამოირჩევან მდგრადი თერმო, ცვეთა და კოროზიამედეგობით.



სურ. 1. მაღალტემპერატურული ელექტროქიმიური უჯრედი:
1. ჭიქა; 2. მინა-გრაფიტის ტიგელი; 3. სახურავი; 4. საცობი; 5. ჩამტვირთავი მოწყობილობა;
6. მუშა ელექტროდი; 7. დენძიმყვანები

ცხრილი 1. MoNbB მიღების ოპტიმალური პარამეტრები

| მაგალითი | პროცესის ჩატარების პირობები $\tau=1$ სთ | | | პროცესის ზაფრიანი შემაღებილობა მას % | ფხვნილის ზედაპირის ფასალებელობა $\theta^2/\text{გრ}$ |
|----------|-----------------------------------------|-------------------------------|------------------------------------------|-----------------------------------------|---------------------------------------------------------------|
| | ელექტროლიტის შემაღებილობა მას % | ელექტროლიზის ტემპერატურა K | დენძის სიმკვრივე ა/სმ ² | | |
| 1 | KCl | 40 | 973 | 1.0 | MoNbB Nb, Mo |
| | KF | 40 | | | |
| | Nb ₂ O ₅ | 8.0 | | | |
| | B ₂ O ₃ | 5.0 | | | |
| | Na ₂ MoO ₄ | 7.0 | | | |
| 2 | KCl | 41 | 1023 | 0.5 | MoNbB |
| | KF | 41 | | | |
| | Nb ₂ O ₅ | 6.0 | | | |
| | B ₂ O ₃ | 7.0 | | | |
| | Na ₂ MoO ₄ | 5.0 | | | |
| 3 | KCl | 42 | 993 | 0.5 | MoNbB Mo |
| | KF | 42 | | | |
| | Nb ₂ O ₅ | 6.5 | | | |
| | B ₂ O ₃ | 5.5 | | | |
| | Na ₂ MoO ₄ | 4.0 | | | |
| 4 | KCl | 41.5 | 1023 | 1.5 | MoNbB Nb |
| | KF | 41.5 | | | |
| | Nb ₂ O ₅ | 7.5 | | | |
| | B ₂ O ₃ | 5.0 | | | |
| | Na ₂ MoO ₄ | 4.5 | | | |
| 5 | KCl | 40.5 | 1023 | 1.0 | MoNbB |
| | KF | 40.5 | | | |
| | Nb ₂ O ₅ | 6.5 | | | |
| | B ₂ O ₃ | 5.5 | | | |
| | Na ₂ MoO ₄ | 7.0 | | | |

კოროზიამედუგობაზე გამოცდას ვატარებდით NaCl-ის 20%-იან წყალსნარში ხანგრძლივი დროით. ასევე სხვადასხვა pH-ის მქონე H₂SO₄-ის ხსნარში, 24 სთ-ის განმავლობაში ღია ატმოსფერულ პირობებში [4] ფხვნილები გამოვცადეთ თერმომედუგობაზე 200-500°C ტემპერატურულ ზღვრებში 24-200 სთ განმავლობაში. ვაზუალურმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ შემოთავაზებული ტექნოლოგიით, სინთეზირებული კომპოზიციური ფხვნილები MoNbB, MoNbB₂ არიან მდგრადი მავნე გარემო პირობების მიმართ და არ არიან მიღრევილი კოროზიისადმი.

ამ ტექნოლოგიით მიღებული ფხვნილები გამოირჩევიან მაღალი მექანიკური სიმტკიცით, მდგრადი, გაუმჯობესებული კოროზიული მახასიათებლებით, რაც კიდევ უფრო ზრდის აღნიშნულ ფხვნილთა გამოყენების აუცილებლობას, როგორც მაღვირებული საშუალება ფოლადებში და ასევე ლითონებრუქციებში სხვადასხვა დეტალების ლეგირებისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Васько А.Т., Ковач С.К., «Электрохимия тугоплавких металлов» Киев, техника, 1983 г. стр. 126-129.
2. Самсонов Г.В., Марковский Л.Я. Жигач А.Ф., Валяшко М.Г. «Бор, его соединения и сплавы». изд. Акад. Наук, Укр. 1960 г.
3. m. xuciSvili, s. gasviani da sxi. eleqtroliti MoNbB kompoziciuri fxvnilis eleqtroqimiuri gziT miRebisATvis. saq. resp. patenti GEU13174, 2006 w.
4. Uihig's Corrosion Handbook. Practical Corrosion Prediction Using Electrochemical Techniques. Second Ed. 2000.

TECHNOLOGY OF ELECTROCHEMICAL SYNTHESIS OF MoNbB COMPOSITE POWDERS FROM IONIC MELTS

Marine Khutishvili, Sergo Gasviani, Tsisana Gabisonia, Nino Maisuradze
Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

On the basis of the many-sided experimental have been established possible Electrochemical synthesis of composite powders MoNbB, from KCl-KF-Na₂MoO₄-Nb₂O₅-B₂O₃ ionic metals. The main parameters of stationary electrolysis have been established, among which are: process temperature, current density, concentrations of reacting compounds. Composition of the products, prepared on the cathode, has been established by x-ray pattern analysis.

ТЕХНОЛОГИЯ ПОЛУЧЕНИЯ ТРОЙНОГО КОМПОЗИЦИОННОГО ПОРОШКА MoNbB ИЗ ИОННЫХ РАСПЛАВОВ

М.Ш.Хуцишвили, С.Г.Гасвиани, Ц.Д.Габисония, Н.Г.Майсурадзе
Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе
Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

На основе многих экспериментов была изучена возможность электрохимического синтеза тройного композиционного порошка MoNbB из ионных расплавов, KCl-KF-Na₂MoO₄-Nb₂O₅-B₂O₃. В условиях стационарного электролиза и по усмотрению основных параметров процесса, был получен композиционный порошок состава MoNbB.

ნაცომის აკოგანი TiO_2 პატალიზაციის სინთეზი

პაატა ნიკოლეიშვილი, რუსუდან კურტანიძე, ვალენტინა კვესელავა, გიგლა წურწუმია, გიორგი გორელიშვილი, ნანა ქოიავა


**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქმითისა და ელექტროენერგიის ინსტიტუტი**

ელექტროენერგია იმპულსური და მუდმივი დენის გამოყენებით ამონიუმის სულფატის, კლიცერინის და ეთოლებგლიკოლის ელექტროლიტებში, რომლებშიც დანამატის სახით შეტანილი იყო ამონიუმის ფტორიდი, სხვასხვა ძაბვაზე შესწავლილი და მიღებული იყო ნანოგანზომილების (150-250 ნმ) მიღებულების სტრუქტურის ძერნების დამსახურიდა.

ენერგიისადმი მოთხოვნილების მუდმივი ზრდის და ამავე დროს წიაღისეული ენერგომატარებლების გამოფიტვის გამო, მსოფლიო იმულებულია გამძაფრებული ყურადღება მიაქციოს ალტერნატიული ენერგომომარაგების ტექნოლოგიების განვითარებას. განახლებადი ენერგიების წყაროებიდან პერსპექტიულია მზის ენერგია მისი უსასრულობისა და გეოგრაფიულად შეუზღუდავი შესაძლებლობის გამო. მზე დედამიწაზე ასხივებს 100000 ტერავატ ენერგიას, რომელიც დაახლოებით 10000-ჯერ მეტია, ვიდრე დედამიწაზე ადამიანების მიერ წარმოებული ენერგია (13 ტერავატი). მზის ენერგიის გამოსაყენებლად საჭიროა ფოტოელემენტი, რომელიც ყოველგვარი შუალედური საფეხურის გავლისა და საზიანო გვერდითი პროდუქტის წარმოქმნის გარეშე უშუალოდ მზის ენერგიას ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის. ფოტოელემენტების წარმოების სრულყოფილ დანერგვას ხელს უშლის მისი სიღვირე და მზის ენერგიის გარდაქმნის დაბალი გამოსავალი. პირველი თაობის ფოტოელემენტებს სილიკონის საფუძველზე (მულტი კრისტალური სილიკონის სტრუქტურით) გააჩნიათ მზის ენერგიის გარდაქმნის 30%-ზე მეტი ეფექტურობა, მაგრამ სილიციუმის წარმოება მეტად ძვირია, რის გამოც ეს ტექნოლოგია არაკონკურენტუნარიანია [1,2].

მეორე თაობის ფოტოელემენტების დასამზადებლად იყენებენ სპილენბ-ინდიუმ-გალიუმს სელენიდის საფუძველზე. მესამე თაობის ფოტოელემენტებს - ორგანულ ფოტოვოლტაიტურ ელემენტებს შეუძლიათ წარმოქმნან ბევრად იაფი მზის ენერგია. ასეთი ელემენტები დაფუძნებულია ელექტროგამტარ პოლიმერებზე.

ბოლო დროს ინტენსიურად ვითარდებიან ფოტოელემენტები გარდამავალი ელემენტების ოქსიდების საფუძველზე თხევად ელექტროლიტში. ფოტოელექტროენერგიის დენის წყარო ძირითადად შეიცავს ნახევრად გამტარული თვისებების მქონე ფოტოანოდს, მეტალურ კათოდს და მჟავა, ტუტე ან ნეიტრალური გარემოს მქონე ელექტროლიტს. ფოტოანოდი დასხივების შემდეგ იძლევა ელექტრონებს (ē) და ხვრელებს (h^+), რის გამოც ანოდზე წარმოიქმნება ჟანგბადი, ხოლო კათოდზე გამოიყოფა წყალბადი:



ფოტოანოდურ მასალებიდან ერთ-ერთი პერსპექტიული კატალიზატორია ტიტანის დიოქსიდის (TiO_2) ნანონაწილაკები. სხვადასხვა მორფოლოგიის ნაწილაკებიდან TiO_2 -ის ნანომილაკები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. TiO_2 თავისი ელექტრული, თერმული, სტრუქტურული, კოროზიული და ოპტიკური თვისებების გამო ფართოდ გამოიყენება ფოტოელემენტებში, ფოტოკატალიზში, ლითიუმის ელემენტებსა და სენსორებში. TiO_2 -ში ელექტრონებისა და ხვრელების გენერაციისთვის (რეაქცია 5) საჭიროა 3.2 ელექტრონულტი (ēV) ენერგია, ამიტომ ულტრაინფორმირ გამოსხივების სპექტრში იგი ფოტოკატიურია. მზის სილული სპექტრის სხივებს გააჩნიათ 1.8-3.1 ēV-მდე ენერგია, მაგრამ TiO_2 -ის

სხვადასხვა ატომებით დოპირების შემთხვევაში იგი ფოტოაქტიური ხდება მზის გამოსხივების ხილულ სპექტრშიც:



TiO_2 -ის ნანომილაკების სინთეზი შესაძლებელია ჰიდროთერმული, სონოთერმული, ფიზიკური და ქიმიური აორთქლების და ელექტროქიმიური მეთოდების გამოყენებით. განსაკუთრებით საინტერესო TiO_2 ნანომილაკების სინთეზი ელექტროქიმიური ანოდირების მეთოდით. ეს მეთოდი არის იაფი და ძალზედ მარტივი. პროცესის პიტენციალის, ელექტროლიტის შედგენილობის, pH-ის, წყლისა და ფთორის იონის შემცველობის ცვლლება გავლენას ახდენს TiO_2 -ის ნანონაწილაკების მორფოლოგიაზე, მათ სიგრძეზე, დიამეტრზე, არქიტექტურასა და სხვა თვისებებზე [3].


ავტორების [4-8] მიერ დადგენილი იყო, რომ წყალსნარიან ელექტროლიტებში ნეიტრალური pH-ის დროს მიიღება გრძელი ზომის TiO_2 ნანომილაკები. მათ მიერ ასევე იქნა დადგენილი, რომ ორგანულ უწყლო გამხსნელებში მიიღება უფრო გლუვი არქიტექტურის მილაკები მაღალი მოწესრიგებულობის ხარისხით.

TiO_2 -ის ნანომილაკები ძირითადად მიღებულია Ti -ის ფირფიტის ან ფოლგის ზედაპირზე. თერმული დამუშავების ანუ კრისტალიზაციის შემდეგ ტიტანის ფირფიტაზე არსებული ოქსიდური ფენა გარდაიქმნება ანატაზად, ხოლო თავად ტიტანი - რუტილის კრისტალურ სტრუქტურად.

არსებობს ტიტანის ანოდირების სამი ძირითადი ეტაპი: ტიტანის ოქსიდირება ელექტრულ ველში (რეაქცია 6), Ti -ის გახსნა ელექტროქიმიური პროცესის შედეგად და მიღებული TiO_2 და Ti -ის ქიმიური გახსნა F^- იონების საშუალებით ნანოზომის მილაკების წარმოქმნით (რეაქცია 7) [9]:



TiO_2 -ის გახსნა F^- იონების საშუალებით ხორციელდება U ფორმის ხვრელების წარმოქმნით. ხვრელის ფსკერს გააჩნია მაღალი ელექტრული გამტარობა, ხოლო მისი კედლები, ოქსიდური ფენის გამო, პრაქტიკულად პასიურია. ხვრელის სიგრძე ანოდირების ხანგრძლივობასთან ერთად იზრდება. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია ტიტანის ანოდირების დროს წარმოქმნილი ოქსიდური ფენის სტრუქტურა F^- იონების არსებობის პირობებში და მის გარეშე.



ნახ. 1. ტიტანის ანოდირებისას წარმოქმნილი ოქსიდური ფენის სტრუქტურა: а) ფთორიდ იონების არსებობისას; б) ფთორიდ იონების გარეშე.

წყალსნარებში ანოდირების პროცესს ატარებენ მუდმივ ძაბვაზე 1-30 ვ და 5-150 ვ ფარგლებში ორგანული გამხსნელების გამოყენებისას, რომელიც ფთორიდ იონის შემცველობა მერყეობდა $0.05 \div 0.5\text{M}$ ზღვრებში ($0.1\text{-}1\%$). 0.05M -ზე ნაკლები კონცენტრაციისას $[\text{TiF}_6]^{2-}$ თითქმის არ წარმოქმნება, ამიტომ ტიტანის ოქსიდური ფენის დანაფარი მიღება კომპაქტური, ხოლო 0.5M -ზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევაში წარმოქმნილი TiO_2 მთლიანად ისნება და აღილი აქვს Ti -ის ელექტროპოლირებას.

TiO_2 ნანომილაკების ელექტროქიმიური სინთეზისთვის ანოდად იყენებენ ტიტანის ფირფიტას, კათოდად - პლატინას ან ტიტანს; ელექტროლიტად - ორგანულ ნივთიერებებს (გლიცერინი, დიმეთილსულფონისიდი, ეთანოლი და სხვა) ან არაორგანული მარილების და მჟავების წყალსნარებს

(H₃PO₄, HF, Na₂SO₄). ნებისმიერ შემთხვევაში ელექტროლიტი უნდა შეიცავდეს ფორმიდ იონს (NaF, NH₄F, HF).

ორგანულ გამხსნელებში F⁻ იონის გამოყენებას გააჩნია რიგი უპირატესობა. ავტორებმა [10] TiO₂-ის ნანომილაკების მისაღებად გამოიყენეს დიმეთილსუფონქსიდისა და ეთილენგლიკოლის (1:1) ელექტროლიტი და მიიღეს 2,3 მკმ სიგრძის ნანომილაკები. ავტორებმა [4] გლიცერინის ელექტროლიტში მიიღეს 7 მკმ სიგრძის ნანომილაკები. ავტორებმა [11] ჩაატარეს ცდები ეთილენგლიკოლის ელექტროლიტის გამოიყენებით, რომელშიც 1-3 მოც.% შეადგენდა წყლის შემცველობა და 0.1-0.5% NH₄F, Ti-ის ანოდირება მიმდენარებდა 17 სო-ის განმავლობაში 20, 40, 50, 60 და 65 კ ძაბვაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ ძაბვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა TiO₂-ის ნანომილაკების შიდა და გარე დიამეტრები და სიგრძე. ნანომილაკების ზრდის საშუალო სიჩქარე იყო 15 მგ/სთ. დადგნილია ასევე წყლის შემცველობა, რომელიც არ უნდა აღმატებოდეს 5%. ასეთ პირობებში მიიღება მაღალი ხარისხის მასალა. ორგანულ გამხსნელებში მიიღება უფრო გლუვი და მოწესრიგებული TiO₂-ის ნანომილაკები, რომლებიც მაღალი ფოტოკატალიზური აქტივობით გაძინორჩევან.

TiO₂ ნანომილაკების თერმულ დამუშავებას ახორციელებენ მისი ამორფული სტრუქტურის კრისტალურ ანატაზას ან რუტილში გარდასაქმნელად. TiO₂ ფოტოქიმიურად აქტიური ხდება 350°C-ზე ზემოთ დამუშავების დროს. ავტორებმა [12] ჩაატარეს TiO₂-ის თერმული დამუშავება 450, 600, 800 და 900°C-ზე. მათი მონაცემებით 450°C-ზე მიიღება სუფთა ანატაზას კრისტალური სტრუქტურა, 600°C-ზე - ანატაზას და რუტილის ნარევის კრისტალური სტრუქტურა, ხოლო 800°C-ზე - მაქსიმალურად გაზრდილი ზომის ანატაზას კრისტალები. ნონომილაკების დიამეტრი ზეგავლენას ახდენს კრისტალურ სტრუქტურაზე, 30 ნმ დიამეტრზე ნაკლები ზომის მიღავების კრისტალიზაციისას მოსალოდნელია მიღებულ იქნას რუტილი, ხოლო 30 ნმ-ზე მეტი - ანატაზას კრისტალური სტრუქტურა [13].

TiO₂-ის ნანომილაკების თვისებებზე ზემოქმედებას ახდენს ასევე გარემო, რომელშიც ხორციელდება კრისტალიზაცია. მაგალითად, ჰაერზე, აზოტსა და 5% წყალბად/აზოტში გამომწვრი დიოქსიდს გააჩნია ერთნაირ მორფოლოგია და ტოლი აკრძალული ენერგეტიკული ზონის სიგანე, მაგრამ განსხვავებული UV-აბსორბციის ფოტოდენის სიმკრივე, რომელიც ჰაერზე გამომწვრისათვის შეადგენს 0.27 მა/სმ², ხოლო წყალბადში - 0.6 მა/სმ² (რადგან მეტია ზედაპირული დეფექტი) [14].

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანი იყო სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ნანოგანზომილების ტიტანის დიოქსიდის მიღება შემდგომში მათი ელექტროქიმიური ქცევის და ფოტოლემენტებში ელექტროკატალიზური თვისებების შესასწავლად.


ექსპერიმენტული ნაწილი

ცდებში გამოყენებული იყო ქიმიურად სუფთა რეაგენტები: ეთილენგლიკოლი, გლიცერინი, NH₄F, (NH₄)₂SO₄, HF. წყალსხარები დამზადებული იყო გამოხდილი წყლით. ანოდის ტიტანის ფირფიტა იყო პირველი ხარისხის, რომლის პოლირება ხდებოდა სილიკონის საცხით, სხვადასხვა ხარისხის ზუმფარათი და ქეჩით.

ტიტანის ანოდირებისათვის აღებული იყო სხვადასხვა ქიმიკატების მიმართ მდგრადი ორგანული მინა, კერძოდ, ფოტორიც იონის მიმართ. ორგანულ ფირფიტაზე დამაგრებული ტიტანის ანოდი და კათოდი ფიქსირებული იყო ქიმიურ ჭიქაზე. გამმართველიდან ანოდის სადნი შეერთებული იყო ტიტანთან, ხოლო ამპერმეტრის გავლით კათოდური სადნი - კათოდთან (სურ. 1).

ანოდირების პროცესის ჩასატარებლად გამოყენებული იყო მულტიმეტრი TENMA 72-1020, 60-ამპერიანი გამმართველის 50 კ ძაბვის რეგულირების ფუნქციით; იმპულსური გამმართველი Singlent SDG, ულტრააბგერითი აბაზანა Rosh (40 კილოჰერცი ბერების ტალღის სიხშირით), მუფელის ღუმელი 1100°C ტემპერატურის ავტომატური რეგულირებით. ცდის ტემპერატურის შენარჩუნება ხდებოდა თერმისტოატის საშუალებით.

ტიტანის ფირფიტის მექანიკური პოლირება. ტიტანის 1 მმ სისქის ფირფიტის საწყისი ნიმუშის ზედაპირი დამუშავებული იყო 1000 ზომის ზუმფარათი ელექტროდისკოს საშუალებით. გარეცხვის შემდეგ ფირფიტა მუშავდებოდა 1500 ზომის ზუმფარათი და განმეორებითი რეცხვის შედეგებით 2500 ზომის ზუმფარათი. დამუშავების შემდეგ ტიტანის ფირფიტის პოლირება ნიმუშის ზედაპირის სარკისებრი სიპრიალის მიღების მიზნით გაგრძელებული იყო დისკოზე დამაგრებული პოლირების ღრუბლით სხვადასხვა ხარისხის საპრიალებული სილიკონის საცხით გამოყენებით. სპირტით და შემდეგ გამოხდილი წყლით გარეცხვის შემდეგ ტიტანის ფირფიტას ვაშრობდით ჰაერის ნაკადში და გვრიდით 20x40 მმ ზომის ნაჭრებად ანოდირების ჩასატარებლად.




სურ. 1. ტიტანის ანოდირების ელექტროლიზერი.

ტიტანის ფირფიტის ელექტროპოლირება. მექანიკური პოლირების შემდეგ ჩატარებული იყო ტიტანის ფირფიტის ელექტროპირება, რომელსაც პოლირების გარდა აქვს ტიტანის ზედაპირის აქტივაციის ფუნქციაც. ელექტროპირები პოლირება ჩატარებული იყო შემდეგი შედგენლობის ელექტროლიზში (მოც. წილი): H_2SO_4 - 60%; HF - 20%; $HOCH_2CH(OH)CH_2OH$ (გლიცერინი) - 10%. ელექტროპოლირებას ვახორციელებდით 1-3 წთ განმავლობაში 30 ა/დ² დენის სიმკვრივესა და 3-7 კ ძაბვაზე. ამის შემდეგ ნიმუშს 15 წთ-ის განმავლობაში ვრცებავდით სპირტში და გამოხდილ წყალში ულტრაბგერით აღჭურვილ აბაზანაში. ტიტანის ფირფიტის გაშრობის შემდეგ ჩატარებული იყო ანოდირება.

ტიტანის ანოდირება $(NH_4)_2SO_4$ ელექტროლიზში. ტიტანის ანოდირება ჩატარებული იყო არაორგანულ გამხსნელში, კერძოდ, $(NH_4)_2SO_4$ წყალშისნარში ფთორიდ იონის დამატებით (NH_4F სახით). ამისათვის მომზადებული იყო 1M $(NH_4)_2SO_4$ სინარი, რომელშიც NH_4F კონცენტრაცია შეადგენდა 0.2M. რეაქტორი მოთავსებული იყო თერმოსტატში. ანოდირება მიმდინარეობდა 3 სთ-ის განმავლობაში 20 კ ძაბვაზე $30^{\circ}C$ ტემპერატურაზე, რის შემდეგ მიღებულ ნიმუშს ვრცებავდით გამდინარე გამოხდილი წყლით, სპირტით და კვლავ გამოხდილი წყლით. გაშრობის შემდეგ ნიმუში გამოვწვით მუფელში $450^{\circ}C$, მოვათავსეთ გამოხდილ წყალში და 5 წთ-ის განმავლობაში გავაჩერეთ ულტრაბგერის ზემოქმედების ქვეშ. დამუშავების შემდეგ TiO_2 ნანომილაკების სტრუქტურის დასადგენად ელექტრული სკანირების მიეროსკოპით გადაღებული იყო ნიმუშის სურათი. სურ. 2-ზე ჩნდს, რომ ანოდირების შედეგად მიღებულია დაახლოებით 40 ნმ დიამეტრის მქონე ნანომილაკები, მაგრამ ზედაპირი მთლიანად არ არის დაფარებული მილაკებით და მილაკების სტრუქტურაც არ არის დახვეწილი.

ტიტანის ანოდირება ჩატარებული იყო აგრეთვე ორგანულ გამხსნელებში, კერძოდ, გლიცერინსა და ეთილენგლიკოლში.




სურ. 2. TiO_2 ზედაპირის ელექტრონული სკანირების სურათი (ელექტროლიზი - 1 მოლ/ლ $(NH_4)_2SO_4$ + 0.2 მოლ/ლ NH_4F , ძაბვა - 20 კ, ხანგრძლივობა - 3 სთ, ტემპერატურა $30^{\circ}C$).

ტიტანის ანოდირება გლიცერინის გამხსნელში. გლიცერინში ტიტანის ანოდირების ჩასატარებლად ხსნარი მომზადებული იყო შემდეგნაირად: 1.74 გ NH_4F მოთავსებული იყო ორგანული მინის აბაზანაში და მორევის პირობებში დამატებული იყო 3.5 მლ გამოხდილი წყალი. მარილის სრული გახსნის შემდეგ ხსნარში დამატებული იყო 70 მლ გლიცერინი. თერმოსტატის საშუალებით ხსნარის ტემპერატურა დავანილი იყო $30^{\circ}C$ -მდე. ამის შემდეგ აბაზანაში ჩაკიდებული იყო ტიტანის ელექტროდები, რომლებიც წინასწარ დამუშავებული იყო ზემოთ აღწერილი მეთოდით. ანოდირება ჩატარებული იყო 3 სთ-ის განმავლობაში. გამოხდილი წყლით და სპირტით გარეცხვის შემდეგ მიღებული ნიმუში მოთავსებული იყო მუფელში და 3 სთ-ის განმავლობაში მიმდინარეობდა

მისი გამოწვევა 450°C -ზე. მიღებული ნიმუშის სურათი გადაღებული იყო ელექტრონული სკანირების მიკროსკოპის საშუალებით (სურ. 3). სურათიდან ჩანს, რომ TiO_2 -ის ნანომილაკების დამეტრი დაახლოებით ტოლია $250\text{-}300$ ნმ-ს და მათ აქვთ ჩამოყალიბებული სტრუქტურა.


სურ. 3 ჩანს, რომ 20 ვ ძაბვაზე (ბ) მიღებულია შედარებით მცირე ზომის მილაკები ($100\text{-}200$ ნმ), მაგრამ მათ მიერ ზედაპირის დაფარვა უფრო მოწესრიგებულია.



სურ. 3. TiO_2 ზედაპირის ელექტრონული სკანირების სურათი (ელექტროლიტი – გლიცერინი, რომელშიც დამატებულია 0.67 მოლი/ლ NH_4F + 2.7 მოლი/ლ H_2O . ძაბვა - 50 ვ (ა) და 20 ვ (ბ), ხანგრძლივობა - 3 სთ, ტემპერატურა – 30°C).

TiO_2 ნანომილაკების მიღება ეთილენგლიკოლის გამხსნელში. ტიტანის ფირფიტა წინასწარ დამუშავებული იყო ზემოთ აღწერილი მეთოდით. ელექტროლიტის დასამზადებლად ქიმიურ ჭიქაში მოთავსებული იყო 0.35 ვ NH_4F და 1 მლ წყალი მაგნიტური სარეველათი მუდმივი მორევის პირობებში მარილის სრულ გახსნამდე. შემდეგ, მორევის გაგრძელებით, ულუფების სახით ჭიქაში ჩამატებული იყო 50 მლ ეთილენგლიკოლი. ხსნარის მორევა მიმდინარეობდა 10 წთ-ის განმავლობაში. აბაზანაში ჩაკიდების შემდეგ ელექტროლებზე მოდებული იყო 20 ვ ძაბვა, ანოდირება გრძელდებოდა 3 სთ-ის განმავლობაში. მსგავს პირობებში იმპულსური დენის მიწოდებით კვლავ 20 ვ ძაბვაზე ჩატარებული იყო პარალელური ცდა. მიღებული ნიმუშების გამოწვა მიმდინარეობდა 450°C -ზე 3 სთ-ის განმავლობაში.

სურ. 4-ზე ნაჩვენებია ტიტანის დიოქსიდის ნანომილაკების ზედაპირის სკანირების ელექტრონული გამოსახულება. (ა) სურათზე ჩანს, რომ მიღებებს აქვთ ჩამოყალიბებული სტრუქტურა, გამოკვეთილია მილაკების კედლები, რომლის სისქე საშუალოდ შეადგენს 45 ნმ, ხოლო დამეტრი - 150 ნმ. (ბ) სურათიდან ჩანს, რომ მუდმივი დენის პირობებში მიღებებს არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული კედლები, მათი დამეტრი დაახლოებით შეადგენს 250 ნმ.



სურ. 4. TiO_2 ზედაპირის ელექტრონული სკანირების სურათი (ელექტროლიტი – ეთილენგლიკოლი, რომელშიც დამატებულია 0.2 მოლი/ლ NH_4F + 1 მოლი/ლ H_2O ; ხანგრძლივობა - 3 სთ, ტემპერატურა – 30°C ; (ა) - 20 ვ ძაბვა, იმპულსური დენი; (ბ) - 20 ვ ძაბვა, მუდმივი დენი).

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით № PG/19/6-440/13 (ხელშეკრულება № 52/20). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი გვუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახვდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხდულებებს.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Grätzel M. J. of Photochemistry and Photobiology A: Chemistry. 2004, 164(1-3), p. 3.
2. Kamat P. V. J. of Physical Chemistry. 2007, 111(7), p. 2834.
3. Roy P., Berger S. and Schmuki P. Angew. Chem. Int. Ed. 2011, 50, p. 2904.
4. Macak J. M., Sirotna K., Schmuki P. Electrochim. Acta. 2005, 50, p. 3679.
5. Macak J. M., Tsuchiya H., Schmuki P. Angew. Chem. 2005, 11, p. 2136.
6. Macak J. M., Tsuchiya H., Schmuki P. Angew. Chem. Int. Ed. 2005, 44, p. 2100.
7. Macak J. M., Tsuchiya H., Taveira L., Aldabergerova S., Schmuki P. Angew. Chem. 2005, 117, p. 7629.
8. Macak J. M., Tsuchiya H., Taveira L., Aldabergerova S., Schmuki P. Angew. Chem. Int. Ed. 2005, 44, p. 7463.
9. Mor G. K., Varghese O. K., Paulose M., Mukherjee N., Grimes C. A. J. Mater Res. 2003, 18, p. 2588.
10. Ruan C. M., Paulose M., Varghese O. K., Mor G. K., Grimes C. A. J. of Physical Chemistry B. 2005, 109, p. 15754.
11. Patsoura A., Kondarides D.I., Verykios X.E. Applied Catalysis B: Environmental. 2006, 64, p. 171.
12. Fang D., Luo Z. P., Huang K. L., Lagoudas D. C. Applied Surface Science, 2011, 257, p. 6451.
13. Bauer S., Pittrof A., Tsuchiya H., Schmuki P. Electrochemistry Communications. 2011, 13, p. 538.
14. Sang L. X., Zhang Z. Y., Ma C. F. Int. Journal of Hydrogen Energy. 2011, 36, p. 4732.

SYNTHESIS OF TiO₂ NANOTUBES

Paata Nikoleishvili, Rusudan Kurtanidze, Valentina Kveselava, Gigla Tsurtssumia,
Giorgi Gorelishvili, Nana Koiava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry

SUMMARY

Titanium dioxide (TiO₂) nanotubes were prepared by electrolytic anodization of titanium electrode. Ammonium sulfite, glycerol and ethilenglicol with sodium fluoride were used as electrolyte solutions. It was prepared and study influence of impulse current and dc current with variation of cell voltage at the titanium dioxide nanotubes size (150-250 nm) and morphology.

СИНТЕЗ TiO₂ НАНОСТРУКТУРНОГО КАТАЛИЗАТОРА

П.О.Николеишвили, Р.Р.Куртанидзе, В.М.Квеселава, Г.С.Цурцумия, Г.Г.Горелишвили,
Н.Ш.Коива

Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе
Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Методом электрохимического анодирования с использованием импульсного и постоянного токов при различных напряжениях в электролитах сульфата аммония, глицерина и этиленгликоля с добавкой фторида аммония получен и изучен диоксид титана наноразмерной (150-250 нм) трубчатой структуры.

ОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ

СИНТЕЗ ИНИФЕРТЕРОВ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ПОЛИАЛКИЛАКРИЛАТОВ С УЗКИМ МОЛЕКУЛЯРНО-МАССОВЫМ РАСПРЕДЕЛЕНИЕМ

Р.Ф.Фарзалиев, Ф.А.Насиров, С.Р.Рафиева, М.Х.Мамедов, Т.М.Тагиева, Н.Ф.Джанибеков

Институт нефтехимических процессов им. Ю.Г.Мамедалиева НАН Азербайджана
e-mail: jnazil@mail.ru; j.nazil@yahoo.com

Проведен синтез серосодержащих органических соединений, имеющих в молекуле $-S-S-$ группу в качестве потенциально возможных инифертеров (регуляторов роста цепи) для получения вязкостных присадок к моторным маслам, типа полиалкилакрилатов, методом радикальной полимеризации с вырожденной передачей цепи (Reversible Addition Fragmentation Chain Transfer – RAFT).

К современным моторным маслам предъявляются очень жесткие требования. Выпускаемые в промышленности базовые моторные масла не соответствуют этим требованиям, и поэтому необходимо создавать композиции, куда входят различные присадки и в том числе присадки, увеличивающие индекс вязкости масел. Эти присадки представляют собой полимерные материалы с очень узким молекулярно-массовым распределением (ММР).

Существуют различные методы получения этих соединений методом радикальной полимеризации. Часто используются два метода «живой» полимеризации – анионная полимеризация, где легче контролировать молекулярную структуру полимера, и методы контролируемой радикальной полимеризации, такие как полимеризация с переносом атома (ATRP), и метод обратного добавочно - фрагментационного переноса (RAFT).

Из этих процессов наиболее перспективным является RAFT, который широко исследуется в последние годы.

Для этих процессов разработан новый метод, включающий обратимое блокирование растущей полимерной цепи, с применением инифертеров [1,2].

В качестве инифертеров используются соединения, легко образующие радикалы, которые, присоединяясь к концевой группе полимера, блокируют дальнейшее продолжение цепи.


С этой целью широко исследован фенилазотриметил фенил, гексафенилэтан[3], а также производные дитиокарбаматов [4,5].

Эти соединения создают концевую дитио-блокировку на первой цепи, которая может передать цепь на любой активный центр и возобновить себя.

Как инифертер для RAFT полимеризации могут быть также использованы аналогичные дитио-соединения, например, дитиофосфаты, которые в зависимости от структуры вокруг $-S-S-$ группы могут привести к образованию полимеров с разным ММР. Следовательно, необходимо тщательное исследование подобных инифертеров для получения полимера с заданной ММР.

С этой целью нами были синтезированы органические соединения на базе алкиларилдитиоfosфатных (или фосфонатных) кислот и галоидалкилариолов.

Общая схема синтеза представлена ниже:









Весь процесс синтеза осуществляли в одном реакторе, снабженным мешалкой, линиями подачи сырья, отвода газообразных выделений и т.д.

Первоначально в реактор загружали фенол и толуол, раствор нагревали до 80⁰C и по порциям добавляли P₂S₅ в соотношении 4:1. Затем температуру поднимали до температуры кипения толуола (100-110⁰C) и проводили перемешивание в течение 4-6 часов. Для полного удаления выделившегося во время реакции фосфоросернения H₂S процесс проводили под небольшим вакуумом. После завершения реакции реактор охлаждали до комнатной температуры и на реакционную массу по каплям добавляли 10%-ный водный раствор NaOH. Из-за экзотермичности реакции реактор постоянно охлаждали до 30-35⁰C. К полученной натриевой соли дитиокислот по каплям добавляли толуольный раствор 4-хлортолуола или 4-бром-3,5-дигидрофенола, который предварительно синтезировали, согласно [6].

Процесс проводили при 70-90⁰C в течении 2-3 часов. По завершении реакции воду и толуол перегоняли под вакуумом. Полученные кристаллы сушили под вакуумом. При необходимости вещества перекристаллизовывали из бензольного раствора.

Физико-химические константы и аналитические данные дитиокислот и S-алкиларилдитиосфофных соединений представлены в табл.1

Таблица 1. Физико-химические и аналитические данные дитиокислот и S-алкиларилдитиосфофных соединений

| № n.n | Соединения | Выход, % масс. | Тпл. °C | Элементный состав, % | | | |
|----------|-------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|----------------------|--------|-------|--------|
| | | | | P | | S | |
| | | | | найд. | вычис. | найд. | вычис. |
| 1. |  | 99,1 | 61-62 | 11.00 | 22.80 | 10.79 | 22.69 |
| 2. |  | 97,3 | вязкое веществ | 5.71 | 5.45 | 11.13 | 11.51 |
| 3. |  | 98,21 | 153-5 | 5.87 | 6.13 | 12.31 | 12.65 |
| 4. |  | 97,6 | 134 | 7.81 | 8.33 | 16.89 | 17.20 |
| 5. |  | 89,3 | 118-120 | 4.76 | 5.20 | 11.13 | 10.73 |
| 6. |  | 95,01 | 147-9 | 4.37 | 4.04 | 7.52 | 7.29 |

Структура синтезированных S-алкилдитио-соединений была исследована методом ИКС на аппарате ИК-Фурье ALPHA (Bruker, Германия) на KBr. Основные спектральные данные соединений представлены в табл.2.

Таблица 2. ИК спектральные данные S – диарилдитио-соединений

| Соединения | $\nu_{P=S}$ | ν_{P-S} | ν_{OH} | P-O-Ar | P-Ar | $\nu_{C(CH_3)_3}$ | ν_{CH} |
|------------|-------------|-------------|------------|--------|------|-------------------|------------|
| Соед. 4 | 9916 893 | 721 688 | | 1207 | | | 2871 |
| Соед. 5 | 669 | 583 | 3746 | | 1634 | 1188 | 2878 |
| Соед. 6 | 658 | 571 | 3630 | 1230 | | 1170 | 2878 |

Синтезированные соединения исследованы в качестве инициаторов при RAFT полимеризации с целью получения поли-2-этилгексил- и полибутилакрилатов с узким ММР, которые могут быть использованы как высокониндексные присадки к моторным маслам. Были синтезированы

полибутилакрилаты с ММР – 1,45 и 1,35, а также поли-2-этилгексилакрилаты с ММР – 1,36, которые показали высокие результаты в качестве загущающих присадок к моторным маслам М – 8 [7].

Наличие экранированных гидроксильных групп в молекуле инифтертеров также способствовало увеличению термостабильности моторного масла.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. G.Moad, J.Chiefari, V.K. Chondandetc. Polym. Ind. 2000, 49(9), p.993-1001.
2. E.Rizzardo, J.Chiefari,G.Moad and etc.Polym.Preper (Am.Chem.Soc., Div.Polym.Chem.)1999,40 (2), p. 342-343
3. K.Taranikkarasu, G.Radhadrishnan, J.Macromal.Sci.1999, vol.33, №4, 417 – 421
4. D.G.Hawthorne, G.Moad, E.Rizzardo and ets. Makromolekules, 2009, 32 (16), 5457-5459
5. R.T.A.Mayadunne, E.Rizzardo,Y.K.Chono and etc.Makromolekules, 2009,30(21), 6977 – 6980
6. B.B.Ершов, А.Г.Никифоров и др. Изв.АН СССР, ОХН, 1966, № 5, 928-930
7. Ф.А.Насиров, Р.Ф.Фарзалиев, Ф.М.Тагиева, С.Р.Рафиева, А.А.Джавадова, А.И.Ахмедов. Мир нефтепродуктов, №3, 2014 ,стр.25-27

SYNTHESIS OF INIFERTERS FOR OBTAIN POLYALKYLACRYLATES WITH NARROW MOLECULAR-WEIGHT DISTRIBUTION

R.F.Farzaliyev, F.A.Nasirov, S.R.Rafiyeva, M.Kh.Mamedov, T.M.Tagiyeva, N.F.Janibayov
Institute of Petrochemical Processes of Azerbaijan National Academy of Sciences

SUMMARY

The synthesis of sulfur-containing organic compounds having in the molecule -S-S- group as potentially possible iniferters (chain growth regulators in radical polymerization) for viscosity additives to engine oils, such polyalkylacrylates, by free radical polymerization with a degenerate chain transfer (Reversible Addition Fragmentation Chain Transfer - RAFT) has been realized.

ინიცირებას სინთეზი ვიზრო მოლეკულურ-მასშრი განაწილების მქონე პოლიალკილაკრილატების მისაღებად

რ.ფ.ფარზალიევი, ფ.ა.ნასირი, ს.რ.რაფიევა, მ.ხ.მამედოვი, ტ.მ.ტაგიევა, ნ.ფ.ჯანიბაიი
აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტი

რეზიუმე

ძრავის ზეთების პოლიაკრილატების ტიპის ბლანტი დანამატების მისაღებად ჯაჭვის დეგენერაციული გადატანით მიმდინარე რადიკალური პოლიმერიზაციის მეთოდის გამოყენებით ჩატარებულია სინთეზი გოგირდშემცველი ორგანული ნაერთებისა, რომლებიც მოლეკულაში შეიცავნ -S-S- ჯგუფს როგორც პოტენციალურად შესაძლებელ ინფერტერებს (ჯაჭვის ზრდის რეგულატორებს).

ზენოლების შანბვითი შეუძლების პვანტურ-ქიმიური ასამშებაი

ანტონ ჩიქოვანი, ნათია ოჩხიკიძე, თეა მათითაიშვილი, ლუიზა თალაბგაძე, გიორგი ანთია,
ზურაბ ფაჩულია*, ელიზბარ ელიზბარაშვილი


საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სინთეზირებულია ბისფენოლები ჟანგვითი დიმერიზაციის მეთოდით რეზორცინის, 1,3-დიმეთოქსიბენზოლის, 1-ბრომ-2,4-დიჰიდროქსიბენზოლისა და 1-ბრომ-2,4-დიმეთოქსიბენზოლის გამოყენებით. ქიმიური ექსპერიმენტებითა და კვანტურ-ქიმიური გაანგარიშებებით ნაჩვენებია, რომ რეაქციის დომინანტურ არღულუქტებს წარმოადგენს პარა-პარა შეუძლებით მიღებული ნაერთები.

სტონისა და ვოტერსის მიერ ალკილჩანაცვლებული ფენოქსილ რადიკალების შესწავლით ნაჩვენებია, რომ პარა პოზიციაში სპინური სიმკვრივე თრჯერ აღმატება ორთო-პოზიციაში ლოკალიზებულ ელექტრონულ სიმკვრივეს [1]. ფრონტიერის მოლეკულური ორბიტალების თეორიის მიხედვით მიჩნეულია, რომ დელოკალიზებული რადიკალების შეუძლება მიმდინარეობს მაღალი სპინური სიმკვრივის სარეაქციო ცენტრების მონაწილეობით [2]. აქედან გამომდინარე, ორთო და პარა მდგომარეობაში ჩაუნაცვლებელი ფენოქსილ რადიკალებმა უპირატესად უნდა წარმოქმნან პარა-პარა შეუძლების პროცესები. აღნიშნული მოსაზრება დასტურდება 1,3-დიჰიდროქსი-5-მეთილენზოლის კალიუმის ფეროციანიდით დაუსაბუძვის რეაქციით, რომლის დროსაც ძირითად პროცესის წარმოადგენს 2,2',4,4'-ტეტრაპიდოროქსი-6,6'-დიმეთილბიფენილი. საწყისი ნაერთის კვანტურ-ქიმიური გაანგარიშება აჩვენებს, რომ 4-მდებარეობაში სპინური 2-მდებარეობისას 14-ჯერ აღმატება [3]. ანალოგიურად, 2,6-დიმეთილფენოლი სხვადასხვა მეტალური დამჟანგველების ზემოქმედებით ძირითადად იძლევა პარა-პარა შეუძლების პროცესების და ორთო-ორთო-შეუძლების პროცესის მხოლოდ კვალის საით წარმოქმნება. თუმცა პ-კრეზოლი სხვადასხვა მეტალებით წყალსნარებში დაუსაბუძვისას უპირატესად წარმოქმნის პამერერის კეტონს (ორთო-პარა შეუძლების პროცესი), ვიდრე თეორიულად მოსალოდნელ 2,2'-დიჰიდროქსი-5,5'-დიმეთილბიფენილს (ორთო-ორთო შეუძლების პროცესი). ზემოთქმელიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ფენოქსი რადიკალებში სპინურ განაწილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოქმნილი პროცესების თანაფარდობაში.

ლიტერატურაში ერთეული შრომებია ცნობილი, რომელშიც აღწერილია ისეთი ფენოლების ჟანგვითი დიმერიზაციის რეაქციები, რომელთაც თავისუფალი აქვთ ორთო- და პარა-პოზიციები და შესაბამისად, რომელთაც შეეძლება ორთო-ორთო, ორთო-პარა და პარა-პარა C-C შეუძლება. დ. ამსტრონგსა და კ. კემერონის მიერ შესწავლილია ალკილფენოლები, კერძოდ 3,5-დიმეთილფენოლი [4].

წინამდებარე ნაშრომში ბისფენოლების ჟანგვითი დიმერიზაციის მეთოდით მიღებისათვის და მიმდინარე რეაქციების კვანტურ-ქიმიური მოდელირებისათვის შერჩეულია რეზორცინი (Ia), 1,3-დიმეთოქსიბენზოლი (Ib), 1-ბრომ-2,4-დიჰიდროქსიბენზოლი (Ic) და 1-ბრომ-2,4-დიმეთოქსიბენზოლი (Id).




სადაც:

- a: R=OH R₁=OH, R₂=H
- b: R=OMe R₁=OMe, R₂=H
- c: R=OH R₁=OH, R₂=Br
- d: R=OMe R₁=OMe, R₂=Br


სქემა 1. ბისფენოლების სინთეზი ჟანგვითი დიმერიზაციით

რეზორცინი (Ia) აღებული იქნა კომერციულად ხელმისაწვდომი ნაერთის სახით, რომელიც ექსპერიმენტის წინ იქნა გადაკრისტალებით გასუფთავებული. 1,3-დიმეთოქსიბენზოლი (Ib) და 1-ბრომ-2,4-დიმეთოქსიბენზოლი (Id) სინთეზირებული იქნა რეზორცინიდან (Ia) და 1-ბრომ-2,4-დიჰიდროქსიბენზოლიდან (Ib) დიმეთილსულფატის მოქმედებით (იხ. სქემა 2) [5].



სქემა 2. მეთილირებული ფენოლების სინთეზი

თავის მხრივ, 1-ბრომ-2,4-დიჰიდროქსიბენზოლის სინთეზი განხორციელებულ იქნა რეზორცინის კარბოქსილირებით ტუტე არეში, მიღებული 2,4-დიჰიდროქსიბენზომავას (IV) ბრომირებით შესაბამის ბრომ ნაწარმში (V) და ამ უკანასკნელის წყალხსნარის დეკარბოქსილირებით.



სქემა 3. 1-ბრომ-2,4-დიჰიდროქსიბენზოლის (Ic) სინთეზი რეზორცინიდან

საწყისი ნაერთები შერჩეულია პრინციპით, რომ მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი ორთო-ორთო და ორთო-პარა შეუღლების პროდუქტების წარმოქმნა, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროო კონკურირებადი პარა-პარა და პარა-O შეუღლების (III) პროდუქტების წარმოქმნის შესაძლებლობა.

ფენოლების უანგვით დიმერიზაციის რეაქციაში დამუნგველებად გამოყენებულია ორგანული და არაორგანული პეროქსიდები. უანგვითი დიმერიზაციის რეაქცია ჩატარებულია $50\text{--}80^\circ\text{C}$ -ზე.

უანგვითი დიმერიზაციის რეაქცია მიმდინარეობს თავისუფალი რადიკალების წარმოქმნით. ამიტომ რეაქციის პროდუქტები ფისოვანი სახით მიღება, რომლიდანაც წარმოებს მიზნობრივი პროდუქტების გამოყოფა. ანხორციელებული ქიმიური ექსპერიმენტების შემთხვევაში დომინანტ პროდუქტს ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა პარა-პარა შეუღლების პროდუქტები (II a-d) და პარა-O შეუღლების პროდუქტის გამოყოფა ინდივულური სახით ვერ მოხერხდა.


მოცემული ქიმიური ექსპერიმენტების სერიის შედეგების თეორიული ასპექტების გაანალიზებისათვის განხორციელებული იქნა კვანტურ-ქიმიური ანალიზი.

კვანტურ-ქიმიური გაანგარიშებები შესრულებულია პროგრამის GAMES-ის საშუალებით. პარამეტრიზაციის ფაილად აღებულია სტანდარტული 3-21G, ხოლო მეთოდად შერჩეულია HF მეთოდი. ელექტრონული სიმკვრივისა და წარმოქმნის სითბოს გაანგარიშების წინ ყველა სტრუქტურა ოპტიმიზირებული იქნა ჯერ MM2 (მოლეკულური მექანიკა), ხოლო შემდეგ HF მეთოდებით. მოლეკულებში ელექტრონული სიმკვრივის განაწილება მოცემულია ცხრილში 1, ხოლო წარმოქმნის სითბოთა რაოდენობა - ცხრილში 2. გეომეტრიულად ოპტიმიზირებული სტრუქტურები წარმოდგენილია სურ.1-ზე.

საწყის ნაერთებში ელექტრონული სიმკვრივის განაწილება აჩვენებს, რომ ყველაზე რეაქციისუნარიან ცენტრებს წარმოადგენებ C1, C3 და C5 (იხ. მოლეკულური დიაგრამები სურათი 1-ზე). ამასთან, Ia-ში შეუღლება უპირატესად მიმდინარეობს C3 ატომზე, მიუხედავად იმისა, რომ ორთო მდებარეობის ატომებზე უფრო დიდი უარყოფითი მუხტია ლოკალიზებული, რაც შეიძლება აიხსნას სივრცითი ფაქტორებით. თუმცა ეს სივრცითი ფაქტორები რომ დაძლევადია, ადასტურებს უანგვით დიმერიზაციის რეაქციაში პარა მდგომარეობა ბლოკირებული Ia და Id ნაერთების მონაწილეობა.

ცხრილი 1. მოლეკულებში ელექტრონული სიძვრივის განაწილება.

| ატომი | მუხტის სიძვრივე | ატომი | მუხტის სიძვრივე | ატომი | მუხტის სიძვრივე | ატომი | მუხტის სიძვრივე |
|-----------|--------------------|-----------|--------------------|-----------|--------------------|-----------|--------------------|
| Ia | | Ic | | 1b | | 1d | |
| C(1) | -0.307008 | C(1) | -0.268482 | C(1) | -0.302944 | C(1) | -0.298766 |
| C(2) | -0.210003 | C(2) | -0.15797 | C(2) | -0.212664 | C(2) | -0.159978 |
| C(3) | -0.272398 | C(3) | -0.456299 | C(3) | -0.279195 | C(3) | -0.46129 |
| C(4) | 0.401378 | C(4) | 0.478846 | C(4) | 0.431828 | C(4) | 0.512721 |
| C(5) | -0.308199 | C(5) | -0.335224 | C(5) | -0.319021 | C(5) | -0.316753 |
| C(6) | 0.398035 | C(6) | 0.40501 | C(6) | 0.428805 | C(6) | 0.43235 |
| O(7) | -0.746925 | O(7) | -0.744291 | O(7) | -0.741501 | O(7) | -0.738676 |
| O(8) | -0.746412 | O(8) | -0.731022 | O(8) | -0.736379 | O(8) | -0.726451 |
| H(9) | 0.230877 | H(9) | 0.270913 | H(9) | 0.239749 | H(9) | 0.248803 |
| H(10) | 0.25008 | H(10) | 0.273259 | H(10) | 0.245191 | H(10) | 0.268116 |
| H(11) | 0.262064 | Br(11) | 0.235396 | H(11) | 0.256953 | Br(11) | 0.225058 |
| H(12) | 0.25553 | H(12) | 0.230294 | H(12) | 0.263801 | H(12) | 0.271115 |
| H(13) | 0.396067 | H(13) | 0.397941 | C(13) | -0.266119 | C(13) | -0.271949 |
| H(14) | 0.396914 | H(14) | 0.401628 | C(14) | -0.272737 | C(14) | -0.275131 |
| | | | | H(15) | 0.199286 | H(15) | 0.202323 |
| | | | | H(16) | 0.199089 | H(16) | 0.202681 |
| | | | | H(17) | 0.230734 | H(17) | 0.234802 |
| | | | | H(18) | 0.201847 | H(18) | 0.205414 |
| | | | | H(19) | 0.201655 | H(19) | 0.205301 |
| | | | | H(20) | 0.231623 | H(20) | 0.24031 |



სურ. 1. გეომეტრიულად ოპტიმიზირებული მოლეკულების დიაგრამები

პარა-პარა შეუდლების უპირატესობაზე პარა-O შეუდლების რეაქციასთან შედარებით, ადასტურებს ქმიური რეაქციების ენერგეტიკული განვარიშებაც. ცხრილში 2 მოცემულია შეუდლების

პროდუქტების წარმოქმნის სითბოს მნიშვნელობები, საიდანაც გამომდინარეობს რომ პარა-პარა შეუძლების პროდუქტების წარმოქმნა ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელია.

ცხრილი 2. მოლეკულების წარმოქმნის სითბოს მნიშვნელობები

| ნაერთი | წარმოქმნის სითბო, კკალ/მოლი |
|--------|-----------------------------|
| Ia | -237388.0671 |
| Ib | -286097.8104 |
| Ic | -1843481.9467 |
| Id | -1892192.9575 |
| Iia | -474019.5121 |
| IIIa | -474026.5975 |
| IIIb | -547082.7701 |

ექსპერიმენტული ნაწილი

2,4-დიპიროქსიბენზომჟავას სინთეზი (IV). ორყელა კოლბაში, რომელიც აღჭურვილი იყო უკუმაცივრით, მოვათვესებულ იქნა 39.7 გ რეზორცინი, 166.4 გ NaHCO₃ და 400 მლ წყალი. სარეაქციო ნარევს აცხელებენ წყლის აბაზანაზე 4 საათის განმავლობაში ნალექის სრულად გახსნამდე-ერთგვაროვანი სარეაქციო ნარევის მიღების შემდეგ წყლის აბაზანა შეცვლილი იქნა ელექტროგამახურებლით და სარეაქციო ნარევი სუსტი დუღილის პირობებში გაცხელებული იქნა დამატებით 30 წუთს, რომლის დროსაც ნარევში გატარებული იქნა ნახშირორჟანგის ინტენსიური ნაკადი წვრილი ბუმტების სახით.

CO₂-ის გატარების შემდეგ ცხელ სარეაქციო ნარევში საწვეთი ძაბრით დამატებული იქნა 180 მლ კონც. HCl, ისე რომ მარილმჟავა ეწვეობოდა კოლბის ფსევრზე (საწვეთ ძაბრს წვერზე მორგებულია რეზინის მილი, რომელიც ჩაშვებულია კოლბის ფსევრამდე). HCl-ის დამატების დროს ინტენსიურად გამოიყოფოდა CO₂. ტუტე არის მეტა არეში გადასვლის შემდეგ სარეაქციო ნარევი იღებს ჯერ გარდისფერ ფერს, ხოლო შემდეგ უფერულდება.

ხსნარის გაციებისას თეთრი ბრჭყვაილა ფიფქისებური კრისტალების გამოყოფა. სარეაქციო ნარევს აყოვნებენ მთელი დამით. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ, ჩარეცხავენ მცირე რაოდენობის ცივი წლით და აშრობენ ვაკუუმ-კარადაში 30°C-ზე. ლლობის ტემპერატურა Tლლ-210-211.

5-ბრომ-2,4-დიპიროქსიბენზომჟავას (V) სინთეზი. მრგვალდირა სამყელა კოლბაში, რომელსაც აღჭურვილი იყო თერმომეტრით, უკუმაცივარით და მაგნიტური სარევით, მოვათვე 29.28 გ 2,4-დიპიროქსიბენზომჟავა (IV), დაგვატე 222 მლ ბმარმჟავა და შევათხე წყლის აბაზანაზე 45°C-მდე. 2,4-დიპიროქსიბენზომჟავას სრულად გაიხსნის შემდეგ სარეაქციო ნარევის ტემპერატურა მიყვანილ იქნა 35°C-მდე და საწვეთი ძაბრით წვეოწვეთობით დავუმატე წინასწარ მომზადებული 30.4 გ ბრომისა და 150 მლ ბმარმჟავას ნარევი. დაგვატების დროს ტემპერატურას ვინარჩუნებდი 30-35°C-ის შეაღედში. ბრომის სრულად დამატების შემდეგ სარეაქციო ნარევი გაცხელებული იქნა დამატებით კიდევ 20 წთ, როს შემდეგაც იგი გადატანილი იქნა 3.2 ლ ცხელ წყალში. სარეაქციო ნარევს აცივებენ და აყოვნებენ 24 საათი. 2,4-დიოქსი-5-ბრომეტორცინის მეტა კრისტალებს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ არემდე და აშრობენ ჰაერზე.

1-ბრომ-2,4-დიპიროქსიბენზოლის (Ic) სინთეზი. წინა ექსპერიმენტით მიღებული 2,4-დიოქსი-5-ბრომეტორცინის მეტა ათავსებენ 2 ლიტრიან მრგვალდირა კოლბაში, და ამატებენ 900 მლ წყალს. მიღებულ ნარევს ინტენსიურად აღუღებენ 1 საათი, რის შემდეგაც სწრაფად ფილტრავენ ცხლად. ფილტრატს აცივებენ და აყოვნებენ 24 საათი. მიღებული თეთრი ფერის კრისტალებს ფილტრავენ და აშრობენ ჰაერზე.

მეთოქსინაერთების (Ib,d) სინთეზი. მრგვალდირა კოლბაში, რომელიც აღჭურვილია უკუმაცივრით, ათავსებენ 0.1 მოლ Ia ან Ic და ხსნარი მინიმალურ რაოდენობა 50%-იან ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარში. მიღებულ ხსნარს ამატებენ 0.25 მოლ დიმეთილსულფატს და ენერგიულად ანჯღღევენ. სარეაქციო ნარევი ცხელდება. როდესაც სითბოს გამოყოფა შეწყდება და ნარევს აყოვნებენ კიდევ 30

წუთს. პროდუქტს სარეაქციო ნარევიდან გამოყოფენ დიეთილეთერით ექსტრაქციით. ექსტრაქტიდან გამოხდიან ეთერის 90%, ხოლო კონცენტრირებული ხსნარი გადააჭვით ფაიფურის ჯამზე და აორთქლებენ ეთერის დარჩენილ რაოდენობას. მიღება თეთრი ფერის კრისტალები.

ბისფენოლების (IIa-d) სინთეზი (ზოგადი მეთოდი)

მრგვალდირა სამყელა კოლბაში, ომელსაც მორგებული პქნდა თერმომეტრი და უკუმაცივარი მოთავსებული იქნა 0.1 მოლი Ia-d და 7 მლ 2 N NaOH -ის ხსნარი მუდმივი მორევის პირობებში. სარეაქციო ხსნარს აცხელებენ წყლის აბაზანაზე 50-55 °C-ზე და 30 წთ-ის განმავლობაში წვეტწვეთობით ამატებენ 6% -იან H_2O_2 . პეროქსიდის დამატების შემდეგ გაცხელება აგრძელებენ კიდევ 20 წთ-ს. შემდეგ სარეაქციო ნარევს აცივებენ და შეამჟავებენ HCl-ით სუსტ მჟავა არემდე. გამოყოფილ კრისტალებს ფილტრავენ და აშრობენ ჰაერზე.

მაღლიერება. სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (გრანტი FR/177/6-420/13)

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. T. G. Stone and W. A. Waters. Aryloxy-radicals. Part I. Electron spin resonance spectra of radicals from some substituted monohydric phenols. *J. Chem. SOC.* 1964, 213.
2. I. Fleming, 'Frontier Orbitals and Organic Chemical Reactions,' Wiley, London, 1976, p. 195.
3. R. K. Haynes, H. Hess, and H. Musso. Die Oxidation von Orcin mit K₃[Fe(CN)₆] im Strömungsrohr. *Chem. Ber.*, 1974, 107, 3733
4. David R. Armstrong, Colin Cameron, Derek C. Nonhebel, and Peter G. Perkins. Oxidative Coupling of Phenols. Density Factors on the Product 3,5-Dimethylphenol and Phenol Part 6.' A Study of the Role of Spin Composition in the Oxidations of 3,5-Dimethylphenol and Phenol. *J. Chem. Soc. Perkin trans. II*, 1983 563
5. Губен И. Методы органической химии. Москва, ОНТИ, 1934. Т. 3, вып. 1, с.182

QUANTUM-CHEMICAL ASPECTS OF OXIDATIVE COUPLING OF PHENOLS

Anton Chikovani, Natia Ochkhidze, Tea Matitaishvili, Luiza Talakvadze, Giorgi Antia, Zurab Pachulia*, Elizbar Elizbarashvili

Agricultural University of Georgia

* *Sokhumi State University*

SUMMARY

Four bisphenols have been synthesized by oxidative coupling reaction from 1,3-dihydroxybenzene, 1,3-dimethoxybenzene, 1-bromo-2,4-dihydroxybenzene and 1-bromo-2,4-dimethoxybenzene. It has been established by chemical experiment and quantum-chemical calculation, that the main reaction products are para-para coupling compounds.

КВАНТОВО-ХИМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ОКИСЛИТЕЛЬНОГО СОПРЯЖЕНИЯ ФЕНОЛОВ

А.Ф.Чиковани, Н.Т.Очхикидзе, Т.Р.Матитайшвили, Л.И.Талаквадзе, Г.Р.Антия,

З.В.Пачулия*, Э.Н.Элизбарашвили

Аграрный университет грузии

**Сухумский государственный университет*

РЕЗЮМЕ

Синтезированы бисфенолы окислительным сочетанием на основе 1,3-дигидроксибензола, 1,3-диметоксибензола, 1-бром-2,4-дигидроксибензола и 1-бром-2,4-диметоксибензола. Химическим экспериментом и квантово-химическими расчетами показано, что основным продуктом реакции являются соединения пара-пара сочетания.

მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფიაში ზოგიერთი ქირალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა კოლისაქარიდული ტიპის ქირალური სტაციონალური ფაზებისა და მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების ელექტრონური რიგის შებრუნების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა მოძრავი ფაზის დანამატის და სტაციონალური ფაზის ბუნებიდან გამომდინარე.

ხათუნა გოგალაძე, ბეჭან ჭანკვეტაძე

იუ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფიაში ზოგიერთი ქირალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ტიპის ქირალური სტაციონალური ფაზებისა და მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების ელექტრონური რიგის შებრუნების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა მოძრავი ფაზის დანამატის და სტაციონალური ფაზის ბუნებიდან გამომდინარე.


სამკურნალწამლო საშუალებების 50%-ზე მეტს ქირალური ნივთიერებები წარმოადგენენ. 1992 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების წამლისა და საკვები პროდუქტების სააგენტო (FDA), მედიკამენტების შეფასების ევროპული სააგენტო (EMEA), ისევე როგორც რამდენიმე სხვა ქვეყნის შესაბამისი უწყება, მოითხოვს ქირალურ სამკურნალწამლო საშუალებების კონტროლს მათი ენანტიომერული შედგენილობის შესწავლის მიზნით. ამ მოითხოვნების შესაბამისად, ახალი ქირალური წამლის ორივე ენანტიომერი უნდა შემოწმდეს წამლის შემუშავებისა და პრეპარატის კლინიკურ გამოცდამდე. ბეტა-ბლოკატორები წარმოადგენენ ქირალურ სამკურნალწამლო საშუალებებს. ისინი ძირითადად გამოიყენება გულის იშემიური დაავადებების სამკურნალოდ.

ენანტიომერების ანალიზური დაყოფის ძირითად მეთოდს წარმოადგენს მაღალეფებული სითხური ქრომატოგრაფია ქირალური სტაციონალური ფაზების გამოყენებით. ეს უკანასკნელი მომზადებული არიან ქირალური სელექტორების კოვალენტური ან არაკოვალენტური დამაგრებით მაღალი სისუფთავის მქონე სილიკაგელებზე. ლიტერატურაში აღწერილია მრავალი დაბალმოლექულური (მაგალითად, ამინომჟავების ნაწარმები, ქინინისა და ქინიდინის ნაწარმები და ა.შ.) და მაღალმოლექულური (ქირალური პოლიაკრილამიდები, პოლიმეთაკრილატები, პოლისაქარიდები და ა.შ.) ქირალური სელექტორი. ქირალური სელექტორების ამ ჯგუფიდან ენანტიომერების გამოცნობის განსაკუთრებით მაღალი უნარით ხასიათდება პოლისაქარიდული ქირალური სელექტორები, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც ენანტიომერული ნარევების ანალიზური, ასევე პრეპარატული დაყოფისათვის [1].

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ბეტა-ბლოკატორების ენანტიომერების დაყოფა და მოძრავი და სტაციონალური ფაზების ბუნების გავლენა ენანტიომერების რიგზე.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ფირმა Agilent Technologies-ის (ვალდბრონი, გერმანია) 1200 სერიის მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფზე, რომელიც ალჭურვილია მრავალტალღური დეტექტორით. დეტექტორება ხდებოდა 220 ნმ ტალღის სიგრძეზე. მოძრავი ფაზის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იყო 1მლ/წთ-შ. ექსპერიმენტისათვის გამოყენებული იყო 16 ბეტა-ბლოკატორი, რომელთა უმრავლესობა შეძენილ იქნა კომპანია Sigma-Aldrich Chemie-დან (ტაუფკირხენი, გერმანია). ამ ნივთიერებების სტრუქტურები ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ექვსი ქირალური სვეტი პოლისაქარიდული ქირალური სელექტორებით: Lux Cellulose-1, Lux Cellulose-2, Lux Cellulose-3, Lux Cellulose-4 და Lux Amylose-2, რომლებიც მოწოდებულია კომპანია Phenomenex-ის მიერ (ტორანსი, კალიფორნია, აშშ) და ამილოზას ტრის(3,5-დიმეთილფენილგარბამატი)-ის საფუძველზე მომზადებული ექსპერიმენტული სვეტი ADMPC, რომელიც მოწოდებულია კომპანია Enantiosep-ის მიერ (მიუნისტერი, გერმანია). ქირალური სელექტორების სტრუქტურები ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.



ნახ. 1 ნაშრომში გამოყენებული ნივთიერებების სტრუქტურული ფორმულები

| ცელულულოზას ნაწარმები | | ამილოზას ნაწარმები | |
|-----------------------|--|--------------------|--|
| Cellulose-1 | | ADMPC | |
| Cellulose-2 | | Amylose-2 | |
| Cellulose-3 | | | |
| Cellulose-4 | | | |

ნახ. 2 ქირალური სელუქტორების სტრუქტურა ნაშრომში გამოყენებულ სვეტებში


ჩატარდა 16 ქირალური ბეტა-ბლოკატორის სკრინინგი სხვადასხვა ქირალური სვეტებში და მოძრავი ფაზის გამოყენებით. დადგინდა, რომ ენანტიომერების დაყოფა უმჯობესდებოდა მოძრავ ფაზაზე არა მარტო ფუძე (დიეთილამინი), არამედ მჟავა ბუნების (ჭიანჭველმჟავა) ცალკეული და ერთდროული დამატებისას.

იმის გამო, რომ ზოგიერთი ქირალური ბეტა-ბლოკატორი ენანტიომერულად სუფთა სახით არ წარმოადგენს კომერციულ პროდუქტს, ვახდენდით ენანტიომერულად სუფთა ფრაქციების შეგროვებას ქრომატოგრაფის გამოყენებით. ეს ეტაპი აუცილებელია ქირალური ნივთიერებების ნიმუშების არარაცემული მონიშვნის მიზნით, რადგანაც ჩვენს კვლევებში არ გამოიყენებოდა ქიროპტიკური (წრიული დიქროიზმის ან პოლარიმეტრული) დეტექტორი. ამ გამოკვლევების შედეგად დადგინდა ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ.

ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება ქირალური სელექტორის ბუნების გავლენით.

სოტალოლის ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნება მოხდა Lux Amylose-2-დან ADMPC ქრომატოგრაფიულ სეეტზე გადასვლისას ოთხ სხვადასხვა მოძრავ ფაზაში: აცეტონიტრილი, აცეტონიტრილი 0,1% (მოცულობით) დიეთილამინის ან მისი ექვიმოლური ჭიანჭველამჟავის დამატებისას, ისევე როგორც აცეტონიტრილზე ორივე ამ ნივთიერების ერთდროული დამატებისას.

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა აცეტატოლოლის შემთხვევაში, როდესაც მოძრავ ფაზად გამოყენებული იქნა აცეტონიტრილი ფუძე ბუნების დანამატით (0,1 % დიეთილამინი), ხოლო ქირალურ სტაციონალურ ფაზებად Lux Amylose-2 და ADMPC (ნახ. 3).




ნახ. 3. აცეტატოლოლის ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება ა) ADMPC და ბ) Lux Amylose-2 ქირალური სეეტების აღტერნატორული გამოყენებისას. მოძრავი ფაზა: აცეტონიტრილი 0,1% დიეთილამინის დანამატით

ენანტიომერების ელუირების რიგის მართვა ქირალურ ნივთიერებათა ენანტიოსელექტურ დაყოფებში საინტერესოა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული თვალსაზრისით. ამ საკითხის პრაქტიკულ დირექტულებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ენანტიომერების არარაცემული ნარევების ანალიზში (განსაკუთრებით ურთ-ურთი ენანტიომერის ძალის დაბალი შემცველობის დროს) აუცილებელია დაბალი შემცველობის მქონე ენანტიომერი ელუირდებოდეს ძირითადი ენანტიომერის პიკის წინ. ანალოგიურად, ენანტიომერების პრეპარატული დაყოფების დროს აუცილებელია სასურველი ენანტიომერი (ეუტომერი) ელუირდებოდეს არასასურველი ენანტიომერის (დისტომერი) წინ. გარდა ამისა, ენანტიომერების ელუირების რიგზე დაკვირვება და მისი მართვა სხვადასხვა ფაქტორების გავლენით იძლევა იმ არაკოვალურტური ძალების ბუნების გარკვევის შესაძლებლობას, რომლებიც მონაწილეობს საანალიზო ნივთიერებისა და ქირალური სელექტორის ურთიერთმოქმედებასა და ქირალურ გამოცნობაში.

ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილების ზემოთ ხსნებული მაგალითები ქირალური სელექტორის ცვლილებით საინტერესოა, მაგრამ ის საჭიროებს მინიმუმ 2 ქირალური სეეტის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით უფრო მიმზიდველია ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნება ერთი ქირალური სეეტისა და სხვადასხვა მოძრავი ფაზების გამოყენებით.

ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება მოძრავი ფაზის დანამატის ბუნების გავლენით.

ატენოლოლის შემთხვევაში მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებისას ადგილი ჰქონდა ენანტიომერების მხოლოდ ნაწილობრივ დაყოფას, მაშინ როდესაც აცეტონიტრილზე 0,1% (მოცულობით) დიეთილამინის დამატების შედეგად მიღწეულ იქნა ენანტიომერების ფუძისეული დაყოფა. აცეტონიტრილის დანამატად დიეთილამინის ექვივალენტური რაოდენობით ჰიანტველამჟავას გამოყენებისას მიღწეულ იქნა ენანტიომერების თითქმის ფუძისეული დაყოფა და ენანტიომერების ელუირების რიგი შებრუნდა წინა 2 შემთხვევასთან შედარებით, ხოლო ორივე დანამატის ერთდროული გამოყენებისას ენანტიომერების ელუირების რიგი შენარჩუნდა უკანასკნელი შემთხვევის მსგავსად, დაყოფის ხარისხი კი გაუმჯობესდა (ნახ. 4).




ნახ. 4 ატენოლოლის ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება. Lux Amylose-2 სვეტზე. მოძრავი ფაზა: а)აცეტონიტრილი ბ)აცეტონიტრილი:0,1%დიეთილამინი;


გ) აცეტონიტრილიექიმოლური ჰიანტველამჟავა; დ)აცეტონიტრილი:0,1%დიეთილამინი:ექვიმოლური ჰიანტველამჟავა.

აცეტონიტრილთან კომბინაციაში ფუძე და მჟავა დანამატის ალტერნატიული გამოყენებისას ენანტიომერების ელუირების რიგი შებრუნდა აგრეთვე ტოლიპროლოლის შემთხვევაში ამილზა-2 სვეტზე (ნახ. 5).

ზემოთ ხსნებულის მსგავსი შედეგები დადგინდა აგრეთვე Lux Amylose-2 სვეტზე სოტალოლის ენანტიომერებისათვის. მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებისას ადგილი ჰქონდა ენანტიომერების მხოლოდ ნაწილობრივ დაყოფას, მაშინ როდესაც აცეტონიტრილზე 0,1% (მოცულობით) დიეთილამინის დამატების შედეგად მიღწეული იქნა ენანტიომერების ფუძისეული დაყოფა. აცეტონიტრილის დანამატად დიეთილამინის ექვიმოლური რაოდენობით ჰიანტველამჟავას გამოყენებისას მიღწეული იქნა ენანტიომერების თითქმის ფუძისეული დაყოფა და ენანტიომერების ელუირების რიგი შებრუნდა წინა ორ შემთხვევასთან შედარებით, ხოლო ორივე დანამატის ერთდროული გამოყენებისას ენანტიომერების ელუირების რიგი შენარჩუნდა უკანასკნელი შემთხვევის მსგავსად, დაყოფის ხარისხი კი გაუმჯობესდა (ნახ. 6).



ნახ. 5 ტოლიპროლოლის ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება. Lux Amylose-2 სექტზე. მოძრავი ფაზა: а) აცეტონიტრილი:0,1% დიეთოლამინი; б) აცეტონიტრილი:0,1% დიეთოლამინი:უქვიმოლური ჭიანჭველამჟავა. გ) აცეტონიტრილი:უქვიმოლური ჭიანჭველამჟავა.



ნახ. 6 სოტალოლის ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება Lux Amylose-2 სექტზე. მოძრავი ფაზა: а) აცეტონიტრილი ბ) აცეტონიტრილი:0,1% დიეთოლამინი; გ) აცეტონიტრილი:უქვიმოლური ჭიანჭველამჟავა; დ) აცეტონიტრილი:0,1% დიეთოლამინი:უქვიმოლური ჭიანჭველამჟავა.

ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნების შემთხვევები მოძრავი ფაზის ფუძე და მუავა დანამატების აღტერნატიული გამოყენებით ქირალურ დაყოფებში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს და მისი პირველი მაგალითი აღწერილი იქნა ჩვენი ჯგუფის გამოკვლევებში 2013 წელს [2].

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. B.Chankvetadze. Recent developments on polysaccharide-based chiral stationary phases for liquid-phase separation of enantiomers. *J. Chromatogr. A*, 1269, 26– 51, 2012.
2. L. Mosiashvili, L. Chankvetadze, T. Farkas, B. Chankvetadze. On the effect of basic and acidic additives on the separation of the enantiomers of some chiral beta-blockers with polysaccharide-based chiral selectors and polar organic mobile phases, *J. Chromatogr. A*, 1317, 167-174, 2013.

HIGH-PERFORMANCE LIQUID CHROMATOGRAPHIC SEPARATION OF SOME BETA-BLOCKER ENANTIOMERS ON POLYSACCHARIDE-BASED CHIRAL STATIONARY PHASES BY USING ACETONITRILE AS A MOBILE PHASE

Khatuna Gogaladze, Bezhan Chankvetadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In the present work high-performance liquid chromatographic separation of enantiomers of some chiral beta-blocker drugs was studied on polysaccharide-based chiral stationary phases by using acetonitrile as a mobile phase. Interesting examples of the enantiomer elution order reversal based on the nature of chiral selector and the additives to the mobile phase were observed.

РАЗДЕЛЕНИЕ ЭНАНТИОМЕРОВ НЕКОТОРЫХ ХИРАЛЬНЫХ БЕТА-БЛОКАТОРОВ МЕТОДОМ ВЫСОКОЭФФЕКТИВНОЙ ЖИДКОСТНОЙ ХРОМАТОГРАФИИ НА ПОЛИСАХАРИДНЫХ ХИРАЛЬНЫХ СТАЦИОНАРНЫХ ФАЗАХ С ПРИМЕНЕНИЕМ АЦЕТОНИТРИЛА В КАЧЕСТВЕ ПОДВИЖНОЙ ФАЗЫ

Х.Е.Гогаладзе, Б.Г.Чанкветадзе

Тбилисский Государственный Университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Изучено разделение энантиомеров некоторых хиральных бета-блокаторов методом высокоеффективной жидкостной хроматографии с применением полисахаридных хиральных стационарных фаз и ацетонитрила в качестве подвижной фазы. Найдено несколько интересных примеров обращения ряда элюирования в зависимости от природы стационарной фазы и добавок к подвижной фазе.


დიზრაქციული მესირის ბაზენა მონოქრომატულ სინათლეზე

ალექსანდრ რჩეულიშვილი

ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

განხილულია მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღის ამპლიტუდური მოდულაციის პროცესი. მოდულაციისათვის გამოყენება ელექტრული სიგნალი, რომელიც წარმოადგენს მართვულსა იმპულსების თანამიმდევრობას. ნაჩვენებია ამგვარად მოდულირებული ელექტრომაგნიტური სიგნალის სიხშირული სუკტრი. მიღებული შედეგები განხოვადებულია (გადატანილია) მონოქრომატული სინათლის შემთხვევისათვის. სინათლის მაღალხიხშირული ამპლიტუდური მოდულაციისათვის შემოთავაზებულია დიფრაქტიული მესერის გამოყენება. ნაჩვენებია, რომ დიფრაქტიული მესერი ზრდის სინათლის ცუვის იმპულსების რაოდენობას. ცუვის იმპულსების რაოდენობის ნაზრდი დამოკიდებულია მესერის დრეჩობის რაოდენობაზე.

იმისათვის, რომ გადავცეთ ინფორმაცია მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების (გადამტანი რადიო სიგნალის) მეშვეობით, ახდენებ გადამტანი სიგნალის მოდულაციას იმ სიგნალით, რომელიც შეიცავს გადამტანი ინფორმაციას (სასარგებლო სიგნალი). დავუშვათ გადამტანი რადიო სიგნალის სიხშირე f_0 , ხოლო სასარგებლო სიგნალის სიხშირე f ($f << f_0$). როდესაც ვახდენთ f_0 სიხშირის სიგნალის ამპლიტუდურ მოდულაციას f სიხშირის სინუსოიდალური ფორმის სიგნალით, მაშინ მიღებული რადიო სიგნალი (მოდულირებული), შეიცავს f_0 სიხშირის სიგნალთან ერთად დამატებით f_0+f და f_0-f სიხშირის სიგნალებს [1-3]. ეს სიგნალები სიმეტრიულად არიან განლაგებულნი f_0 სიხშირის სიგნალის მიმართ სიხშირულ დერბზე. f_0+f და f_0-f სიხშირის სიგნალებს ეწოდებათ მოდულაციის ზედა და ქვედა გვერდითი სიხშირეები. ამ სიგნალების ამპლიტუდები ერთნაირია. მიღებული, მოდულირებული რადიო სიგნალის სპექტრი მოცემულია ნახ.1 - ზე.




ნახ.1. დროითი და სპექტრალური დიაგრამები მამოდულირებელი (ა), გადამტანი (ბ) და ამპლიტუდურად მოდულირებული (ვ) სიგნალების.


Ω -სასარგებლო სიგნალის (მამოდულირებელი) სიხშირე, ω - გადამტანი სიგნალის სიხშირე, U_m - ამპლიტუდა.

როგორც წესი, სასარგებლო სიგნალი, რომლითაც ვახდენთ გადამტანი სიგნალის ამპლიტუდურ მოდულაციას, რომელი ფორმისაა (არ არის მონოსიხშირული). ვიცით, რომ სასარგებლო რადიო სიგნალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ სინუსოიდალური სიგნალების ჯამად (ფურიე გაშლა) [2,4]. სასარგებლო სიგნალში შემავალი, თვითეული სინუსოიდალური მდგრენელი, სიხშირით f_0 , ახდენს გადამტანი სიგნალის ამპლიტუდურ მოდულაციას. შესაბამისად მოდულირებულ სიგნალში ჩნდება ორი დამატებითი სიგნალი სიხშირეებით f_0+f_0 და f_0-f_0 . მოდულირებულ რადიო სიგნალში ჩნდება ორი დამატებითი სიგნალი

სასარგებლო სიგნალში შემავალი, თვითეული სინუსოიდალური მდგენელისათვის [3, 4]. სასარგებლო სიგნალში შემავალი მონოსინებირული სიგნალების მთლიანი სპექტრი $\Omega_{\text{max}} - \Omega_{\text{min}}$ მოდულირებულ რადიო სიგნალში წარმოდგენილი იქნება გადამტანი სიგნალის სიხშირის სიმეტრიულად როგორც მაღალი, ასევე დაბალი სიხშირების მხარეს ნახ.2. რადიოტექნიკაში ხშირად გამოიყენება სიგნალი, რომელიც წარმოადგენს მართვული ფორმის ელექტრული იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობას [1,4] სიხშირით $f=1/T=\omega/2\pi$. ნახ.3.




ნახ.2. სიგნალების დროითი და სპექტრალური დიაგრამები, როდესაც მამოდულირებელი სიგნალი რთული ფორმისაა (შემთხვევითა). ა - მამოდულირებელი, ნ - გადამტანი და ვ - ამპლიტუდურად მოდულირებული სიგნალები




ნახ.3. მართვული იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობა. T - იმპულსების თანამიმდევრობის პერიოდი, U_0 - იმპულსების ამპლიტუდა. τ - იმპულსების ხანგრძლივობა

ასეთი სიგნალის სპექტრი [4,5] შეიცავს ბევრ ჰარმონიკას (სინუსოიდალურ მდგენელს) ნახ. 4



ნახ. 4. ω სიხშირის მართვული ფორმის ელექტრული იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობის სპექტრი. ა - რხევების ამპლიტუდე

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, აღნიშნული სიგნალის სპექტრი შეიცავს მდგრელებს სიხშირეებით ვ, 3ვ, 5ვ, 7ვ, ..., რომელთა ამპლიტუდები გარკვეული კანონზომიერებით მცირდება სიხშირის ზრდასთან ერთად. როდესაც სიხშირის გადამტანი სიგნალის ამპლიტუდურ მოდულაციას მოვახდენ ვ სიხშირის მართვულთა ფორმის ელექტრული იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობით, მიღებული, მოდულირებული სიგნალის სპექტრი [4,5] იქნება ასეთი სახის ნახ. 5.



ნახ.5 მართვულთა ფორმის ელექტრული იმპულსების პერიოდული თანამიმდევრობით მოდულირებული გადამტანი სიგნალის სპექტრი. Ω - გადამტანი სიგნალის სიხშირე, A - მონოსიხშირული მდგრელების რხევების ამპლიტუდა, ω - მამოდულირებელი იმპულსების სიხშირე

მოდულირებულ სიგნალში მამოდულირებელი სიგნალის ყველა სიხშირული მდგრელი ვ, 3ვ, 5ვ, 7ვ, ..., სიხშირეებით, სიხშირულ ღერძზე აისახება გადამტანი სიგნალის სიხშირის Ω სიმეტრიულად.

შეჯელობა სამართლიანია ელექტრომაგნიტური ტალღების ფართო სპექტრისათვის. იგი სამართლიანია აგრეთვე სინათლის სხივებისათვისაც, რომლებიც წარმოადგენენ აგრეთვე ელექტრომაგნიტური ტალღებს. ამ შემთხვევაში აქტუალური ხდება ტექნიკური საკითხი თუ როგორ მოვახდინოთ ამგვარი ელექტრომაგნიტური ტალღების მოდულაცია. საქმე იმაშია, რომ სინათლის ელექტრომაგნიტური ტალღების სიხშირე ძალიან მაღალია ($\sim 10^{15}$ ჰერცი). თუ მამოდულირებელი მართვულთა იმპულსების სიხშირე შეადგენს $\sim 10^9$ ჰერცს (მოდულაცია კერის უჯრედის გამოყენებით), მაშინ წარმოქმნილი პარველი (გადამტანი სიხშირესთან ახლოს) სიხშირული მდგრელის ფარდობითი წანაცვლება ძირითადი (გადამტანი) სიგნალის სიხშირესთან შეადგენს $\sim 10^9$ ჰერცი : 10^{15} ჰერცი = 10^{-6} .

ცხადია, რომ ძალიან ძნელია სიხშირის ასეთი მცირე ფარდობითი წანაცვლების დაფიქსირება (გაზომვა). გარდა ამისა აღნიშნული ტიპის მოდულაციის განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ ტექნიკურ სინელექტოან, აგრეთვე მოდულაციის სიღრმე არ არის სრული.

სინათლის ელექტრომაგნიტური ტალღის მოდულაციისათვის ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყენოთ მეთოდი, რომელიც აღწერილია შრომაში [6]. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ მოდულაციის შედეგად სიხშირის ფარდობითი წანაცვლება მიგილოთ გაცილებით დიდი, ვიდრე ზემოთ მოვანილი სიღიდე -10^{-6} . ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს გავზომოთ წარმოქმნილი სიხშირული მდგრელების როგორც სიხშირები, ასევე ინტენსიურობები (ამპლიტუდები).

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შესაძლებელია გამოვიყენოთ დიფრაქციული მესერი, რომლის წინ (ან შემდეგ) დაყენებულია ეკრანი ერთნაირი ზომის გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე ზოლებით, რომლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს. ზოლები პარალელურებია მესერის ღრეჩოების. ზოლების სიგრძე ტოლია ღრეჩოების სიგრძის, ზოლო სიგანე ისეთია, რომ მასში თავსდება ღრეჩოების გარკვეული რაოდენობა (მაგ. ~ 100 ღრეჩო).


დავუშვათ მესერზე, მისი ზედაპირის პერპენდიკულარულად (სინათლის გავრცელების მიმართულება ემთხვევა მესერის მიმართ აღმართული ნორმალის მიმართულებას) ეცემა პარალელური სხივთა კონა (ბრტყელი ტალღა). ასეთ ტალღაში, იმ სიბრტყის ნებისმიერ წერტილში, რომელიც პერპენდიკულარულია სინათლის გავრცელების მიმართულებისა (ტალღის ფრონტი) ელექტრული ვექტორის (აგრეთვე მაგნიტურის) რხევები ხდება ერთ ფაზაში. შესაბამისად, მესერის ღრეჩოების ყველა წერტილის აგზნება ხდება ერთდროულად (სინქრონულად). სინათლე, რომელიც გადის მესერის ვიწრო ღრეჩოებში, განიცდის დიფრაქციას.

დიფრაქციის შედეგად სინათლე, რომელიც გაივლის თვითუულ ღრეჩოს, გავრცელდება ნებისმიერი კუთხით საწყისი მიმართულებიდან. მესერზე დაცემული პარალელური სხივთა კონა,

დიფრაქციის შემდეგ ავსებს მთელ სივრცეს თვითული ღრეჩოს შეძლებ. სინათლის სხივები, რომლებიც ვრცელდებიან სხვა და სხვა ღრეჩოებიდან, განიცდიან ინტერფერენციას ერთმანეთთან. სინათლის გავრცელების ზოგიერთი მიმართულებით ღრეჩოებიდან გამომავალი სინათლის სხივები აქრობენ ერთმანეთს, ხოლო ზოგიერთი სხვა მიმართულებით – აძლიერებენ.

როდესაც ორი მეზობელი ღრეჩოდან გამოსულ სხივებს შორის სვლათა სხვაობა - Δ ტოლია სინათლის ტალღის სიგრძის λ , მაშინ სხივები აძლიერებენ ერთმანეთს. იმისათვის, რომ ყველა სხივი აძლიერებდეს ერთმანეთს, საჭიროა, რომ ღრეჩოდან გამოსულ სხივებს შორის სვლათა სხვაობა შეადგენდეს ტალღის სიგრძის მთელ რიცხვს $\Delta=m\lambda$ ($m=1, 2, 3\dots$) 1). როდესაც სხივებს შორის სვლათა სხვაობა შეადგენს ტალღის სიგრძის ნახევარს $\Delta = \lambda/2$, მაშინ მესერის ღრეჩოებიდან გავრცელებული სინათლის ტალღები აქრიბენ ერთმანეთს და ამ მიმართულებით გვექნება λ ტალღის სიგრძის მქონე სინათლის მინიმუმი. ამ მიმართულებით აღნიშნული ტალღის სიგრძის სინათლე არ ვრცელდება.

დავუშვათ, რომ დიფრაქციულ მესერზე ეცემა ერთეულოვანი, მოკლე სინათლის იმპულსი (ბრტყელი ტალღა) მესერის ნორმალის მიმართულებით.



ნახ.6. დიფრაქციული მესერის გავლენა ერთეულოვან სინათლის იმპულსზე

ეს ნიშნავს, რომ მესერის ღრეჩოების ყველა წერტილი აიგზნება ერთდროულად. ჰიუგენს-ფრენელის პრინციპის მიხედვით, ეს წერტილები თვითონ ხდებან ტალღების წყაროები, რომლებიც ვრცელდებიან მესერის შემდეგ. ღრეჩოებიდან აგზნებები ვრცელდებიან სხვადასხვა მხარეს, მათ შორის მიმართულებითაც ნორმალიდან φ კუთხით. φ კუთხით გავრცელებული აგზნებები შემკრები L ლინზის დასხმარებით ხვდებიან P წერტილში (ფოტომიძლები). როგორც ნახ. 6 დან ჩანს, ცალკეული აგზნებები თვითული ღრეჩოდან ხვდებიან P წერტილში სხვადასხვა დროს. ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ, მესერის თვითული ღრეჩო იმყოფება უფრო შორს P წერტილისგან ვიდრე მისგან უახლესი ღრეჩო, რომელიც იმყოფება მის ქვემით ნახაზზე. ორ უახლეს ღრეჩოსა და P წერტილს შორის მანძილების სხვაობა შეადგენს Δ . Δ მანძილს სინათლე გადის დროში $T=\Delta/c$, სადაც c – სინათლის სიჩქარეა.

ამგარად P წერტილი მიიღებს შეშფოთებებს (სინათლის იმპულსებს) ერთი მეორის მიყოლებით, პერიოდულად, $T=\Delta/c$ დროის მონაკვეთის შემდეგ. დაგვიანების დრო T დამოკიდებულია φ მიმართულებაზე, ისე რომ თვითული φ - სთვის იქნება თავისი ზემოქმედების პერიოდი T . ნებისმიერ P წერტილში მესერის ზემოქმედებას გააჩნია პერიოდული ხასიათი, მაშინ როდესაც მესერზე დაცემული იმპულსი იყო ერთეულოვანი. რაც მეტი ღრეჩოები გააჩნია მესერს, მით მეტ შეშფოთებებს მიიღებს P წერტილი და მით მეტია მასზე პერიოდული ზემოქმედების ხანგრძლივობა. თუ მესერს გააჩნია N რაოდენობის ღრეჩო, მაშინ P წერტილი მიიღებს N რაოდენობის შეშფოთებებს. ფურიეს თეორემის თანახმად, პერიოდული ზემოქმედება, რომლის პერიოდია T შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც სინუსოდალური რხევების ერთობლიობა (ჯამი), რომელთა პერიოდებია $T, T/2, T/3\dots$ სინუსოდალური რხევების ამპლიტუდები დამოკიდებულია პერიოდული ზემოქმედების ხასიათზე, რომელიც განისაზღვრება

პირველადი იმპულსის ფორმითა და ხანგრძლივობით და მესერის გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე ზოლების ზომების თანაფარდობით. პერიოდული ზემოქმედების ასეთი გაშლა (წარმოდგენა) სინუსოიდალურ რხევებად ნიშნავს, რომ P წერტილში მოვლენები ხდება ისე, თითქოს ამ წერტილში მოდიან (ხვდებან) მონოქრომატული ტალღები, რომელთა ტალღის სიგრძეები შესაბამისად ტოლია $\lambda_1 = cT; \lambda_2 = cT/2; \lambda_3 = cT/3$.

ნათელად შეიძლება დავასკვნათ, რომ დიფრაქციული მესერიდან ფ მიმართულებით, რომელიც აკმაყოფილებს 1) პრობას, ვრცელდებან სინათლის ტალღები და ახლოებით სინუსოიდალური ფორმის. მიღებულ სინუსოიდალური ფორმის სინათლის ტალღას გააჩნია ცუგის გარკვეული სიგრძე და შეიცავს N რაოდენობის სრულ რხევას (N მაქსიმუმს და N მინიმუმს), სადაც N – მესერის ღრეჩოების რაოდენობაა. ეს ნიშნავს, რომ ერთულოვანი სინათლის იმპულსის ზემოქმედებით მესერი აგზავნის სინათლის ტალღის ცუგს, რომელიც შეიცავს N რაოდენობის იმპულსებს. თვითური ტალღა (თვითური იმპულსი) ცუგში წარმოიქმნება შემფოთებებით ერთი ღრეჩოსაგან (მეორე იმპულსი – მეორე ღრეჩოსაგან). ამგარად ერთულოვანი სინათლის იმპულსისაგან მესერის საშუალებით მიღება ტალღების ცუგი, რომელიც შეიცავს N რხევას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Шинаков Ю.С. Колодяжный Ю. М. Основы радиотехники. Москва, “Радио и связь”, 1983
2. Самойло К.А. (Под редакцией). Радиотехнические цепи и сигналы. Москва, “Радио и связь”, 1982
3. <http://conture.by/post/422>
4. Гоноровский И.С. Радиотехнические цепи и сигналы. Москва. “Радио и связь”. 1986
5. William McC. Siebert. Circuits, Signals and Systems 2. The Massachusetts Institute of Technology. 1986
6. Rcheulishvili A.The influence of Diffraction Grating to the Analyzed Light Waves Train's Length.
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, V 36, N1, 58-62, 2010

THE INFLUENCE OF DIFFRACTION GRATING ON MONOCHROMATIC LIGHT

Aleksandr Rcheulishvili

Institute of physics E. Andronikashvili

SUMMARY

High frequency electromagnetic wave amplitude modulation process is being discussed. Electrical signal which is sequence of right-angled impulses is used for modulation. Frequency spectrum of electromagnetic signal is shown. The results are generalized (transferred) for monochromatic light case. For modulation of high frequency amplitude of light, using the diffraction grating is suggested. It is shown that the diffraction grating increases the number of light train impulses. The quantity growth of strain impulses depends on the quantity of grating slit.

ВЛИЯНИЕ ДИФРАКЦИОННОЙ РЕШЕТКИ НА МОНОХРОМАТИЧЕСКИЙ СВЕТ

A. Rcheulishvili

Институт физики им. Э.Л. Андроникашвили

РЕЗЮМЕ

Рассмотрен процесс амплитудной модуляции высокочастотной электромагнитной волны. Для модуляции использован электрический сигнал, который представляет последовательность прямоугольных импульсов. Показан частотный спектр указанного, модулированного электрического сигнала. Полученные результаты обобщены (перенесены) на случай монохроматического света. Для высокочастотной амплитудной модуляции света предложено использование дифракционной решетки. Показано, что дифракционная решетка увеличивает число импульсов цугов света. Увеличение количества импульсов цуга зависит от количества штрихов решетки.

მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფიაში ზოგიერთი ძირალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული სტაციონალური ფაზების და ნორმალური მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების კლუირების რიგის შემჩრების რამდენიმე შემთხვევა, როგორც მოძრავი ფაზის, ასევე ქრალური სელექტორის ბუნებიდან გამომდინარე.

ხათუნა გოგალაძე, ნინო ზაქაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში აღწერილია ზოგიერთი ქრალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა მაღალეფებულ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული სტაციონალური ფაზების და ნორმალური მოძრავი ფაზების გამოყენებით. დადგენილია ენანტიომერების კლუირების რიგის შემჩრების რამდენიმე შემთხვევა, როგორც მოძრავი ფაზის, ასევე ქრალური სელექტორის ბუნებიდან გამომდინარე.

დღეისათვის მაღალეფებული სითხური ქრომატოგრაფია ენანტიომერული ნარევების დაყოფისა და ანალიზის ყველაზე მძლავრ მეთოდად არის აღიარებული. ამ მეთოდში გამოყენებული მრავალრიცხოვანი ქრალური სელექტორებიდან, განსაკუთრებული უნივერსალობით პოლისაქარიდების ფენილკარბამატები და ეთერები გამოირჩევა [1]. ქრალური სამკურნალწამლო საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს მათი ხარისხის კონტროლს, ამან განაპირობა ენანტიომერული ნარევების ანალიზური და პრეპარატული დაყოფის მეთოდების დამუშავების აქტუალობა.

ბეტა-ბლოკატორები წარმოადგენს სამკურნალწამლო საშუალებების საკმაოდ დიდ ჯგუფს. მათი დახმარებით ხდება გულის არითმის და ჰიპერტენზიის რეგულირება. ისინა ნორადრენალინისა და ადრენალინის ანტაგონისტები არიან და შესაბამისად იწვევენ მათ ბლოკირებას ადამიანის ორგანიზმში. ამ ჯგუფის სამკურნალწამლო ნივთიერებებიდან უმრავლესობა ქრალურ ნივთიერებებს წარმოადგენს. როგორც წესი, ქრალური ბეტა-ბლოკატორების ენანტიომერები განსხვავებული ფარმაკოლოგიური მოქმედებით ხასიათდება. ბეტა-ბლოკატორების უმრავლესობისათვის S-ენანტიომერი 10-500-ჯერ უფრო აქტიურია R-ენანტიომერთან შედარებით [2]. აქედან გამომდინარე, აუცილებელია როგორც ამ ჯგუფის სამკურნალწამლო საშუალებათა ენანტიომერულად სუფთა ფორმით წარმოება, ასევე მათი ენანტიომერული სისუფთავის კონტროლი.


ნაშრომში მოცემულია ზოგიერთი ქრალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების ნარევების დაყოფა და ამ პროცესზე მოძრავი ფაზისა და ქრალური სელექტორის ბუნების გავლენა, ენანტიომერების ელუირების რიგი და მისი ცვლილების პირობები.

კვლევებში გამოყენებული იყო 26 ბეტა-ბლოკატორი (ნახ.1): ალპრენოლოლი, ატენოლოლი, აცეტუტოლოლი, ბეტაქსოლოლი, ბისოპროლოლი, ბონიტროლოლი, ბუპრანოლოლი, ესმოლოლი, კარაზოლოლი, ლაბეტალოლი, მაბუტეროლი, მეტოპროლოლი, მეტიპრანოლოლი, ნადოლოლი, ნიფენალოლი, ოქსპრენალოლი, პენბუტეროლი, პინდოლოლი, პროკატეროლი, პრიპრანოლოლი, ცელიპროლოლი, სოტალოლი, ფენეტეროლი, ტერტატოლოლი, ტოლიპროლოლი. მათი უმრავლესობა შემქილია Sigma-Aldrich-დან (Taufkirchen, Germany).

კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ექვსი ქრალური სვეტი: Lux Cellulose-1, Lux Cellulose-2, Lux Cellulose-3, Lux Cellulose-4 და Lux Amylose-2, რომლებიც მოწოდებულია კომპანია Phenomenex-ის მიერ (ტორანსი, კალიფორნია, აშშ) და ამილოზას ტრის(3,5-დიმეთილფენილკარბამატე) -ის საფუძველზე მომზადებული ექსპერიმენტული სვეტი (ADMPC), რომელიც მიღებულია კომპანია Enantiosep – ის მიერ (მიუნისტერი, გერმანია). ქრალური სელექტორების სტრუქტურა ამ სვეტებში აღწერილია ჩვენს ადრინდელ ნაშრომში [3].

ექსპერიმენტი ტარდებოდა Agilent 1220 სერიის სითხურ ქრომატოგრაფზე, რომელიც აღჭურვილია ბინარული ტუმბოთი და ერთტალღიანი ულტრაინისფერ-ხილული დეტექტორით. დეტექტირება ხდებოდა 254 ნმ-ზე.

ბეტა-ბლოკატორები ფუძე ბუნების ნივთიერებები არიან. ქრალურ ქრომატოგრაფიაში არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მათი დაყოფა უმჯობესია მოძრავ ფაზაში ფუძე დანამატის გამოყენებით [1,3], ამიტომ ელუინტის ძირითად დანამატად გამოვიყენეთ დიეთოლამინი – (დეა).



ნახ. 1 ნაშრომში გამოყენებული ნივთიერებების სტრუქტურული ფორმულები

კვლევები მიმდინარეობდა ნორმალურ ფაზაში ნ-ჰექსანისა და იზოპროპანოლის ოთხი კომბინაციისა (ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 50/50/0,1; ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 60/40/0,1; ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 80/20/0,1; ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 90/10/0,1;) და ნ-ჰექსანისა და ეთანოლის ხუთი კომბინაციის (ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 50/50/0,1; ჰექსანი/ეთანოლი/დეა 60/40/0,1; ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1; ჰექსანი/ეთანოლი/დეა 90/10/0,1; ჰექსანი/ეთანოლი/ჭიანჭველამჟავა 80/20/0,036) გამოყენებით.


მოძრავი ფაზის გავლენა ენანტიომერების დაყოფაზე.

26 ქირალური ბეტა-ბლოკატორის სკრინინგისას მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები: ნორმალურ ფაზაში ნ-ჰექსანის გაზრდამ როგორც იზოპროპანოლთან, ასევე ეთანოლთან კომბინაციაში გააუმჯობესა ენანტიომერების დაყოფები, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გაიზარდა ანალიზის დროც. მაგალითისთვის კარაზოლოლისა და ნიფენალოლის ენანტიომერების დაყოფების ქრომატოგრამები ცელულოზა-2 სვეტზე წარმოდგენილია ნახ. 2-ზე.


ქირალური სელექტორის ბუნების გავლენა ენანტიომერების დაყოფაზე.

ენანტიომერების დაყოფის სელექტივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქირალური სელექტორის ბუნებაზე. მაგალითისთვის ნახ.3-ზე წარმოდგენილია ცელიპროლოლისა და ტერტატოლოლის ენანტიომერების დაყოფის ქრომატოგრამები.


ექვს ქირალურ პოლისაქარიდულ სვეტზე 26 ქირალური ბეტა ბლოკატორის ენანტიომერების ნაწილობრივი და ფუძისეული დაყოფის შედეგები, როდესაც მოძრავ ფაზად გამოყენებული იქნა ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 80/20/0,1 წარმოდგენილია ნახ. 4ა-ზე, ხოლო როდესაც მოძრავი ფაზა იყო ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1 ნახ. 4ბ-ზე.




ნაზ. 2 ნიფენალოლის (ა და ბ) და კარაზოლოლის (გ და დ) ენანტიომერების დაყოფა ცელულოზა-2 სვეტზე მოძრავ ფაზად
ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 50/50/0,1 (ა და გ) ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 80/20/0,1(გ და დ)
გამოყენებისას.



ნაზ. 3 ცელიპროლოლის (ა და ბ) და ტერტატოლოლის (გ და დ) ენანტიომერების დაყოფა ცელულოზა-2 (ა და ბ) და ცელულოზა-1 სვეტებზე (გ და დ) მოძრავი ფაზად ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლი/დეა 50/50/0,1 გამოყენებისას.




ნახ 4ა. 26 ბეტა-ბლოკატორის ფუძისეული და ნაწილობრივი დაყოფის კუმულატური მაჩვენებელი მოძრავი ფაზად ნ-ჰექსანი/იზოპრპანოლი/დეა 80/20/0,1 გამოყენებისას.



ნახ 4ბ. 26 ბეტა-ბლოკატორის ფუძისეული და ნაწილობრივი დაყოფის კუმულატური მაჩვენებელი მოძრავ ფაზად ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1 გამოყენებისას.


ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება ქირალური სელექტორის ბუნების გავლენით.

ენანტიომერების ელუირების რიგის დადგენის მიზნით კვლევების შემდეგ ეტაპზე გამოყენებული იყო ნიმუშები ენანტიომერების 2/1-თან თანაფარდობით. დადგენილი იქნა ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნების რამდენიმე შემთხვევა: როდესაც მოძრავ ფაზად გამოყენებული იყო ნ-ჰექსანი/იზოპრპანოლი/დეა 80/20/0,1, ქირალური სელექტორის ბუნების მიხედვით ელუირების რიგი შებრუნდა აცებუტოლოლის, ბეტაქსოლოლის, ბოპინდოლოლის, ესმოლოლის, კარაზოლოლის, პენბუტოლოლის, სოტალოლის და ტერტატოლოლის ენანტიომერებისათვის. ნახ. 5-ზე მაგალითის სახით მოტანილია პროპრანოლოლის ენანტიომერების ელუირების რიგის შებრუნება ცელლულოზა-1 და ცელულოზა-4 სვეტის ალტერნატიული გამოყენებისას.



ნახ.5 პროპრანოლოლის ენანტიომერების დაყოფა ცელულოზა-1 (ა) და ცელულოზა-4 (ბ) სვეტებზე მოძრავ ფაზად ნ-ჰექსანი/იზოპროპანოლოლი/დეა 80/20/0,1

როდესაც მოძრავ ფაზად გამოვიყენეთ ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1 ქირალური სელექტორის ბუნების მიხედვით ელუირების რიგი შებრუნდა კარაზოლოლის, ნიფენალოლისა და ტერტატოლოლის ენანტიომერებისათვის. ტერტატოლოლის ენანტიომერების დაყოფა მოხდა ცელულოზა-1, ცელულოზა-4, ამილოზა-2-სა და ADMPC ქრომატოგრაფიულ სვეტზე. ელუირების რიგის შებრუნება ცელულოზა-4 სვეტზე ზემოთ ხსნებულ ყველა სხვა სვეტთან შედარებით მოხდა როდესაც მოძრავ ფაზაში გვქონდა ფუძე ბუნების დანამატი (ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1) (ნახ.6ა) ამ უკანასკნელის ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა მოძრავ ფაზაში მუავა დანამატის დროს (ნ-ჰექსანი/ეთანოლი/ჭიანჭველამჟავა 80/20/0,036) ცელულოზა-1 სვეტიდან ცელულოზა-4 სვეტზე გადასვლისას ნახ. 6.



ნახ.6 ტერტატოლოლის ენანტიომერების დაყოფა ცელულოზა-1 და ცელულოზა-4 სვეტებზე მოძრავ ფაზად ნ-ჰექსანი/ეთანოლი/დეა 80/20/0,1 (ა და ბ) და ნ-ჰექსანი/ეთანოლი/ჭიანჭველამჟავა 80/20/0,036 (გ და ღ).

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ზოგიერთი ქირალური ბეტა-ბლოკორის ენანტიომერების დაყოფის წინასწარი პირობები პოლისაქარიდული ტიპის ქირალური სტაციონალური ფაზებისა და ნორმალურფაზიანი ელუქნებულების გამოყენებით. გარდა ამისა, შესწავლილია ენანტიომერების ელუირების რიგი და დადგენილია მისი შებრუნვების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა. ენანტიომერების ელუირების რიგის შემდგომ კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. B. Chankvetadze. Recent developments on polysaccharide-based chiral stationary phases for liquid-phase separation of enantiomers, J. Chromatogr. A, 1269 (2012) 26.
2. J. Agustiana, A.H. Kamaruddina, S. Bhatiaa, Single enantiomeric beta-blockers – The existing technologies, Proc. Biochem., 45 (2010) 1587–1604.
3. Kh. Gogaladze, L. Chankvetadze, M. Tsintsadze, T. Farkas, B. Chankvetadze. Effect of basic and acidic additives on the separation of some basic drug enantiomers on polysaccharide-based chiral columns with acetonitrile as mobile phase, Chirality (2015), DOI:10.1002/CHIR.22417.

HIGH-PERFORMANCE LIQUID CHROMATOGRAPHIC SEPARATION OF SOME BETA-BLOCKER ENANTIOMERS IN NORMAL PHASE BY USING OF POLYSACCHARIDE TYPE CHIRAL STATIONARY PHASES

Khatuna Gogaladze, Nino Zakashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper describes separation of enantiomers of some chiral beta-blockers in high-performance liquid chromatography using of polysaccharide-based chiral stationary phases and normal-phase eluents. Some examples of enantiomer elution order reversal were observed based on the nature of a mobile phase, as well as chiral selector.

РАЗДЕЛЕНИЕ ЭНАНТИОМЕРОВ НЕКОТОРЫХ ХИРАЛЬНЫХ БЕТА-БЛОКАТОРОВ МЕТОДОМ ВЫСОКОЭФФЕКТИВНОЙ ЖИДКОСТНОЙ ХРОМАТОГРАФИИ НА ПОЛИСАХАРИДНЫХ ХИРАЛЬНЫХ СТАЦИОНАРНЫХ ФАЗАХ С ПРИМЕНЕНИЕМ НОРМАЛЬНОЙ ПОДВИЖНОЙ ФАЗЫ

Х.Е. Гогаладзе, Н.Б. Закашвили
Тбилисский Государственный Университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Изучено разделение энантиомеров некоторых хиальных бета-блокаторов методом высокоэффективной жидкостной хроматографии с применением полисахаридных хиальных стационарных фаз и нормальной подвижной фазы. Найдено несколько интересных примеров обращения ряда элюирования зависимости от природы стационарной фазы и добавков к подвижной фазе.

PHAZE COMPOSITION, STRUCTURAL CHARACTERISTICS AND PHYSICOCHEMICAL PROPERTIES OF $\text{LiMe}_x\text{Ni}_{0.5-x}\text{Mn}_{1.5}\text{O}_4$ -TYPE COMPOUNDS (Me = Co, Cr), AS CATHODE MATERIALS FOR Li-ION BATTERIES

E.Kachibaia, R.Imnadze, T.Paikidze, D.Dzanashvili, T.Machaladze, E.Kvaratskhelia

*R.Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 11 Mindeli st., Tbilisi 0186, Georgia
Kachibaia@hotmail.com*

Structuring process of $\text{LiMe}_x\text{Ni}_{0.5-x}\text{Mn}_{1.5}\text{O}_4$ ($x = \text{Cr, Co, } 0 \leq x \leq 0.4$) – type compounds as LIA promising cathode materials was investigated. It was shown that by optimization of Li-Cr-Ni-Mn and Li-Co-Ni-Mn acetates eutectic mixtures calcination temperature it is possible to prepare phase pure nanosized samples with cubic structure. The elaborated compounds could be of interest as cathode materials for powerful lithium-ion accumulators.

Currently, lithium power sources (LPS) are used in a wide variety of stand-alone facilities [1]. LPS occupy one of the leading places among chemical power sources in the world. At the same time intensive work is underway worldwide on their further improvement. Lithium-ion accumulators (LIA) have undeniable advantages due to the high activity of lithium, the lowest value of self-discharge and high enough safety. LIA exhibits high specific volumetric (up to 350 Wh/g) and mass energy (up to 150 Wh/g). Mentioned parameters are continuously improving. Lithium-ion accumulator batteries (LIB) are used in cameras, laptops, phones and other electronic devices, along with electric vehicles, etc. Many leading companies are working on LIB utilization in spacecrafts, as well as on their implementation as major source of energy for nonnuclear submarines. One of the basic requirements for the development of large-scale manufacturing of powerful energy-intensive LIB, in particular for their application in electric vehicles, is to reduce their price. Electrode materials represent a significant portion of LIB cost. It is known that cheaper and ecologically acceptable lithiated manganese oxides represent an alternative to widely used expensive cathode material - LiCoO_2 , capable to reversibly intercalate-deintercalate lithium ions. However their utilization in powerful LIB requires solving both technological and fundamental problems. Obtaining of nanostructured materials is of particular relevance for exploration of promising electrodes for LIA [2,3]. In recent years there is great interest towards nanostructure materials, since they show better electrochemical characteristics than corresponding microstructural compounds. In this case, the progress of lithium-ion technology is accompanied by the development of new electrode materials with higher energy storage capacity and rate of lithium diffusion, greater power density, long life, etc.

17. М.Д. Алания, М.И. Исаев, Э.П. Кемертелидзе, Н.К. Абубакиров, М.Б. Горовиц, Н.Д. Абдуллаев. Тriterpenовые гликозиды *Astragalus* и их генины XVI. Циклогалегинозиды A и B из *Astragalus galegiformis*. Химия природ. соедин., 1984, 4, 477-479.
18. Т.Г.Сагарешвили, М.Д. Алания, Э.П.Кемертелидзе. Способ получения высокочистого робинина, Р 5341, 30.04.1999.

საქართველოს ფლორის *Astragalus bungeanus Boriss* და *Astragalus kadshorensis Bunge* შედარებითი ძიმიური ანალიზი

ზურაბ აფაქიძე, მარინა სუთიაშვილი, ჯემალ ანელი, მარიამ მოისტრაფიშვილი, სონა პარამიშვილი*, მილენა მასულო*, მერი ალანია

აიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, პ.სარაჯიშვილის ქ. 36, 0159, თბილისი

*სალერნოს უვიզერსიტეტი, სამედიცინო და ფარმაცევტული მეცნიერების დეპარტამენტი, იტალია

რეზიუმე

ჩატარებულია *Astragalus bungeanus Boriss* და *Astragalus kadshorensis Bunge*-ს შედარებითი ქიმიური ანალიზი. ორივე ობიექტიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია 12 ინდივიდი (6 განსაზღვებული სატრუქტურით). ყვავილებიდან გამოყოფილია ანთოციანური გლიკოზიდები - აპიგნიდინ-7-O-β-D-გლუკოზიდი და ლუტეოლიდინ-7-O-β-D-გლუკოზიდი; მიწისზედა ნაწილებიდან - ოქსიგუმარინები - სკოპოლეტინი და სკოპოლინი; ფესვებიდან იზოლირებულია ციკლოარტანული გლიკოზიდი ციკლოგალეგინოზიდი A. ნივთიერებათა აღნავობა დადგენილია ინდივიდების და მათი გარდაქმნის პროცესების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და სპექტრული (უ, იტ და ბმრ ¹H) მონაცემების შესწავლით. *Astragalus bungeanus Boriss*-ის ყვავილებში განსაზღვრულია ანთოციანების რაოდენობა - არანაკლებ 0.15%, მიწისზედა ნაწილებში ფლავონოიდების შემცველობა - 0.60%, ბიოლოგიურად აქტიურ სუბსტანციაში - 2%.

COMPARATIVE CHEMICAL ANALYSIS OF *Astragalus bungeanus Boriss* AND *Astragalus kadshorensis Bunge* FROM GEORGIAN FLORA

Zurab Apakidze, Marina Sutiashvili, Jemal Aneli, Mariam Moistsrapishvili, Sonia Piacente*, Milena Masullo*, Meri Alania

Tbilisi State Medical University, I.Kutatadze Institute of Pharmacochemistry, P.Sarajishvili st. 36, 0159, Tbilisi

* University of Salerno, Department of BioMedical and Pharmaceutical Science, Giovanni Paolo II st., 132, 84084 Fisciano SA

SUMMARY

The comparative analysis of *Astragalus bungeanus Boriss.* and *Astragalus kadshorensis Bunge.* was carried out. 12 individual compounds (with 6 various structures) were isolated and identified from both plants. There were isolated: anthocyanin glycosides – apigenidin-7-O-β-D-glucoside and luteolinidin-7-O-β-D-glucoside from flowers; oxycoumarins – scopoletin and scopolin from overground parts. Cycloartan glycoside – cyclogaleginoside A was isolated from the rhizomes. The structures of isolated compounds were established by studying of physical and chemical properties of isolated compounds and their chemical transformation derivatives, also by measuring of spectral (UV, IR, NMR) data. The quantitative content of anthocyanins was determined in flowers of *Astragalus bungeanus Boriss.* and is not less than 0.15 %. The content of flavonoids is 0.6 % in overground parts and 2 % in the biologically active substance.

ფოსფოროვანი სასუქების სხვადასხვა ფორმების გაცლენა ზოთელმიწა
ნიადაგში მოძრავი ფოსფორის შემცველობაზე

ნინო კიკნაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს გააჩნია ჩაის პროდუქციაზე ქვეყნის მოთხოვნილების დაგძაფულების, ჩაის ექსპორტ-იმპორტში დეფიციტის აღმოფხვრისა და წარმოების ოპტიმალური მასშტაბით განვითარების რეალური პოტენციალი, ბაზრის კონკურენციის გათვალისწინებით. მეჩაიერის დარგის რეაბილიტაციის ერთ-ერთი ეფექტური ღონისძიებებაა კონკრეტულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში სასუქების ფორმების სწორი შერჩევა, იგი დამოკიდებულია მცნარის თავისებურებაზე, ნიადაგის თვისებებზე, აგროტექნიკურ ღონისძიებებზე, რაც უზრუნველყოფს ჩაის მოსაცვლიანობის და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ჩვენს მიერ შეისწავლილია ფოსფოროვანი სასუქების სხვადასხვა ფორმების გავლენა წითელმიწა ნიადაგში მოძრავი ფოსფორის შეცველობაზე, მათში ფოსფატების ბოლო შეტანიდან 24 წლის შემდეგ. 1990 წლის შემდეგ, ფოსფატების შეუტანლობამ ნიადაგში გამოიწვია მათი რაოდენობის კლება და 1998 წელს შეადგინა 20,5-45,0 მგ/100გ P₂O₅ ნიადაგზე. მოუხედავად ამისა, მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით ნიადაგები მაინც საშუალო და ამაღლებული უზრუნველყოფის მდგრამარეობაშია. ფოსფატების ფორმებს შორის გამოირჩევა ფტორმოცილებული ფოსფორისა და ორმაგი სუპერფოსფატის შეტანის ვარიანტები. 2014 წლის გამოკვლევებით კი, წითელმიწა ნიადაგები აშკარად განიცდიან მოძრავი ფოსფორის დეფიციტს, ფოსფორით უზრუნველყოფა სუსტია და შეადგენს 10,3-15,0მგ/100გ ნიადაგზე. ნიადაგები საჭიროებენ ფოსფოროვანი სასუქების შეტანას P₂O₅ 120-150 კგ/ჰა დოზით.

მინერალური სასუქების საჭირო ასორტიმენტით სოფლის მეურნეობის ზურუნველყოფისათვის, აუცილებელია მათი სახეებისა და ფორმების აგროქიმიური და კონომიკური ეფექტიანობის შესწავლა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, კონკრეტულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში. სასუქების ფორმების სწორი შერჩევა დამოკიდებულია მცნარის თავისებურებაზე, ნიადაგის თვისებებზე, აგროტექნიკურ ღონისძიებებზე და სხვა პირობებზე. ეს უზრუნველყოფს მოსავლიანობის ამაღლებას, ხანგრძლივ შემდეგებულებას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას [1, 2, 3].

დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგები ხასიათდებიან ფოსფორმჟავას შთანთქმის მაღალი უნარით, რაც განპირობებულია მათში ერთნახევარი ჟანგეულების (Al₂O₃, Fe₂O₃) ამფოტერული კლიმატიდების არსებობით, რომელთაც ბაზოიდური თვისებები ახასიათებთ. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ფოსფორიანი სასუქების ისეთი ფორმების გამოვლენას და შერჩევას, რომელთა ფოსფორმჟავა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული შესათვისებელ ფორმაში და უზრუნველყოფს მცნარის ნორმალურ განვითარებას და ვეგეტაციას [4]. წითელმიწების მაღალი მუავიანობა სავსებით საკმარისია წყალში მნელად ხსნადი კონცენტრირებული ფოსფატების გახსნისათვის, რომელთა შემადგენლობაში შემავალი ფოსფორი შესათვისებელი ხდება მცნარისათვის [5, 6].

საქართველოს გააჩნია ქვეყნის მოთხოვნილების დაგძაფულების რეალური პოტენციალი ჩაის ექსპორტ-იმპორტის დეფიციტის აღმოფხვრისა და წარმოების (თავდაპირველად თუნდაც 2-3ათასი ჰა) განვითარების თვალსაზრისით. ასეთ პირობებში სავსებით შესაძლებელი იქნება ჩაის ბუჩქის მოვლა-მოყვანისა და ნიადაგის განყიერების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება-დანერგვა, გამოვლინდება წარმოების ეფექტურიანობის შემაფერხებელი ფაქტორები და შემუშავდება რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის, რათა გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები და მოხდეს მიღებული შედეგების განზოგადება [7].

ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების ფორმების ეფექტურობა ჩაის პლანტაციებში წითელმიწა ნიადაგზე ისწავლებოდა 1954 წლიდან გ.ნ.ურუშაძის მიერ, ანასეულში, №74 საცდელ ნაკვეთზე. პლანტაცია გაშენებულია 1950 წლის გაზაფხულზე ჩაის თესლით, ჯიში “კიმინი”. ცდის დაყენების წელს შეტანილი იყო 100 კგ/ჰა ამონიუმის სულფატის სახით და K₂O კგ/ჰა KCl-ის სახით. მინდვრის ცდა დაყენებული იქნა შემდეგი სქემით:

1. N₂K₂ – ფონი
2. ფონი + მარტივი სუპერფოსფატი (P_b 18% P₂O₅)
3. ფონი + ორმაგი სუპერფოსფატი (P_{mb} 44,6% P₂O₅)
4. ფონი + ფოსფატწილა “აზოვსტალი” (P_ფ 12,0% P₂O₅)
5. ფონი + ფტორმოცილებული ფოსფატი (P_{ფფ} 30,0% P₂O₅).

ფოსფორიანი სასუქების აღნიშნული ფორმების გამოცდა ხდებოდა პერიოდულად-4 წელში ერთხელ, ორი დოზით: 150 და 300კგ/ჰა. აზოტი შეიტანებოდა ამონიუმის სულფატის სახით-200 კგ/ჰა. კალიუმიანი სასუქები კალიუმის ქლორიდის სახით-120 კგ/ჰა დოზით. აღნიშნულ საცდელ ნაკვეთზე, მინდვრის ცდის სქემის მიხედვით, სასუქები შეტანილია 1990 წლამდე, ხოლო მას შემდეგ არ შეტანილა. ყოფილ №74 საცდელ ნაკვეთზე, ვარიანტების მიხედვით აღებულ ნიადაგის ნიმუშებში, ჩვენს მიერ განისაზღვრა მოძრავი ფოსფატების შემცველობა ონიანის მეთოდით 1984-1986, 1990, 1998 და 2014 წლებში. შედეგები მოტანილია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1. მოძრავი ფოსფორის შემცველობაზე წითლმიწა ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქების სხვადასხვა ფორმების შეტანის ფონზე

| № | ვარიანტი | სიღრმე, სმ | მოძრავი P ₂ O ₅ , მგ/100გ ნიადაგზე (0,1 _H H ₂ SO ₄) | | | |
|---|----------------------------|---------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|-----------|-----------|
| | | | 1984-1986 წწ. საშ. | 1990წელი | 1998 წელი | 2014 წელი |
| 1 | NK -ფონი | 0-15 | 20,5 | 17,0 | 13,2 | 7,3 |
| | | 15-30 | 8,5 | 7,5 | 6,4 | 3,5 |
| | | 30-45 | 7,5 | 7,0 | 5,0 | 1,6 |
| 2 | ფონი + P _b 150 | 0-15 | 45, 5 | 47, 0 | 25, 0 | 11,4 |
| | | 15-30 | 18, 5 | 19, 0 | 17, 5 | 9,2 |
| | | 30-45 | 14, 3 | 14, 5 | 12, 2 | 7,3 |
| 3 | ფონი + P _{mb} 300 | 0-15 | 70, 0 | 75, 0 | 39, 5 | 14,8 |
| | | 15-30 | 35, 5 | 37, 0 | 26, 0 | 11,5 |
| | | 30-45 | 18, 5 | 19, 0 | 18, 0 | 9,2 |
| 4 | ფონი + P _{mb} 150 | 0-15 | 50, 0 | 53, 0 | 30, 5 | 13,0 |
| | | 15-30 | 46, 8 | 47, 5 | 26, 0 | 10,7 |
| | | 30-45 | 22, 5 | 23, 0 | 22, 0 | 8,8 |
| 5 | ფონი + P _{mb} 300 | 0-15 | 82, 5 | 87, 0 | 43, 0 | 14,8 |
| | | 15-30 | 31, 1 | 33, 0 | 31, 0 | 13,5 |
| | | 30-45 | 24, 0 | 25, 0 | 25, 0 | 11,4 |
| 6 | ფონი + P _ფ 150 | 0-15 | 42, 0 | 44, 0 | 20, 5 | 10,3 |
| | | 15-30 | 34, 0 | 35, 0 | 14, 0 | 7,5 |
| | | 30-45 | 26, 5 | 27, 0 | 10, 0 | 5,8 |
| 7 | ფონი + P _ფ 300 | 0-15 | 77, 0 | 80, 5 | 28, 0 | 12,9 |
| | | 15-30 | 47, 3 | 48, 5 | 18, 0 | 8,6 |
| | | 30-45 | 31, 0 | 32, 0 | 11, 0 | 7,5 |
| 8 | ფონი + P _{ფფ} 150 | 0-15 | 47, 3 | 49, 0 | 38, 0 | 15,0 |
| | | 15-30 | 47, 5 | 48, 0 | 28, 0 | 12,5 |
| | | 30-45 | 34, 0 | 35, 0 | 21, 6 | 10,4 |
| 9 | ფონი + P _{ფფ} 300 | 0-15 | 99, 0 | 103, 0 | 45, 0 | 15,0 |
| | | 15-30 | 75, 7 | 77, 0 | 36, 0 | 14,2 |
| | | 30-45 | 36, 6 | 37, 0 | 26, 4 | 12,3 |

მოძრავი ფოსფორის შემცველობის 1984-1986წწ. საშუალო მონაცემები უჩვენებენ, რომ მოძრავი ფოსფორის რაოდენობა NK-ფონთან შედარებით გაზრდილია ყველა ვარიანტზე თითქმის 2-2,5-ჯერ-ფოსფატების ერთმაგი დოზის შემთხვევაში და 3,5-4,5-ჯერ-ორმაგი დოზის გამოყენებისას. გან-

საკუთრებით გამოიჩევა ორმაგი სუპერფოსფატისა და ფტორმოცილებული ფოსფატის შეტანის ვარიანტები, დანარჩენ ფორმებს შორის არსებითი სხვაობა არ არის. ყველა ვარიანტზე, მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით, წითელმიწვები ოპტიმალური და მაღალი უზრუნველყოფის მდგომარეობაშია [1]. 1984-1986 წლებში, ფონის ვარიანტზე მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობა 0-15 სმ სიღრმის ფენაში 20,5 მგ-ია, 1990 წელს-17, ხოლო 1998 წელს-13,2 მგ/100გ ნიადაგზე.

1990 წელსაც დაფიქსირდა ორმაგი სუპერფოსფატისა და ფტორმოცილებული ფოსფატის ერთგვარი უპირატესობა სხვა ფორმებთან შედარებით, წითელმიწა ნიადაგის მოძრავი ფოსფორის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 1986 წლის შემდეგ, 4 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იქნა შეტანილი ნიადაგში ფოსფორიანი სასუქების ყველა გამოსაცდელი ფორმა ცდის სქემის მიხედვით, რამაც განაპირობა 1990 წელს აღნიშნულ ვარიანტებზე ნიადაგში მოძრავი P_2O_5 -ის მატება, ნიადაგები მაღალი და ძლიერ მაღალი უზრუნველყოფის მდგომარეობაშია-მოძრავი ფოსფორის კონცენტრაცია შეადგენს 44,0-103,0 მგ/100გ.

1990 წლის შემდეგ, სასუქების უქონლობის გამო, ცდის ვარიანტებზე ფოსფატების შეტანა შეწყდა, რის გამოც მოძრავი ფოსფორის რაოდენობამ თანდათან იკლო და 1998 წელს შესაბამისად შეადგინა 20,5-45,0 მგ/100გ ნიადაგზე, ანუ 1990 წელთან შედარებით, მოხდა ამ მაჩვენებლის კლება 2,1-2,3-ჯერ. მიუხედავად აღნიშნული კლებისა, მოძრავი ფოსფორის შემცველობის მიხედვით, ყველა ვარიანტზე ნიადაგი საშუალო ან ამაღლებული უზრუნველყოფის ფარგლებშია. ეს მოვლენა აიხსნება, პირველ რიგში, წითელმიწებზე ფოსფატების ხანგრძლივი შემდეგქმედების უნარით და ,მეორე რიგში, ჩაის პლანტაციების რიგთაშორისების (1,25მ) ძლიერ შემჭიდროებით, მცენარის განვითარებასთან დაკავშირებით, რის გამოც სასუქების შეტანა წარმოებდა ვიწრო (25-30 სმ) ზოლში, რომელზეც ხდებოდა ნიადაგის ნიმუშების აღება. 1998 წელსაც დაფიქსირდა ორმაგი სუპერფოსფატის და ფტორგამოცლილი ფოსფატის უპირატესობა, განსაკუთრებით მათი ორმაგი დოზების შეტანის ვარიანტებზე (შესაბამისად-43,0-45,0 მგ/100გ).

2014 წელს აღებული ნიმუშების ანალიზმა გამოავლინა, რომ სასუქების ბოლო შეტანიდან 24 წლის შემდეგ, ნიადაგები იმყოფება მოძრავი ფოსფორით სუსტი უზრუნველყოფის მდგომარეობაში. 0-15 სმ ფენაში მათი შემცველობა მერყეობს 11,4-15 მგ/100გ ფარგლებში. ფონის ვარიანტზე მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობა ძლიერ სუსტია-7,3 მგ/100გ. 1998 წელთან შედარებით, მოძრავი ფოსფორის შემცველობა ნიადაგებზი შემცირდა საშუალოდ 2,2-3-ჯერ. ამრიგად, წითელმიწა ნიადაგები აშკარად განიცდიან მოძრავი ფოსფორის დეფიციტს და საჭიროებენ ფოსფოროვანი სასუქების შეტანას P_2O_5 120-150 კგ/ჰა დოზით, მათი ნაყოფიერების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ო.ონიანი. ნიადაგის ქიმიური ანალიზი. –თბილისი: გამოცემლობა “განათლება”, 1975. გვ. 287-324.
2. Путкарадзе Ш. А. Урожайность чайных плантаций в связи с эффективностью последействия концентрированных и термических фосфатов // Субтропические культуры. 1972. № 4. С.32-36.
3. Берадзе М.З. Эффективность новых и перспективных форм сложных удобрений на чайных плантациях и превращение их в краснозёмной почве: Автoreферат диссертации кандидата сельскохозяйственных наук. – Москва, 1983. – 16 с.
4. Жмакин М. Всё об удобрении. Издательство: РИПОЛ классик. 2011. -240с.
5. Hernando V., Pardo M. Effect of fertilization and development of plants on the forms of inorganic phosphorus in soils // Agrochimia. 1975. V.19, №3/4. P.201-210.
6. Гринец Л.В. Подвижные соединения фосфорной кислоты и их динамика на чернозёмах обыкновенных Северного Казахстана // Известия Оренбургского Государственного аграрного университета. Выпуск №32-1, том 4. 2011. С.42-44.
7. http://chaidrink.blogspot.com/p/blog-page_2595.html ჩაი და მისი ადგილი საქართველოში.

INFLUENCE OF PHOSPHOROUS FERTILIZERS ON CONSISTENCY OF MOVABLE PHOSPHORUS IN RED SOILS

Nino Kiknadze
Batumi Shota Rustaveli State University

SUMMARY

Georgia via considering market conjuncture has real potential to solve the problem of tea products deficit on Georgian market and development of production of tea products with optimal scales. Selecting proper forms of fertilizers in certain climatic area is one of the methods of rehabilitation of tea-growing; such selection depends on plant peculiarities, specifications of soil, agro-technical measures which provides tea producing and production quality enhancement. Influence of phosphorous fertilizers on consistency of movable phosphorus in red soils was studied under the present study after 24 years since phosphates were put in red soils. Lack of phosphates in red soils since 1990 caused decrease of their quantity in soils and their consistency in land equaled to 20,5-45,0 Mg/100g P₂O₅ in 1998, but despite this soils conditions are normal and improved. Among forms of phosphates putting phosphorus free from fluorine and double superphosphates are the best alternatives. According to the studies in 2014 red soils are experiencing lack of movable phosphates, feeding soils with phosphorus is poor and it equals to 10,3-15,0Mg/100g per soil. Soils require phosphorus fertilizers with the following dosages P₂O₅ 120-150 kg/ha.

ВЛИЯНИЕ РАЗНЫХ ФОРМ ФОСФОРНЫХ УДОБРЕНИЙ НА СОДЕРЖАНИЕ ПОДВИЖНОГО ФОСФОРА В КРАСНОЗЁМНОЙ ПОЧВЫ

Н.О.Кикнадзе
Батумский Государственный университет Шота Руставели

РЕЗЮМЕ

Грузия обладает реальным потенциалом удовлетворения потребности Страны на чайную продукцию, на ликвидирование дефицита в экспорт-импорте чая и на развитие его производства оптимальным масштабом, учитывая конъюктуру рынка. Одним из эффективных мероприятий реабилитации чайной отрасли является в конкретных почвенно-климатических условиях правильный выбор форм удобрений, который зависит от особенностей растения, свойства почвы, агротехнических мероприятий и обеспечивает повышение урожайности и качества продукции чая. Нами изучалось влияние разных форм фосфорных удобрений на содержание подвижного фосфора в краснозёмной почве, через 24 года после последнего внесения в них фосфатов. Прекращение внесения фосфорных удобрений вызвало уменьшение содержания подвижного фосфора в почве, которое в 1998 году составило 20,5-45,0 мг/100г почвы. Несмотря на это, по содержанию подвижного фосфора, почвы находятся в состоянии среднего и повышенного обеспечения. Среди форм фосфатов выделяется варианты внесения обесфторенного фосфора и двойного суперфосфата. Исследованиями 2014 года установлено, что краснозёмные почвы явно страдают дефицитом подвижного фосфора, обеспеченность фосфором слабая и составляет 10,3-15,0 мг/100г. Почвы требуют внесения фосфорных удобрений в дозе 120-150 кг/га.

ზოსფორმვანი სასუქების შემდებარების ბაზებია წითელი განვითარების ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობაზე

ნინო კიკაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისათვის ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება შეა ჩაის ძვირფას პროდუქტზე ძირითადად იმპორტული პროდუქციით ქმაყოფილდება, რაც სამატულო ჩაის დეფიციტზე მეტყველებს. ჩაის წილი ქართულ ბაზარზე მთლიან 20%-ს შეადგენს. ფოსფორიანი სასუქების სისტემატური გამოყენება წითელმიწა ნიადაგებზე უზრუნველყოფს ფოსფორის მარაგის შექმნას ნიადაგში, რომელიც გარკვეული პერიოდით აქმაყოფილებს მცნარის მოთხოვნილებას სსნად ფოსფატებზე. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მარტივი სუპერფოსფატის სხვადასხვა დოზების პერიოდულად შეტანის გავლენა წითელმიწა ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე, რათა შეგვევასებინა მათი ამჟამინდელი მდგრმარეობა მას შემდეგ, რაც ნიადაგი 23 წელია აღარ ნოვერდება მნერალური (NPK) სასუქებით. დადგენილია, რომ ნიადაგების ნაყოფიერების დონე დაბალია, ისინი განიცდიან საკვები ელემენტების (N, P, K, Ca, Mg), შიშმილს, ღარიბი არიან პუშტესით და საერთო აზოტით. ეს გამოწვეულია მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკური ღონისძიებების არარსებობით სანგრძლევი პერიოდის განმავლობაში. წითელმიწა ნიადაგი საჭიროებენ ორგანული და მნერალური სასუქების ოპტიმალური დოზებითა და ფორმებით შეთანაწყობით გამოყენებას, მათი ნაყოფიერების დონის შემდგომი ამაღლებისა და ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოსავლის მიღებისათვის.

ფოსფორიანი სასუქების სისტემატური გამოყენება უზრუნველყოფს ნელმოქმედი, მცნარისათვის მნელად შესათვისებელი ფოსფორის მარაგის შექმნას ნიადაგში. როდესაც აღნიშნული მარაგი საკმარისად მნიშვნელოვან სიღიდეს მიაღწევს, ფოსფატებით მცნარის მომარავების სისტრაფე ფაქტორად ისეთივე რჩება, როგორც ამას ადგილი აქვს მნიშვნელოვნად მცირე რაოდნობის ფოსფატების ახლად შეტანით, რომლებიც სწრაფად მოიხმარება მცნარის მიერ. ფოსფორიანი სასუქების გამოყენების აღნიშნული სისტემა, რომელიც ფართოდ იქნა შესწავლილი და წარმოებაში გამოცდილი გერმანიაში, ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით სასუქების პერიოდული შეტანა [1, 2, 3].

დასავლეთ საქართველოს წითელმიწა ფოსფორიანი სასუქების პერიოდულად შეტანის შესასწავლად გამოკვლევები დაწყებული იყო ჯერ კიდევ 30-იან წლებში ანასულში. რავალრიცხოვანი გამოკვლევებით დაგვინდა, რომ წითელმიწა ნიადაგზე სუპერფოსფატის გადიდებული დოზების პერიოდული შეტანა – 2 წელში ერთხელ 240 კგ/ჰა და 4 წელში ერთხელ 480 კგ/ჸა ისეთივე ეფექტს იძლევა ჩაის ფოთლის მოსავლისანობის, შესათვისებელი ფოსფორის შემცველობის, P_2O_5 -ის გამოყენების კოეფიციენტის მიხედვით, როგორც მცირე დოზების-120 კგ/ჸა ყოველწლიური შეტანა. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა რეკომენდირებულიყო ხანგრძლივად განმოყიერებული ჩაის პლანტაციების დატოვება შემდეგმედებაზე [4, 5, 6, 7]. დღეისათვის ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილება შეა ჩაის ძვირფას პროდუქტზე ძირითადად იმპორტული პროდუქციით ქმაყოფილდება, რაც სამატულო ჩაის დეფიციტზე მეტყველებს. ქართული კომპანიებიდან საცალო ქსელში-გურიელი, სამაია, მარნეული და ტყიბულის ჩაი ლიდერობენ. ჩაის წილი ქართულ ბაზარზე მთლიან 20%-ს შეადგენს [8].

ჩაის პლანტაციით დაკავებულ ხანგრძლივად განვითარებულ წითელმიწა ნიადაგში, ჩვენს მიერ ისწავლებოდა ფოსფორიანი სასუქების პერიოდულად შეტანის გავლენა ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებზე. გამოკვლევები ტარდებოდა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ყოფილ საცალო ნაკვეთზე 69° (ანასული, ოზურგეთი). მინდვრის ცდა 69° სუპერფოსფატის დოზების შეტანის პერიოდულობის დასადენად, დაყენებულია გნ.ურუშაძის მიერ 1940 წლიდან. ნაკვეთზე ჩაის პლანტაცია გაშენებულია 1931 წელს, ჩაის ჯიში-ადგილობრივი პოპულაცია, ცდის სქემა მოყვანილია ცხრილებში. სულ 1940-1998წწ. პერიოდში შეტანილი იყო P_2O_5 : მე-3 ვარიანტზე-5400 კგ/ჸა, მე-4 ვარიანტზე-5520 კგ/ჸა, მე-5 ვარიანტზე-4800 კგ/ჸა. აზოტიანი სასუქების სახით, შეიტანებოდა ამონიუმის სულფატი ყოველწლიურად დოზით N300 კგ/ჸა, კალიუმიანი სასუქების სახით, 50% კალიუმის ქლორიდი დოზით 200 კგ/ჸა, პერიოდულად 2 წელში ერთხელ. მინდვრის ცდის სქემის მიხედვით სასუქები შეტანილი იყო 1991 წლის ჩათვლით, ხოლო მას შემდეგ ვარიანტზებზე სასუქების შეტანა შეწყდა.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა წითელმიწა ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა ჩვენი ბოლო გამოკვლევებიდან 17 წლის შემდეგ, როცა ნიადაგი აღარ ნოყიერდებოდა მიწრალური სასუქებით, რათა შეგვეფასებია ნიადაგის ამჟამინდელი მდგომარეობა ძირითადი საკვები ელემენტების (NPK) უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მიზნით, ყოფილი საცდელი ნაკვეთიდან ჩვენს მიერ აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები, განისაზღვრა აგროქიმიური მაჩვენებლები აპრობირებული მეთოდიკების მიხედვით და შედარებულ იქნა 1998 წლის მონაცემებთან [9]. 1998 წლის შედეგები წარმოდგენილია 1-ლ ცხრილში. გაცვლითი მჟავანობის სიდიდე განვითარებულ ვარიანტებზე (3-4-5 ვარიანტები) 0-15 სმ ფენაში, ფონთან შედარებით, შემცირდა. ეს განპირობებულია გაცვლით ალუმინსა და ფოსფორმჟავას იონებს შორის რეაქციით, რომლის შედეგად წარმოიქმნება ალუმინის ფოსფატები, რომლებიც იწვევენ გაცვლითი მჟავინობის შემცირებას. გამოთქმული მოსაზრება დასტურდება მოძრავი ფოსფორის შემცველობისა და გაცვლითი მჟავინობის მაჩვენებლების ურთიერთშედარებით ნიადაგის პორიზონტების მიხედვით, კერძოდ, მოძრავი P_2O_5 -ის კლებასთან ერთად, 0-15 სმ ფენიდან ქვედა სიღრმეებში გადასვლისას, გაცვლითი მჟავინობა იზრდება. pH წყლისა და მარილის სუსპენზიაში მჟავეა. პიდროლიზეური მჟავინობის მაქსიმალური მაჩვენებლები დაფიქსირდა P120 ყოველწლიური შეტანისა და P240 2 წელში ერთხელ შეტანის ვარიანტებზე ($\text{შესაბამისად } 22,0-20,0 \text{მგ/ექ./100გ } \text{ნიადაგზე}$). გაცვლითი K_2O -ს შემცველობა განვითარებულ ვარიანტებზე 44,0-47,0 მგ/100გ-მდე მერყეობს. კალციუმის და მაგნიუმის მაღალი შემცველობაა მე-3, 4 და 5 ვარიანტებზე. ჰუმური და საერთო აზოტი მაქსიმუმს აღწევს P120 კგ/ჰა ყოველწლიურად შეტანის ვარიატზე ($\text{შესაბამისად } 7,1 \text{ და } 0,37\%$).

1991 წლიდან, ფოსფოროვანი სასუქების შეტანა შეწყდა, მაგრამ ჩაის ფესვთა სისტემის განვითარების მთელ სიღრმეში (0-45 სმ), აღრე განვითარებულ ვარიანტებზე მაინც მაღალია მოძრავი ფოსფორის შემცველობა (76,0-82,0-72,4 მგ/100გ ნიადაგზე). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წითელმიწა ნიადაგში ფოსფორის ნაერთების ხანგრძლივი შემდგექმდების უნარზე, როდესაც გროვდება შესათვისებელი ფოსფორის ისეთი რაოდენობა, რომლის დროსაც სასუქების ახლად შეტანა, შემდგექმდებასთან შედარებით, რამდენიმე წლის განმავლებაში ეფექტს არ იძლევა.

ჩვენს მიერ წითელმიწა ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები კიდევ ერთხელ განისაზღვრა 2014 წელს, ე.ი. ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების სასუქების ბოლო შეტანიდან (1991წ.) 23 წლის, ხოლო აზოტოვანი სასუქების ბოლო შეტანიდან (1998წ.) 16 წლის შემდეგ კვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ნიადაგების pH წყლისა და KCl-ის სუსპენზიაში კიდევ უფრო შემცირებულია, 1998 წლის მონაცემებით შედარებით. განსაკუთრებით მჟავეა წითელმიწები უსასუქო და ფონის ვარიანტებზე, რომლებზეც pH KCl-ის სუსპენზიაში შეადგენს შესაბამისად 2,8-2,5-ს. აღინიშნება გაცვლითი და ჰიდროლიზური მჟავინობების მატება მე-3-4-5 ვარიანტებზე, 1998 წელთან შედარებით, რაც ნიადაგების ალუმინის ფოსფატებით გაღარიბების მაჩვენებელია. ამ გარემოებას ადასტურებს მოძრავი ფოსფორით უზრუნველყოფის “სუსტი” და “საშუალო” დონე საკვლევ ნიადაგებში.

მოძრავი P_2O_5 -ის კონცენტრაცია აღნიშნულ ვარიანტებზე 2,9-3,15-ჯერ შემცირებულია 1998 წელთან შედარებით. მსგავსი კანონზომიერება დაფიქსირდა ნიადაგებში გაცვლითი კალიუმის შემცველობის მიხედვითაც. ნიადაგები საკმაოდ გაღარიბებულია მცენარისათვის ძვირფასი საკვები ელემენტებით-კალციუმითა და მაგნიუმით, რომელთა რაოდენობა 1998 წელთან შედარებით შემცირებულია: Ca-ის-1,5-1,7-ჯერ და Mg-ის-1,3-1,9-ჯერ. ნიადაგები განიცდიან ჰუმურის და საერთო აზოტის ნაკლებობას, რაც ადასტურებს მათი ნაყოფიერების დაბალ ხარისხს.

ამრიგად, წითელმიწა ნიადაგების ქიმიური შედეგინილობის ანალიზმა გამოავლინა, რომ ისინი საკმაოდ გამოფიტულია და მათი ნაყოფიერების დონე დაბალია, რაც გამოწვეულია მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკური ღონისძიებების არარსებობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მიღებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ წითელმიწა ნიადაგები საჭიროებენ ორგანული და მიწრალური სასუქების ოპტიმალური დოზებითა და ფორმებით შეთანაწყობით გამოყენებას, მათი ნაყოფიერების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ცხრილი 1. სუბტროფოსფატის დოზების პერიოდულად შეტანის გავლენა წითელმიწა ნიადაგის
ზოგიერთ აგროქიმიკურ განენებელზე, 1998 წელი

| № | გარიანტი | pH | | | გავლინობა, გძელ- ნიადაგი | | | გორევი გორევი ნიადაგზე გორევი | | | გეო- ლი- ტო- | გეო- ლი- ტო- |
|---|-----------------------------------------------|------------------|-----|-----------------|--------------------------------|-------------------------------|------------------|----------------------------------------|------|------|--------------------|--------------------|
| | | H ₂ O | KCl | გავლი- ლიანი | კლიტერი | P ₂ O ₅ | K ₂ O | CaO | MgO | | | |
| 1 | უსასური | 0-15 | 4,9 | 3,9 | 6,0 | 11,2 | 11,0 | 17,0 | 26,0 | 11,0 | 5,5 | 0,28 |
| | | 15-30 | 4,4 | 3,6 | 6,0 | 9,6 | 3,8 | 16,5 | 15,0 | 8,0 | 5,2 | 0,26 |
| 2 | NK - ფონი | 0-15 | 4,7 | 3,7 | 7,7 | 18,5 | 9,2 | 35,0 | 28,5 | 14,0 | 5,9 | 0,29 |
| | | 15-30 | 4,4 | 3,5 | 10,7 | 15,0 | 3,4 | 34,0 | 14,0 | 6,0 | 5,6 | 0,27 |
| 3 | ფონი + P ₂ O ₅ 120 კგ/ჸ | 0-15 | 5,2 | 4,3 | 5,0 | 22,0 | 76,0 | 37,0 | 81,0 | 23,0 | 7,1 | 0,37 |
| | | 15-30 | 4,8 | 3,5 | 7,5 | 17,0 | 69,0 | 34,0 | 46,0 | 14,0 | 5,6 | 0,28 |
| 4 | ფონი + P ₂ O ₅ 240 კგ/ჸ | 0-15 | 5,1 | 4,2 | 6,8 | 20,0 | 82,0 | 34,0 | 76,0 | 20,0 | 5,5 | 0,28 |
| | | 15-30 | 4,7 | 4,1 | 9,5 | 14,0 | 78,5 | 32,0 | 35,0 | 18,0 | 3,8 | 0,19 |
| 5 | ფონი + P ₂ O ₅ 480 კგ/ჸ | 0-15 | 5,1 | 4,0 | 5,0 | 19,0 | 72,4 | 36,0 | 74,0 | 22,0 | 5,3 | 0,27 |
| | | 15-30 | 4,3 | 3,5 | 10,9 | 13,6 | 65,2 | 34,0 | 56,0 | 15,0 | 3,3 | 0,17 |
| 6 | ფონი 30 კრონები | 30-45 | 4,2 | 3,4 | 11,0 | 13,0 | 54,0 | 30,0 | 48,0 | 11,0 | 3,0 | 0,15 |

ცხრილი 2. სუპერფისიზაციის დოზების კულტურულად უძენი გავლენა წილების ნიდანი
ზოგიერთ აგრძელებულ მაჩვენებელ ზე 2014 წელი

| № | გარისძიება | pH | | | მუშაობა, მდგრადი, 100 გ ნიდანი | | | მოძრავი ფორმები, მდგრადი 100 გ ნიდანი | | | კულტურული, % | |
|---|-----------------------------------------------------------|---------------|------------------|-----|--------------------------------|---------------|-------------------------------|---------------------------------------|------|------|--------------|--------------|
| | | ნიდან- გუ- ლა | H ₂ O | KCl | ნაცვ- ლომი | პიდრო- ლობული | P ₂ O ₅ | K ₂ O | CaO | MgO | კულტურული, % | კულტურული, % |
| 1 | უსასები | 0-15 | 3,8 | 2,8 | 4,4 | 13,2 | 7,0 | 7,0 | 15,2 | 8,2 | 3,2 | 0,16 |
| | | 15-30 | 3,4 | 2,4 | 6,0 | 10,5 | 2,8 | 6,5 | 7,8 | 3,5 | 2,6 | 0,13 |
| 2 | NK – გონი | 0-15 | 3,6 | 2,5 | 5,2 | 20,7 | 5,0 | 8,0 | 17,5 | 10,4 | 3,9 | 0,19 |
| | | 15-30 | 3,3 | 2,2 | 7,6 | 17,4 | 1,6 | 6,5 | 9,7 | 4,0 | 2,8 | 0,14 |
| 3 | გონი +P ₂ O ₅ 120 გ/ჸ უტენი ურეანი | 0-15 | 4,2 | 3,7 | 6,8 | 25,0 | 25,2 | 12,6 | 54,2 | 12,5 | 4,8 | 0,25 |
| | | 15-30 | 3,9 | 2,9 | 7,5 | 20,1 | 20,2 | 10,0 | 34,0 | 8,6 | 3,8 | 0,19 |
| 4 | გონი +P ₂ O ₅ 240 გ/ჸ 2 წლის გროველ | 0-15 | 4,0 | 3,5 | 7,7 | 24,1 | 28,0 | 11,4 | 50,5 | 12,0 | 3,5 | 0,18 |
| | | 15-30 | 3,7 | 3,0 | 10,5 | 17,6 | 22,0 | 9,8 | 28,0 | 8,0 | 2,8 | 0,14 |
| 5 | გონი +P ₂ O ₅ 480 გ/ჸ 4 წლის გროველ | 0-15 | 4,1 | 3,2 | 7,6 | 23,5 | 23,0 | 7,2 | 20,3 | 5,8 | 2,3 | 0,13 |
| | | 15-30 | 3,5 | 2,8 | 10,9 | 17,0 | 19,5 | 10,5 | 26,4 | 7,2 | 2,5 | 0,13 |
| | | 30-45 | 3,2 | 2,5 | 11,8 | 14,1 | 15,0 | 8,3 | 19,5 | 5,0 | 2,0 | 0,11 |

ლიტერატურა – REFERENCES

1. Barrow N.J. Understanding phosphate reaction with soil // Proc. 3d Intern. Congr. Phosphorus Comprands. Bruxelles, 1983/ P/1-27.
2. Эберт Д., Штробинг Х. Периодическое применение фосфорных и калийных удобрений // Междунар. с.-х. журн. 1965. №2. С.97-100.
3. Ansorge H. Möglichkeiten der Vorratsdungung mit phosphorsaure und Kali // Akad. Landwirtsch. – Berlin, 1967. №76. S.37-46.
4. Урушадзе Г.Н. Основные итоги опытных работ ВНИИЧиСК по химизации чайных плантаций Западной Грузии//Бюлл. ВНИИ чая и субтроп. культур. 1954. №4. С.3-47.
5. Дугашвили П.С. Эффективность фосфорных удобрений на длительно удобляемых чайных плантациях // Бюлл. ВНИИ чая и субтроп. культур. 1955. №4. С.3-21.
6. Ониани О.Г. Фосфатный режим кислых почв и применение фосфорных удобрений на чайных плантациях Грузии. – Тбилиси: Мецниереба, 1974. С.276-298.
7. Джонстон А.Е., Сайерс Дж.К. Новый подход к оценке эффективности использования фосфора из удобрений в сельском хозяйстве // «Питание растений». Вестник Международного института питания растений. №4, 2013. С.5-9.
8. <http://www.bpi.ge/ქვლევა: ჩაის ბაზარი საქართველოში-ექსპორტი, იმპორტი, ლიდერები. I. ოთხშაბათი, 04 იანვარი, 2012>.
9. Агрехимические методы исследования почв. – Москва: Издательство «Наука», 1975. С.47-191.

FURTHER-ACTION INFLUENCE OF PHOSPHOROUS FERTILIZERS ON CHEMICAL CONSISTENCY OF RED SOILS

Nino Kiknadze

Batumi Shota Rustaveli State University

SUMMARY

At present demand of local population on finished product of tea mostly is satisfied by imported tea products which indicate on deficit of native tea in country. Share of tea is only 20% on Georgian market. Regular usage of phosphorous fertilizers on red soils creates phosphorus reserve under soil which satisfies request of plants on dissolvable phosphates during certain period. The influence of regular putting of various dosages of simple superphosphates in red soils and its agrochemical specifications were studied to identify their present conditions as soils have not been fertilized with mineral fertilizers (NPK) for 23 years now. According to the study fertilization level of soils is poor, soils are experiencing hunger of nutrition elements (N, P, K, Ca, Mg); the soils are characterized by poor quantity of humus and general nitrogen. The mentioned conditions are caused by long-term lack of scientifically justified agro-technical measures. Red soils require usage of organic and mineral fertilizers with optimal dosages and forms in succession for the purpose of increasing their productivity level and producing effective tea leaves.

ВЛИЯНИЕ ПОСЛЕДЕЙСТВИЯ ФОСФОРНЫХ УДОБРЕНИЙ НА ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ КРАСНОЗЁМНОЙ ПОЧВЫ

Н.О.Кикнадзе

Батумский Государственный университет Шота Руставели

РЕЗЮМЕ

На сегодня потребность населения нашей Страны на ценный готовый продукт чая в основном удовлетворяется импортной продукцией, что говорит о дефиците отечественного чая. Доля чая на грузинском рынке составляет всего лишь 20%. Систематическое применение фосфорных удобрений на краснозёмных почвах обеспечивает создание запаса фосфора, который на определённый период обеспечивает потребность растения на растворимые фосфаты. Нами было изучено влияние периодического внесения разных доз простого суперфосфата на агрехимические показатели краснозёмных почв, для оценки их настоящего состояния, после того, как на этих почвах уже 23 года не вносятся минеральные (NPK) удобрения. Установлено, что уровень плодородия почв низкая, они страдают дефицитом питательных элементов (N, P, K, Ca, Mg), обеднены гумусом и общим азотом. Это обусловлено отсутствием научно обоснованных агротехнических мероприятий в течение длительного периода. Требуется координированное применение оптимальных доз и форм органических и минеральных удобрений, для дальнейшего повышения уровня плодородия почв и получения урожая качественного чайного листа.

საილენდის და მანძანუმის აკუმულაცია ხორბალში (Triticum) და ჰერში (Hordeum)

ალექსანდრე რჩეულიშვილი, ეთერ გინტური, ოლია რჩეულიშვილი, ლელა ტუღუში, ნინო რჩეულიშვილი, ეთერ ღელაღუტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ელექტორო ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

შესწავლით იქნა Cu და Mn აკუმულაციის უნარი ხორბლისა და ქერის ორგანოების (ფესვები, ღეროები, ფოთლები) მიერ მცენარის ზრდის პროცესში, როდესაც ნიადაგში შეტანილი იქნა სპილენძი. ნაჩვენებია, რომ ზრდის დინამიკაში სპილენძის და მანგანუმის აკუმულაცია ძირითადად ხდება ხორბლის და ქერის ფესვებში. ხორბლის შემთხვევაში ზრდის პროცესში მანგანუმის შემცველობის შემცირება ხდება ფესვებში, ხოლო ფოთლებში იზრდება.

ბიოსფეროში მძიმე მეტალების ანტროპოგენული გაბნევა იწვევს გარემოს დაბინძურებას. მეტალების ჭარბი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმებზე. როგორც ცნობილია, სპილენძი და მანგანუმი აუცილებელია მცენარეული ორგანიზმების ცხოველებისათვის.

სპილენძი ხელს უწყობს ქლოროფილის სტაბილურობას და მას დაზიანებისაგან იცავს. წყალში ხსნადი სპილენძის აკუმულაცია მცენარის მიერ ძირითადად განპირობებულია მოცემულ ადგილას მცენარისათვის არსებული სასიცოცხლო პირობებით [1,2]. ნიადაგში სპილენძი ითვლება სუსტი მიგრაციის მქონე ელემენტად. დღეისათვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს სპილენძის უკმარისობა ნიადაგში. მისი დაფიციტის ძირითადი ნიშნებია: ზრდის შენელება და შემდეგ უავე რეპროდუციული ორგანოების ფორმირების შეწყვეტა, ცარიელი თავთავების წარმოქმნა. სპილენძის დეფიციტისადმი ზოგიერთ სხვა მცენარის მსგავსად განსაკუთრებით მგრძნობიარეა ხორბალი და ქერი.


მანგანუმი მისი ცვალებადი ვალენტობის შედეგად, მონაწილეობას ღებულობს უანგვა-ალდგენით პროცესებში. დადგენილია, რომ მანგანუმი ზრდის ხორბლის მარცვლის ცილოგან შემადგენლობას. იგი სუსტად გადაადგილდება მცენარის ორგანოებს შორის, რაც დაკავშირებულია მის არც თუ მაღალ მობილურობასთან. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მარცვლები სხვადასხვა პირობებში დიდად განსხვავდებიან ქიმიური ელემენტების შემცველობის მიხედვით [4-6].

მოცემული სამუშაოს მიზანია ერთი მხრივ, ნიადაგში შეტანილი სპილენძის აკუმულაციის შესწავლა ამ გარემოში გაზრდილი ხორბლისა და ქერის ცალკეულ ორგანოებში, ხოლო მეორე მხრივ, ნიადაგში ბუნებრივად არსებული მანგანუმის აკუმულაციის შესწავლა ასევე ხორბლისა და ქერის ცალკეულ ორგანოებში.

კვლევის ობიექტად აღებული იქნა ხორბალი (Triticum) და ქერი (Hordeum), რომელიც იზრდებოდა შავმიწანი ნიადაგზე. ნიადაგი იწყვებოდა პერიოდულად. გაზრდილ მცენარეებს ვიღებდით ნიადაგიდან 30 დღიანი ინტერვალით. ამოღებულ მცენარეებს ვრცესავდით დისტილირებული წყლით და ვახდენდით მათ დანაწევრებას ცალკეულ ორგანოებად (ფესვი, ღერო, ფოთოლი). მიღებულ ნიმუშებს ვაშრობდით, მექანიკური საფეხვის საშუალებით ვახდენდით ნიმუშების დაქუცმაცებას, ვწონდით და ვათავსებდით სინჯარებში. ნიმუშების დანაცრების მიზნით სინჯარებში ვამატებდით კონცენტრირებულ აზოტმეუგას და ვაცხელებდით პომოგნერი სხნარის მიღებამდე. პომოგნენიზირებულ ნიმუშებს ვაზავებდით ბიდისტილატით 10მლ მოცულობამდე. მეტალის შემცველობის ანალიზი განხორციელდა ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრის „Analyst-800“ (Perkin Elmer) გამოყენებით. სპილენძის და მანგანუმის ეტალონური სხნარები დამზადებული იყო „Perkin Elmer“-ის ფირმის ეტალონური დედა სხნარებისაგან, რომელთა კონცენტრაცია შეადგნდა 1მგ/ლ. ნიადაგში შესატანად გამოყენებულ იქნა სპილენძის მარილი: $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ (5.1გ/ლ). ნიადაგში, რომელშიც შეტანილი იქნა სპილენძი, მანამდე შეიცავდა 1.4მგ/კგ სპილენძს.

ნახ.1-ზე ნაჩვენებია სპილენძის შემცველობა ხორბალსა და ქერში დათესვიდნ გარკვეული დროის შემდეგ მის ცალკეულ ორგანოებში (ფესვებში, ღეროებში, ფოთლებში). როგორც ნახაზიდან ჩანს,

ხორბლის შემთხვევაში, დათესვიდან მთელი დროის განმავლობაში სპილენძი უმეტესად კონცენტრირებულია ფესვებში, დათესვიდან 69-ე, 103-ე და 124-ე დღეს ფოთლებში და ღეროებში სპილენძის კონცენტრაცია დაახლოებით ერთნაირია და თითქმის 10-ჯერ ნაკლებია ფესვებში აკუმულირებული სპილენძის კონცენტრაციაზე. ანალოგიური სურათია ქერის შემთხვევაშიც.



ნახ.1. სპილენძის შემცველობა ხორბლისა და ქერის ცალკეულ ორგანოებში ზრდის პროცესში (1 - ფესვი, 2 - ღერო, 3 - ფოთოლი)

მოცემული კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ ფესვთა სისტემა, ღერო და ფოთლები შეითვისებუნ გარევეული რაოდენობით მეტალთა იონებს. სპილენძი ხორბალსა და ქერში მცენარის ზრდის მთელი პროცესის განმავლობაში ძირითადად აკუმულირდება ფესვებში. მანგანუმის შემთხვევაში ექსპერიმენტი ჩატარდა ბუნებრივ პირობებში, სპილენძისაგან განსხვავებით ნიადაგში მისი შეტანის გარეშე. როგორც ცხრილიდან (1) ჩანს, დათესვიდან 26-ე დღეს ქერში მისი რაოდენობა მაქსიმალურია ფესვებში. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია ქერის ზრდის მთელი დროის განმავლობაში. თუმცა დათესვიდან 45-ე, 69-ე და 103-ე დღეს უკვე მისი შემცველობა ფესვებში უმნიშვნელოდ აღმატება ღეროსა და ფოთოლში მის შემცველობას. დათესვიდან 124-ე დღეს ფესვებში მანგანუმის შემცველობა დაახლოებით 3-ჯერ აღმატება ფოთოლსა და ღეროში მის შემცველობას.

რაც შეეხება მანგანუმის შემცველობას, რომელსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან ხორბლის ზრდის მთელი დროის განმავლობაში (ცხრილი 2), ფესვებში მისი შემცველობა აღმატება ღეროსა და ფოთოლში მის შემცველობას, თუ არ ჩავთვლით დათესვიდან 124-ე დღეს, როდესაც ფოთლებში მანგანუმის შემცველობა ჭარბობს მის შემცველობას ფესვებში.

ზოგადი ტენდენცია კი ასეთია: ხორბლის ზრდისას ფესვებში დაიკვირვება Mn რაოდენობის შემცირების ტენდენცია და ფოთლებში მისი აკუმულაციის ზრდა.

ჩატარებული ექსპერიმენტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სპილენძი, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქერის, ასევე ხორბლის შემთხვევაში ძირითადად აკუმულირდება ფესვებში, უარყოფით გავლენას ახდენს მცენარის მდგომარეობაზე. კერძოდ, დაკვირვებულია აჩვენა, რომ შეიცვალა ზრდის სიმაღლე, ფესვთა სიგრძე, ფოთლის ზედაპირის ფართობი. 10-ჯერ ნაკლები კონცენტრაციის სპილენძის აკუმულირება ფოთლებში ფესვებთან შედარებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფოთლების მწვანე შეფერილობა შეცვლილიყო მოყვითალო-ყავისფერით.

ცხრილი 1. Mn-ის შემცველობა ქერში (მგ/გ)

| მცენარის ორგანოები | დათესვიდან 26-ე დღე | დათესვიდან 45-ე დღე | დათესვიდან 69-ე დღე | დათესვიდან 103-ე დღე | დათესვიდან 124-ე დღე |
|--------------------|---------------------|---------------------|---------------------|----------------------|----------------------|
| ფესვი | 290 | 329.84 | 145.37 | 144.78 | 329 |
| ღერო | 51.39 | 90.19 | 112.27 | 125 | 105.26 |
| ფოთოლი | 68.42 | 145.42 | 116.55 | 140.77 | 100.29 |

ცხრილი 2. Mn-ის შემცველობა ხორბალში (დოლი) (მკგ/გ)

| მცენარის ორგანოები | დათესვიდან 26-ე დღე | დათესვიდან 45-ე დღე | დათესვიდან 69-ე დღე | დათესვიდან 103-ე დღე | დათესვიდან 124-ე დღე |
|-----------------------|------------------------|------------------------|------------------------|-------------------------|-------------------------|
| ფესვი | 465 | 147 | 145.24 | 126.15 | 95.64 |
| ღერო | 58.3 | 78 | 92 | 84.58 | 82.41 |
| ფოთოლი | 50.42 | 61.95 | 100 | 90 | 134.97 |

სამუშაო შესრულებული იქნა გრანტის
SRNSF 09/14 – STCU 5635 ფარგლებში.

ლიტერატურა – REFERENCES

1. Merry R.N., Tiller K.G., and Alston A.M. Accumulation of copper, lead, and arsenic in some Australian Orchard soils// Australian Journal Soil Res.1983, 21, 549-561.
2. Peder Lombnes and Bal Ram Singh, Varietal tolerance to Zinc deficiency in wheat and barley grown in chelatorbuffered nutrient solution and its effect on uptake of Cu, Fe, and Mn, Journal of Plant Nutrition and Soil Science,2003,166(1),76-83.
3. Zekeriya Akman, Effects of Plant Growth Regulators on Nutrient Content of Young Wheat and Barley Plants under Saline Conditions, Journal of Animal and Veterinary Advances, 2009,8(10),2018-2021.
4. Fathi, G.H., M. Enayat Gholi Zadeh, Effect of fertilizers with trace elements of Zn, Fe and Cu on growth and grain yield of barley in Khoozestan climate. Scientific journal of farm plant physiology, Islamic Azad University Ahvaz Branch, 1st year, 2010a, 1, 53-67.
5. Fathi, G.H., M. Enayat Gholi Zadeh, morphological trait response and biologic performance of barley to trace elements (Fe, Zn, Cu) in Khoozestan. National Conference of Water, Soil, Plant Science & Agricultural Machinery in IAU Dezful Branch, 2010b, 384-390.
6. Balali, M.R. and M.J. Malakouti, Effects of different methods of micronutrient application on the uptake of nutrients in wheat grains in 10 provinces. Iranian Journal of Soil and Water Sciences, Soil & Water Res. Ins.-Iranian Soc. of Soil Sci., Tehran, 2002.,15(2),1-11.

ACCUMULATION OF Cu AND Mn BY WHEAT (TRITICUM) AND BARLEY (HORDEUM)

Alexander Rcheulishvili, Eteri Ginturi, Olya Rcheulishvili, Lela Tugushi, Nino Rcheulishvili,
Eteri Gelagutashvili

*Elefter Andronikashvili Institute of Physics
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

The effect of Cu and Mn by wheat (Tritium) and barley (Hordeum) and their components in the process of growth were studied, when in soil was introduced Cu. Cu and Mn accumulation in general were observed in roots during the growth of wheat and barley. Only for wheat during the growth were observed decrease of Mn content in roots and increase in leaves.

АККУМУЛЯЦИЯ СИ И МН ПШЕНИЦЕЙ И ЯЧМЕНЕМ

А.Н.Рчеулиშვილი, Э.Н.Гинтури, О.А.Рчеулиშვილი, Л.С.Тугуши, Н.А.Рчеулиშვილი,
Э.С.Гелагуташвili

Институт физики им. Э.Л.Андроникашвили

Тбилисского государственного Университета им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Изучены способности аккумуляции пшеницы, ячменя и их компонентами (корни, листья и др.) Си и Mn в динамике роста, при внесении в почву элемента Си. Показано, что в динамике роста пшеницы и ячменя ионы Си и Mn, в основном накапливаются в корнях. В случае пшеницы наблюдается уменьшение содержания Mn в корнях и увеличение в листьях в процессе роста.

ძიმიშრი ეპოლობია

ჩამდინარე ფულეაში უნივერსალისა და მისი ფარმოებულების მინერალიზაცია ელექტრო-ზენტრის და ურთო-ელექტრო-ზენტრის მითოდებით

გიორგი გორელიშვილი, პაატა ნიკოლეიშვილი, გიგლა წურწუმია, ვალენტინა კვესელავა, ნანა ქოიავა, ია მამაგულიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

უნივერსიტეტი ნაერთებით დაბინძურებული წყლის გაწმენდა განხორციელებულია ჟანგვის დახვეწილი პროცესებით (Advanced Oxidation Processes - AOPs): ელექტრო-ფენტონით (EF) და ფოტო-ელექტრო-ფენტონით (PEF). პირველ შემთხვევაში ძირითადი დამჟანგველი - ჰიდროქსილი (·OH) მიღებულია მებბრანული ფილტრ-პრესული ტაპის ელექტროლიზებში გაზ-დიფუზიურ ელექტროდზე O_2 -ის 2-ელექტრონიანი ალგენით წარმოქმნილ H_2O_2 -ზე Fe^{2+} -ის დამატებით და მეორე შემთხვევაში $·OH$ მიღებულია კაბბინირებული - EF-ისა და ულტრაინფერი დასხივების მეთოდით (ტალღის სიგრძე $\lambda = 253$ ნმ, 8 ვტ). ორგანული ნაერთების დეგრადაციის ანალიზური კონტროლი განხორციელებულია ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების მეთოდით (Chemical Oxigen Demand – COD). დადგენილია PEF-ის უპირატესობა EF-თან შედარებით. 100 მგ/ლ ორგანული ნაერთებით დაბინძურებული კათოლიტის 60 წთ-ანი PEF მეთოდით დამუშავების შემდეგ გაწმენდის სარისხმა (COD-ის მიხედვით) ფენოლისთვის შეადგინა 9.7%, პ-ნიტროფენოლისთვის 95.7%, მ-ამინფენოლისთვის 96.7%; ელექტროენერგიის ხარჯი 1 მ³ წყლის გასაწმენდად - 2.5 კვტსთ.

წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი ძირითადი ბუნებრივი რესურსია, რომლის ეფექტური მართვა ძალზე მნიშვნელოვანია ნორმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მაღალ დონეზე ფუნქციონირების და ეკოსისტემების დაცვისათვის.

დედამიწაზე წყლის მიმოქცევას ახლავს ერთ-ერთი კრიტიკული ეტაპი, როგორიცაა ჩამდინარე წყლების წარმოშობა და მათი დაბრუნება ბუნებრივ ციკლში.

დაბინძურებული ჩამდინარე წყლების შემადგენლობა მრავალფეროვანია, იგი დამოკიდებულია სხვადასხვა წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე, რეაგენტების და/ან პროდუქტების ქიმიურ შედგენილობაზე, თვისებებზე, ყოფაცხოვრებაში აღამინის მოქმედებაზე, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე განვითარებული პროცესების ხასიათზე.

ჩამდინარე წყლების დამაბინძურებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ორგანულ ნივთიერებებს, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული და გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი გავლენა აქვთ. მათ შორის ბევრს ახასიათებს კანცეროგენული, მუტაგენური და სხვა საშიში თვისებები. ასეთი ნაერთების ტაპიური წარმომადგენელია ფენოლი (C_6H_5-OH) და მისი წარმოებულები. მსოფლიოში ფენოლის წარმოება შეადგენს ~7 მილ. ტ/წელ-ში [1].

ჩამდინარე წყლების გაწმენდა ორგანული დამაბინძურებლებისგან. ჩამდინარე წყლების გაწმენდა ორგანული ნაერთებისგან ოზონირებით, ბიოქიმიურად, თერმული დამუშავებით, ბიოლოგიური მეთოდით და სხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გამოყენებით ხშირად არაეფექტურია [2,3], რამაც განაპირობა უფრო სრულყოფილი აღტერნატიული პროცესების ძიება.

ჟანგვითი პროცესებიდან ჩამდინარე წყლების არასასურველი ორგანული მინარევებისგან გასაწმენდად განსაკუთრებით საინტერესო და პერსპექტიულია პროცესები $·OH$ რადიკალების წარმოქნით. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია ე.წ. ჟანგვის დახვეწილი პროცესების (Advanced Oxidation Processes-AOPs) გამოყენებით [4,5].


ჟანგვის დახვეწილი პროცესები (AOPs). AOPs-ბი წარმოადგენენ პროცესებს, რომლებშიც დამჟანგველ აგენტად დომინირებს ჰიდროქსილის რადიკალი ($·OH$). წყალში მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა გრძელდება რამდენიმე ნანოწამს. ძლიერი დამჟანგველის თვისებების (სტანდარტული ჟანგვითი პოტენციალი $E^{\circ}(\text{OH}) = 2.8$ ვ) გამო $·OH$ რადიკალები ჟანგვენ ორგანული ნაერთების უძრავლესობას სრულ მინერალიზაციამდე CO_2 და H_2O წარმოქმნით [6].

AOPs-ის განხორციელება ხდება ქიმიური, ფოტოქიმიური და/ან ელექტროქიმიური რეაქციებით ულტრაბგერის, ოზონის, ულტრაინფრარედი გამოსხივების გამოყენებით, რომლებიც ვითარდებან კატალიზური მექანიზმით და უზრუნველყოფების სარეაქციო არეში დამჟანგველების წარმოქმნას.

ქიმიური AOPs-დან ყველაზე გავრცელებულია ე.წ. ფენტონის მეთოდი, რომლის საშუალებით ($\text{Fe}^{2+}/\text{H}_2\text{O}_2$ -ის ნარევის (ფენტონის რეაგენტი) გამოყენებით) მიმდინარეობს ე.წ. ფენტონის რეაქცია $\cdot\text{OH}$ -ის წარმოქმნით [7];




მუკავა არეში:



პროცესი ეფექტურია pH 2.8-3.2 ზღვრებში, ამ დროს კატალიზატორი (Fe^{2+}) კვლავ აღდგება ე.წ. „ფენტონის მსგავსი“ რეაქციით (2) [7,8]:



ჰიდროქსილის რადიკალთან შედარებით HO_2^\cdot ხასიათდება ნაკლები უნგვითი უნარით [9]. მისი წარმოქმნა აგრეთვე ხდება $\cdot\text{OH}$ -ის H_2O_2 -თან ურთიერთქმედებით:




H_2O_2 -ის დაშლა ძირითად ხდება რეაქციებით (3, 4), რომელთაც ფენტონის რეაქციის თანაურ პარაზიტულ რეაქციებად მოიხსენიებენ [10].

$\cdot\text{OH}$ -ის არსებობა დადასტურებულია სპექტროსკოპული მეთოდებით. რეაქციების სიჩქარეთა კონსტანტების სიდიდეები განსაზღვრულია იმპულსური რადიოლიზმის საშუალებით [11].


ელექტრო-ფენტონის (EF) და ფოტო-ელექტრო-ფენტონის (PEF) პროცესები. ცნობილია მრავალი ელექტროქიმიური უნგვის დახვეწილი პროცესი (EAOP) [5]. მათ შორის: ა) ელექტრო-ფენტონის (EF) პროცესი, რომლის დროს კათოდზე მიღება H_2O_2 , ხოლო დასამუშავებელ წყალს ემატება კატალიზატორი (Fe^{2+} და/ან Fe^{3+}) და ბ) ფოტო-ელექტრო-ფენტონის (PEF) პროცესი, რომლის განსახორციელებლად დამატებით გამოიყენება ულტრაინფრარედი (UV) გამოსხივება.

EF-ის პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია ელექტროდის ბუნებაზე, ელექტროლიტში ან გაზ-დიფუზიურ კათოდზე O_2 -ის მიწოდების ინტენსივობაზე, ხსნარის მორევის და/ან გადინების სიჩქარეზე, ტემპერატურაზე, pH, კათოდურ პოტენციალსა და კატალიზატორის და დამაბინძურებლის კონცენტრაციებზე.

ავტორებმა [12] EF-ის პროცესში გამოიყენეს UVA ($\lambda = 315-400$ ნმ), UVB ($\lambda = 285-315$ ნმ) და UVC ($\lambda < 285$ ნმ) გამოსხივება, რომელმაც ხელი შეუწყო დამატებით რადიკალების წარმოქმნას:



ფენტონის რეაქცია (1)-ით წარმოქმნილი Fe^{3+} -ის ფოტოლიზმის შედეგადაც მიღება $\cdot\text{OH}$ და რეგნირებული Fe^{2+} [13]:



UV გამოსხივება ხელს უწყობს ზოგიერთი შუალედური ორგანული პროდუქტების და/ან Fe(III) -თან მათი კომპლექსების ფოტოდეგრადაციას [14,15].

წარმოდგნილი სამუშაოს მიზანია ფენტონის ნართებით დაბინძურებული წყლის გაწმენდა გაზ-დიფუზიური კათოდის მქონე ფილტრ-პრესული ტიპის კათონიტურ მემბრანიან ელექტროლიზერში ელექტრო-ფენტონისა (EF) და ფოტო-ელექტრო-ფენტონის (PEF) მეთოდების გამოყენებით.

მსპერიმენტული ნაწილი

გამოყენებული რეაქტორები და მასალები. მოდელური ხსნარების დასამზადებლად გამოყენებული იყო დისტილირებული წყალი და ქიმიურად სუფთა კვალიფიკაციის რეაქტივები - Na_2SO_4 , $\text{Fe}_2\text{SO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$, H_2SO_4 , NaOH , KMnO_4 , HCl , $\text{C}_6\text{H}_5\text{OH}$, $\text{C}_6\text{H}_4\text{OHNO}_2$, $\text{C}_6\text{H}_4\text{OHNH}_2$, $\text{H}_2\text{C}_2\text{O}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$. ხსნარის არის კონტროლი ხორციელდებოდა pH-მეტრით (Milwaukee pH 55). მუდმივი დენის წყაროდ გამოყენებული იყო გამმართველი ProDigital 3010D (ჩინეთი) ციფრული გამზომი ხელსაწყოებით (ვოლტმეტრი, ამპერმეტრი). H_2O_2 -ის ელექტროსინთეზის დროს, EF-ისა და PEF-ის პროცესებში, ანოდებად გამოყენებული იყო DSA-ს (Dimensionally Stable Anode) ტიპის $\text{TiO}_2\text{-RuO}_2\text{-IrO}_2$ ელექტროდები, კათოდებად - კომუნიკაციულად ხელმისაწვდომი GDE Back Pearls 2000 (USA) და ჩვენ მიერ აქტივირებული ნახშირბადის მურისა და შემკვრელისაგან (პოლიტერაფტორეტილენი - PTFE) დამზადებული

ელექტროდი. PEF-ის პროცესში ულტრაიისფერი გამოსხივების წყაროდ აღებული იყო UVC ნათურა (8 W, λ = 253 nm, ჩინეთი).

ქიმიური ანალიზი და საანგარიშო ფორმულები. H₂O₂-ის კონცენტრაციის განსაზღვრისთვის გამოყენებული იყო პერმანგანატული ტიტრაციის სტანდარტული მეთოდი:

$$C(H_2O_2) = \frac{0.0017 \times K \times V_{KMnO_4} \times 1000}{V} \text{ (გ/ლ)} \quad (8)$$

სადაც, 0.0017 - წყალბადის პეროქსიდის ტიტრი; K - 0.1N KMnO₄-ის შესწორების კოეფიციენტი; V - აღებული სინჯის მოცულობა, მლ.

ელექტროგენერირებული H₂O₂-ის დენითი გამოსავალი გაანგარიშებული იყო შემდეგი ფორმულით:

$$\eta(H_2O_2) = \frac{m_{pract.}}{m_{teor.}} \times 100(\%) \quad (9)$$

სადაც, *m pract* და *m teor* შესაბამისად პრაქტიკულად და თეორიულად მიღებული H₂O₂-ის მასებია.

სინარების გაწმენდის ხარისხის კონტროლისთვის გამოყენებული იყო ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების (Chemical Oxigen Demand, COD) განსაზღვრის მეთოდი:

$$COD = (COD)_t \cdot \frac{100}{COD_0} \% \quad (10)$$

სადაც, $(\Delta COD)_t$ ელექტროლიზის t დროის მანძილზე შესაბამისი სიდიდის ცვლილებაა, ხოლო COD₀ – COD-ის საწყისი მნიშვნელობა.

პროცესის ენერგოტევებობა განისაზღვრებოდა შემდეგი ფორმულით [16]:

$$W = E_{cell} It / (\Delta COD)_t V_s \text{ (კვტსთ/გ)} \quad (11)$$

სადაც, E_{cell} ელექტროლიზერზე საშუალო ძაბვაა (ვ), t - ელექტროლიზის ხანგრძლივობა (სთ), ხოლო $(\Delta COD)_t$ არის COD-ის ცვლილება t დროში.

COD-ის განსაზღვრის დროს ხდებოდა მოდელური ხსნარების დასამზადებლად გამოყენებული გამოხდილი წყლის ე.წ. ფონური სინჯის დამუშავება. ანალიზის პროცედურა გულისხმობდა: 500 მლ მრგვალიძირიან კოლბაში 100 მლ დისტილირებული წყლის, 10 მლ კონცენტრირებული H₂SO₄-ის, საკვლევი ნიმუშის (2 მლ) და 10 ან 20 მლ 0.025N KMnO₄ ხსნარის (დამუშავებელი) დაზიანების (30 წთ); აქროლადი ორგანული ნაერთების ციკლში დასაბუნებლად კოლბას უკეთდებოდა უკუმაცივარი. დუღილის დასრულების შემდეგ კოლბაში ემატებოდა აღებული KMnO₄-ის ტოლი მოცულობის 0.025N მუუნმჟავას ხსნარი და მორევის შემდეგ ცხლად იტიტრებოდა 0.025N KMnO₄ ხსნარით მკრთალი ვარდისფერი შეფერილობის წარმოქმნამდე. COD იანგარიშებოდა:

$$COD_{Mn} = \frac{(V_1 - V_0) \times K \times 0.01 \times 8 \times 1000}{V} = \frac{(V_1 - V_0) \times K \times 80}{V} \text{ (მგ/ლ)} \quad (12)$$


სადაც V_1 და V_0 შესაბამისად საკვლევი და ფონური სინჯების გატიტვრაზე დახარჯული 0.025N KMnO₄-ის მოცულობებია, მლ; K – 0.025N KMnO₄-ის ხსნარის შესწორების კოეფიციენტი; V – აღებული სინჯის მოცულობა, მლ.

ფოტოსპექტრომეტრული მეთოდით COD-ის სიდიდის დასადგენად გამოყენებული იყო HACH DR/4000V-ის ტიპის ხელსაწყო (სურ. 1).




სურ. 1. COD-ის განსაზღვრისთვის გამოყენებული ფოტოსპექტრომეტრი HACH DR/4000V.

ელექტროქიმიური რეაქტორები და მოწყობილობები. ფენოლით, პ-ნიტროფენოლით და მ-ამინოფენოლით დაბინძურებული მოდელური ხსნარების EF-ის და PEF-ის მეთოდებით დამუშავებისთვის გამოყენებული იყო MK-40 მემბრანით გაყოფილი და/ან უმებრანო ელექტროლიზერები, რომლებშიც GDE კათოდებზე ჰაერის ჟანგბადის 2-ელექტრონიანი აღდგენით წარმოიქმნებოდა H_2O_2 (13):



ელექტროლიტების საცირკულაციოდ გამოყენებული იყო ცენტრიდანული ტუმბოები. საერთო დანადგარის სქემა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. მემბრანული ელექტროლიზერის (ნახ. 1a) გამოყენებისას ანოლიტის ცირკულაცია შესაძლებელი იყო ანოდზე გამოყოფილი ჟანგბადის გამოყენებითაც, ეწ. ერლიფტის პრინციპით.




ნახ. 1. EF-ის და PEF-ის მეთოდებში გამოყენებული ელექტროქიმიური რეაქტორები - MK-40 მემბრანით გაყოფილი (ა) და გაუყოფელი (ბ) დანადგარების საერთო სქემა: 1 - კათოდის ჩარჩო; 2 - აირის კამერა; 3 - გაზ-დიფუზიური ელექტროლიდი; 4 - კომპრესორი; 5 - ულტრაიისფერი გამოსხივების ნათურა; 6 - ავზი; 7 - ტუმბო; 8 - აირის წნევის სარეგულირებელი ვენტილი; 9 - წყლის მანომეტრი; 10 - ანოდის ჩარჩო; 11 - DSA ანოდი; 12 - კათიონსელექტრი მემბრანა; 13 - ანოლიტის ავზი.

EF-ის შემთხვევაში გამოყენებული იყო UV გამოსხივების ნათურა (8 ვტ), რომელიც თავსდებოდა ხსნარის საცირკულაციო კონტურში განთავსებული კონსტრუქციის (მილი-მილში) შიდა მილში. ხსნარი მოძრაობდა მილებს შორის.


ფენოლის, პ-ნიტროფენოლის და მ-ამინოფენოლის ანოდური ჟანგვა. EF-ის და PEF-ის პროცესებში ფენოლის, პ-ნიტროფენოლის და მ-ამინოფენოლის ანოდური ჟანგვის შესაძლებლობის დაღვნის მიზნით ექსპრესიმენტები ჩატარებული იყო კათიონსელექტივური (MK-40) მემბრანით გაყოფილ ღია ტიპის ელექტროქიმიურ უჯრედში, ანოდად გამოყენებული იყო 2 სმ² ბადისებური ფორმის DSA ($Ti-RuO_2-IrO_2$) ელექტროლიდი, ანოლიტად - 300 მლ 1 მოლ/ლ H_2SO_4 + 100 მგ/ლ ორგანული ნაერთი. ელექტროლიტების ცირკულაცია ხდებოდა ტუმბოებით (750 მლ/წთ), $t = 20 \div 25^\circ\text{C}$, $I = 200$ მა. შედეგები ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.

მილებული შედეგებიდან ჩანს, რომ ფენოლის და მ-ამინოფენოლის შემცველ ხსნარებში 15 და 30 წთ-ის განმავლობაში COD შესაბამისად უმნიშვნელოდ მცირდება. პ-ნიტროფენოლის შემთხვევაში COD-ის შემცირება გრძელდება 60 წთ-ს. ფენოლის, მ-ამინოფენოლის და პ-ნიტროფენოლის მინერალიზაციის ხარისხი COD-ის მიხედვით შესაბამისად შეადგენდა 15.78%, 23.68% და 12.1%.



ნახ. 2. MK-40 მემბრანით გაყოფილი ელექტროლიზერის ანოლიტში ფენოლური ნაერთების მინერალიზაციის პროცესში COD-ის ცვლილება დროში.


მინერალიზაცია ულტრაინფერი გამოსხივების ზემოქმედებით. UV გამოსხივების ზემოქმედება ფენოლის, პ-ნიტროფენოლის, ო-ნიტროფენოლის და მ-ამინოფენოლის მინერალიზაციის პროცესზე შესწავლილი იყო 300 მლ ხსნარებში, ორმლებიც შეიცავდნენ 0.5 მოლ/ლ Na_2SO_4 , H_2SO_4 და 100 მგ/ლ ფენოლშემცველ ნაერთს ($\text{pH} 3$, $t = 20-25^{\circ}\text{C}$). ცირკულაცია ხდებოდა ტუბბოს საშუალებით (750 მლ/წთ). ცდის ხანგრძლივობა შეადგინდა 2 სთ. მიღებული შედეგები ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. ოთხივე ხსნარზე UV დასხივების ზემოქმედება COD-ის სიდიდის ცვლილების მიხედვით პრაქტიკულად უმნიშვნელოა.



ნახ. 3. ფენოლური ნაერთების შემცველ ხსნარებში ($\text{pH} 3$) UV ($\lambda = 253 \text{ ნმ}$) დასხივების ზემოქმედებით COD-ის ცვლილება დროში.

pH-ის გავლენა ელექტროფენტონის პროცესზე. ფენტონის რეაქცია (1 -ში Fe^{2+} -ის კატალიზური მოქმედება დამოკიდებულია ხსნარის pH -ზე. შესწავლილი იქნა EF-ით მ-ამინოფენოლის და პ-ნიტროფენილით დაბინძურებული მოდელური ხსნარების გაწმენდის პროცესი MK-40 მემბრანით გაყოფილ ფილტრ-პრესულ უჯრედში. ორივე შემთხვევაში აღებული იყო 300 მლ კათოლიტი შემდეგი შემადგენლიბის: 0.5 მოლ/ლ Na_2SO_4 + 2 მმოლ/ლ Fe^{2+} + 100 მგ/ლ ორგანული ნაერთი. პროცესი ჩატარებული იყო 20°C ტემპერატურაზე, 0,05 ა/ს 2 კათოდური დენის სიმკვრივეზე, $\text{pH} 1-6$, ხსნარების ცირკულაციის სიჩქარე შეადგინდა 750 მლ/წთ. პროცესი გრძელდებოდა 1 სთ-ის განმავლობაში. ორგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს (ნახ. 4), ორივე ხსნარის შემთხვევაში მინერალიზაციის პროცესი

გაცილებით ეფექტურად მიძღინარეობს pH 3-ზე. მიღებული შედეგი ეთანადება ლიტერატურულ მონაცემებს, სადაც მითითებულია EF-ის ოპტიმალური პირობა pH 2.8-3,0 [17,18].




ფენოლის და მისი წარმოებულების მინერალიზაცია EF-ის პროცესის გამოყენებით. ექსპერიმენტები ჩატარებული იყო ფილტრ-პრესულ ელექტროქიმიურ უჯრედში, რომელშიც კათოდური და ანოდური არები განცალკევებული იყო MK-40 მებრანით. 300 მლ კათოლიტის (0.5 მოლი/ლ $\text{Na}_2\text{SO}_4 + 0.5$ მმოლი/ლ $\text{Fe}^{2+} + \text{H}_2\text{SO}_4 + 100$ მგ/ლ ორგანული ნაერთი, pH 3, $t = 20^{\circ}\text{C}$) ცირკულაცია (750 მლ/წთ) ხორციელდებოდა ცენტრიდანული ტუბოს გამოყენებით. გაზ-დიფუზიური კათოდი დაფენილი იყო Ni-ის ბადის დენმიმუგანზე, რომელსაც მიეწოდებოდა ჰაერი (O_2) 0.015-0.02 მპა წნევით. ანოდი წარმოადგენდა ბადისებრ DSA (Ti-RuO₂-IrO₂) ელექტროდს. 2.5 სთ ელექტროლიზის ($i_d = 0.05$ ა/ს dm^2) შემდეგ კათოლიტში არ დაფიქსირდა Fe^{2+} -ის არსებობა (თვისებითი ანალიზი), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მისი რეაგენტურაცია არ მოხდა. გაზ-დიფუზიური ელექტროდის ზედაპირზე ვიზუალურად შეინიშნებოდა რკინის(III) ჰიდროქსილის შემცველი ნალექი. ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია ნახ. 5-ზე.


ფენოლის და მისი წარმოებულების მინერალიზაცია PEF-ის პროცესით გაუყოფელ და მემბრანით გაყოფილ გლუბტროლიზერებში. საწყის ეტაპზე კათოლიტის გაწმენდა ფენოლური ნაერობისაგან ჩატარებული იყო გაუყოფელ ფილტრ-პრესული ტიპის ელექტროქიმიურ უჯრადში, რომელშიც ელექტროდებად გამოყენებული იყო ზემოთ აღნიშნული კათოდი და ანოდი. ელექტროდებს შორის სივრცეში (4 მმ) 750 მლ/წთ სიჩქარით ცირკულირებდა 300 მლ (0.5M $\text{Na}_2\text{SO}_4 + 1$ მმოლ/ლ $\text{Fe}^{2+} + 100$ მგ/ლ ორგანული ნაერთი + H_2SO_4) ხსნარი pH 3-ით და $20-25^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. პროცესი ჩატარებული იყო UV გამოსხივებით. გაწმენდის შედეგები ნაჩვენებია ნახ. 6-ზე.

როგორც მიღებული მონაცემებიდან ჩანს, პ-ნიტროფენილის და მ-ამინოფენილის შემთხვევაში მიღებულია გაწმენდის მსგავსი შედეგი - 60 და 180 წთ-ში მინერალიზაცია შესაბამისად შეადგინა 82.31% და 86.3%. ფენოლის შემთხვევაში მინერალიზაცია მიმდინარეობდა მდორედ და კათოლიტის 180 წთ-ის დამუშავებისას შეადგინა 96.2%. პროცესის დაბალი სიჩქარე გამოწვეული იყო კათოდზე მიღებული ერთ-ერთი მთავარი რეაგენტის - H_2O_2 -ის კონცენტრაციის შემცირებით ანოდზე დაშლის შედეგად.

მომდევნო ეტაპზე PEF-ის პროცესი განხორციელებული იყო ნახ. 1a-ზე ნაჩვენებ ელექტროლიზერში, რომელშიც კათოდური და ანოდური არები განცალკევებული იყო კათონსელექტიური მებრანით, რის შედეგად შესაძლებელი გახდა H_2O_2 -ის ანოდური უანგვის არიდება. კათოლიტი ცირკულირებდა ცენტრიდანული ტუბოს საშუალებით, ხოლო ანოლიტი (300 მლ, 1M H_2SO_4) - ანოდზე წარმოქმნილი უანგბადის საშუალებით (ე.წ. ერლიფტის პრინციპი). ექსპერიმენტის პირობები და გასაწმენდი ხსნარების შედეგნილობა წინა ცდის ანალოგიური იყო.




ნახ. 5. EF-ის პროცესის დროს COD-ის (ა), მინერალიზაციის ხარისხის (ბ) და ენერგიის ხარჯის (გ) ცვლილება დროში ($\text{pH } 3$, $t = 20^{\circ}\text{C}$, $I = 200$ მა).



ნახ. 6. COD-ის დამოკიდებულება დროზე გაუფოფელ ელექტროლიზერში მინერალიზაციის პროცესში. ცდის პირობები: ელექტროლიტის მოცულობა - 300 მლ, ელექტროლიტის შედგენილობა - 0.5მოლ/ლ Na_2SO_4 + 1მმოლ/ლ Fe^{2+} + 100 მგ/ლ ორგანული ნაერთი, UV ($\lambda = 253$ ნმ) დასხივება, pH 3, ტემპერატურა - $20\text{-}25^{\circ}\text{C}$.


ელექტროლიზის დაწყებიდან ~5 წთ-ში შეინიშნებოდა კათოლიტის გამუქება, მომდევნო ეტაპზე დაფიქსირებული იყო შეფერილობის გაღიავება, ხოლო ცდის ბოლოს მიღებული იყო ფაქტიურად გამჭვირვალე სინარი. აღნიშნული მოვლენა უკავშირდება აღებული ორგანული ნაერთების ჟანგვის შეაღებური პროცესის წარმოქმნას. აღსანიშნავია, რომ ნამუშევარი გაზ-დიფუზიური ელექტროდის ზედაპირზე, განსხვავებით EF-ის პროცესისგან, არ შეინიშნებოდა Fe(III) -ის შემცველი ნალექი, რაც მიუთითებს Fe^{2+} -ის რეგენერაციაზე UV გამოსხივების ზემოქმედებით (რეაქცია7). მიღებული შედეგები ნაჩვენებია ნახ. 7-ზე.



ნახ. 7. COD-ის დამოკიდებულება დროზე მემბრანით გაყოფილ ელექტროლიზერში მინერალიზაციის პროცესში. ცდის პირობები: ელექტროლიტის მოცულობა - 300 მლ, ელექტროლიტის შედგენილობა - 0.5მოლი/ლ Na_2SO_4 + 1მმოლი/ლ Fe^{2+} + 100 მგ/ლ ორგანული ნაერთი, pH 3, ტემპერატურა - 20-25°C.

მემბრანით გაყოფილ ელექტროლიზერში ჩატარებული პროცესი სამივე ნაერთის შემთხვევაში აღმოჩნდა ეფექტური: 60 წთ-ში COD-ის შემცირების ხარისხი შეადგინა ფენოლისთვის 9.7%, პ-ნიტროფენოლისთვის 95.7%, მ-ამინოფენოლისთვის 96.7%.

ფენოლის კონცენტრაციის გავლენა PEF-ის პროცესზე. ფენოლის კონცენტრაციის გავლენა PEF-ის მეთოდით ხსნარების დამუშავებაზე შესწავლილია მემბრანულ (MK-40) ფილტრ-პრესულ ელექტროლიზერში, გაზ-დიფუზიური კათოდის, DSA ანოდის, UV გამოსხივების (8 W, $\lambda = 253$ ნმ) გამოყენებით. კათოლიტი ($0.5\text{M Na}_2\text{SO}_4 + 0.1\text{მმოლ}/\text{ლ } \text{Fe}^{2+} + \text{H}_2\text{SO}_4$, pH 3) შეიცავდა ფენოლს, რომლის კონცენტრაცია იცვლებოდა 50-400 მგ/ლ ფარგლებში (ფენოლის კონცენტრაციის ზედა ზღვარი, როგორც წესი, არ შეესაბამება რეალურ ჩამდინარე წყლებში გამაბინძურებლის კონცენტრაციას, ასეთი შემცველობის ხსნარები გამოყენებული იყო მხოლოდ პროცესის პოტენციალის შესაფასებლად). 200 მგ/ლ ფენოლის შემცველობის ხსნარში პროცესის დაწყებიდან ~10 წთ-ში გამჭვირვალე ელექტროლიტი შავდებოდა, ხდებოდა გაუმჭვირვალე, ხოლო 90 წთ-ის შემდეგ დებულობდა შედარებით ღია შეფერილობას. უფრო დაბალი კონცენტრაციების (50 და 150 მგ/ლ) შემთხვევაში, პროცესის დაწყებიდან 90-120 წთ-ში ხსნარის შეფერილობა იცვლებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: უფერო - მოყვითალო - უანგისფერი - მუქი ყავისფერი - ყვითელი - მოყვითალო - უფერო. ფერთა ასეთი ცვლილება დროში დაკავშირებულია ხსნარში უანგვის შუალედური პროდუქტების წარმოქმნასთან. მინერალიზაციის პროცესში მიღებული შედეგები ნაჩვენებია ნახ. 8-ზე.



ნახ. 8. PEF მეთოდით წყლის გაწმენდის პროცესში ფენოლის კონცენტრაციის გავლენა COD-ის ცვლილებაზე დროში.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: EF-ის და PEF-ის მეთოდების საშუალებით ლოკალურად ელექტროგენერირებილი H_2O_2 -ის გამოყენებით შესაძლებელია ფენოლის და ზოგიერთი მისი წარმოებული შემცველი ჩამდინარე წყლის გაწმენდა-გაუსწოვნება. ასევე დადგინდა მებბრანულ ელექტროლიზერში ფენოლის, პნიტროფენოლების, მამინოფენოლის შემცველი მოდელური ხსნარების (pH 3) გაწმენდის პროცესებში GDE-ის და UVC ($\lambda = 253 \text{ nm}$) გამოსხივების გამოყენებით განხორციელებული PEF-ის მეთოდის უპირატესობა EF-თან შედარებით.

სამუშაო შესრულებულია
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული პროექტის (PG/14/9-210/13) ფარგლებში.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://en.wikipedia.org/wiki/Phenol>. 2014.
2. A.C. Роздин, В.П. Алексеев, А.Н. Линьков. Основные промышленные установки для очистки сточных вод / Экология и промышленность России. 1997, № 5, с. 17-20.
3. Е.М. Блинов, Л.Ф. Комарова, П.А. Кривошеев. Определение свойств углеводород-содержащих сорбентов с целью оптимизации водоочистки. / Природные и интеллектуальные ресурсы Сибири. 2001, № 1, с.12-15.
4. W. H. Glaze, J. W. Kang, D. H. Chapin. Ozone Sci. Eng. 1987, 9, p. 335.
5. E. Brillas, C. Arias, P. L. Cabot, F. Centellas, J. A. Garrido, R. M. Rodriguez. Port. Electrochim. Acta. 2006, 24, p. 159.
6. J.Bard, R. Parsons, J. Jordan. Standard Potentials in Aqueous Solutions. Marcel Dekker Inc.: New York, USA. 1985.
7. F. Haber, J. Weiss. Naturwissenschaften. 1932, 51, p. 948.
8. Y. Sun, J. Pignatello. J. Environ. Sci. Technol. 1993, 27, p. 304.
9. B. H. J. Bielski, D. E. Cabelli, R. L. Arudi, A. B. Ross. J. Phys. Chem. Ref. Data. 1985, 14, p. 1041.
10. Z. Stuglik, Z. P. Zagorski. Radiat. Phys. Chem. 1981, 17, p. 229.
11. C. Walling. Acc. Chem. Res. 1998, 31, p. 155.
12. R. G. Zepp, B. C. Faust, J. Hoigné. Environ. Sci. Technol. 1992, 26, p. 313.
13. S. Parsons. Advanced Oxidation Processes for Water and Wastewater Treatment. IWA Publishing: London, UK, 2004.
14. S. Oller, J.A. Malato, W. Sánchez-Pérez, M. I. Gernjak, A. L. Maldonado, C. Pérez-Estrada, C. Pulgarín. Catal.Today. 2007, 122, p. 150.
15. J. Pignatello. J. Environ. Sci. Technol. 1992, 26, p. 944.
16. C. Flox, P. L. Cabot, F. Centellas, J. A. Garrido, R. M. Rodríguez, C. Arias, E Brillas. Appl. Catal. B-Environ. 2007, 75, p. 17.
17. H. J. Fenton. J. Chem. Soc. 1894, 65, p. 899.
18. W. Manchot. Liebigs Ann. Chem. 1901, 314, p. 177.

MINERALIZATION OF PHENOL AND PHENOLIC COMPOUNDS IN WASTEWATER BY MEANS OF ELECTRO-FENTON AND PHOTO-ELECTRO-FENTON PROCESSES

Giorgi Gorelishvili, Paata Nikoleishvili, Gigla Tsurtsimia, Valentina Kveselava, Nana Kojava,
Ia Mamagulishvili

*Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

The work purpose was to remove phenolic compounds from wastewaters, by using advanced oxidation (AOPs) processes. Oxidation and mineralization of phenol compounds existing in water solution were executed by influencing of hydroxyl ($\cdot\text{OH}$) radicals which were obtained in electro-fenton (EF) and photo-electro-fenton (PEF) processes, and electro-generation of necessary H_2O_2 was executed by recovering of oxygen (O_2) by using membrane cell. As the cathode: there was used gas-diffusion electrode - GDE (Black Pearls 2000, BASF, Co. USA), for separate cathode and anode sections there was used cationic-selective membrane (MK-40, Russia). During photo-electro-fenton process as an ultraviolet light source, a lamp UVC, 8W, $\lambda = 253$ nm was used.

Control of the process of mineralization the phenolic compounds was executed by analytical methods of determinations of values of chemical oxygen demand – COD.

It was ascertained that PEF processes were more advantageous than EF processes. By according PEF method, during the processing within 60 min the reduction degrees of COD of the 100 mg/L of starting content, were: for phenol - 97%, for p-nitrophenol - 95.7%, for m-aminophenol - 96.7%. Power consumption for processing of 1 m^3 of wastewater – 2.5 kWh.

МИНЕРАЛИЗАЦИЯ ФЕНОЛА И ЕГО ПРОИЗВОДНЫХ В СТОЧНЫХ ВОДАХ МЕТОДАМИ ЭЛЕКТРО-ФЕНТОНА И ФОТО-ЭЛЕКТРО-ФЕНТОНА

Г.Г.Горелишвили, П.О.Николеишвили, Г.С.Цурцумия, В.М.Квеселава, Н.Ш.Коиава,
И.Н.Мамагулишвили

*Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе
Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили*

РЕЗЮМЕ

В электролизере фильтр-прессного типа, разделенного мембраной МК-40, осуществлена очистка воды, загрязненной фенольными соединениями, методом усовершенствованных окислительных процессов (Advanced Oxidation Processes - AOPs): электро-Фентона (EF) и фото-электро-Фентона (PEF). Основной окислитель – гидроксил радикал ($\cdot\text{OH}$) при использовании EF получен добавлением Fe^{2+} в раствор H_2O_2 , генерированного на газ-диффузионном электроде 2-электронным восстановлением кислорода. При использовании PEF $\cdot\text{OH}$ получен комбинированным методом - EF с добавлением ультрафиолетового облучения (длина волны $\lambda = 253$ нм, 8 Вт). Аналитический контроль деградации органических соединений проводился методом химической потребности кислорода (Chemical Oxygen Demand – COD).

Установлено преимущество PEF перед методом EF. При использовании метода PEF за 60 мин обработки католита, загрязненного 100 мг/л фенолсодержащими веществами, степень очистки (по COD) составила для фенола 97%, для п-нитрофенола 95.7%, для м-аминофенола 96.7%. Расход электроэнергии при очистке 1 m^3 воды составил 2.5 кВт ч.

სამთო-გამამდიდრებელი წარმოების საილენდშემცველი ნარჩენების ზებავლენა გარემო

ნელი ყალაბეგაშვილი, დალი იოსელიანი, გულნარა ბალარჯიშვილი, ლია სამხარაძე, ირმა
მიქაძე, ავთანდილ დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმის ინსტიტუტი

მზარდმა ანთონპოგნურმა ზემოქმედებამ ბუნებაზე, სხვადასხვა საწარმოების სიმრავლემ გაართულა გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაიწყო საერთაშორისო ინტენსიური აქტივობა გარემოს ეკოლოგიური პრობლემების მოსავარებლად პარტნიორის, ნიადაგის და წყლის დაბინძურების შემცირების მიზნით. სამრეწველო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება და ამ პროცესის განეთიშრალება სადღეისოდ გლობალური მასშტაბის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

სამთო-მომბოვებელ და სამთო-გადამამუშავებელ საწარმოებს ყოველთვის თან ახლავს ნარჩენები. უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე სამთო წარმოების ნარჩენები არ განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვნი პრობლემა. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ზრდასთან ერთად სწრაფად დაიწყო ნარჩენების რაოდნობის ზრდა, თანაც გაცილებით სწრაფად, ვიდრე პროდუქციის გამოსავალმა. მსოფლიოში წარმოებული მინერალური ნედლეულის საერთო რაოდნობა დაახლოებით 1000 მლრდ ტონას შეადგნს წელიწადში და ამ რაოდნობიდან მხოლოდ 30-40% გამოიყენება [1]. მაგალითად, კოლის ნახევარკუნძულზე ყოველ წელს დაახლოებით ასეული მიღიონობით ტონა სამთო-გადამამუშავებელი წარმოების კუდები და სხვა ნარჩენები წარმოიქმნება. მხოლოდ 2012 წელს მურმანსკის ოლქში 235,8 მილიონი ტონა სამთო-მომბოვებელი საწარმოს ნარჩენია აღრიცხული. ასეთ ნარჩენებთან გამკლავების ერთ-ერთი მეთოდი მისი ხელახლა გადამუშავებაა, რაც მხოლოდ 8-10%-ს აღწევს. მაგალითად, ოქროს, ურანის და იშვიათი მეტალების ამოღებას ძველი ნარჩენებიდან (ნაფარებიდან) მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან აწარმოებული.

მინერალური ნედლეულის მოპოვებისას უპირატესობა ღია კარიერულ წესს ენიჭება, რაც ძირითადად მიწის ზედაპირთან მაღინის მცირე სიმაღლეზე განლაგებით და ეკონომიკური რენტაბელობით არის განპირობებული. ერთ-ერთ ასეთ საბაზოს საქართველოში ბოლნისის რაიონში მოქმედი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მიეკუთვნება, რომელიც მაღინის მოპოვებას ღია კარიერული წესით აწარმოებს. კომბინატთან ყველაზე ახლოს დაბა კაზრეთია განლაგებული. რაიონში განვითარებულია სოფლის მეურნეობა - მებაღეობა, მებოსტნეობა, მევნახეობა. კარგადა განვითარებული საირიგაციო სისტემები. კარიერს დასავლეთიდან ჩამოუდის მდინარე მაშავერა, თავისი შენაერთით - კაზრეთულათი, ხოლო აღმოსავლეთიდან კი მდინარე ფოლადაური. ეს მდინარეები ფაქტიურად შემოსაზღვრავენ კარიერს. შემდგომში ეს მდინარეები მტკვარში ჩაედინებიან. რაიონის ძირითადი სავარგულები განლაგებულია აღნიშნული მდინარეების ხეობების გასწროვ. ასევე, ამ მდინარეების აღუვიურ ნალექებში გაბურღილია მრავალი ჭაბურღილი, რომელთა მეშვეობით სოფლები მარავდება სასმელი წყლით.

როგორც მდ. კაზრეთულა, ასევე მდ. მაშავერა სპილენძით და კადმიუმით ძლიერ ტექნოგენურ დატვირთვას განიცდან. მდ. კაზრეთულას მახლობლად საკმაოდ მაღალია სპილენძის, თუთისა და კადმიუმის კონცენტრაციები.

სპილენძის იონების შემცველობის მატება მაღნეულის საბაზოს ერთ-ერთი უმთავრესი სამრეწველო მინერალის, ქალკოპირიტის დაშლის შედეგია [2]. თუთია კი მადნეულის საბაზოში მინერალ სფარელიტის სახით გვხვდება. მინერალ სფარელიტში გვხვდება აგრეთვე კადმიუმი იზომორფული მინარევების სახით. თუთიის მსგავსად ეს ელემენტი დაუანგვის შედეგად გადადის კადმიუმის სულფატის ჩსნად ფორმაში, თუმცა თუთიასთან შედარებით ადგილად განიცდის პიროლიზს, რის გამოც მისი მიგრაცია გრუნტის წყლებით უფრო შეზღუდულია.

აღსანიშნავია, რომ როგორც მდ. კაზრეთულას, ასევე მდ. მაშავერას შემთხვევაში მძიმე ლითონების (მათ შორის სპილენძის) ძირითადი მასა იმყოფება ფსევრულ ნალექებში, სადაც სპილენძის შემცველობა ზოგჯერ ექსტრემალურად მაღალ კონცენტრაციებსაც აღწევს.

მაღნეულის საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს სპილენძის კოლჩედანური მაღანი ქიმიური შემადგენლობით: სპილენძი 0,92%, გოგირდი 3-4%, სილიციუმის ოქსიდი 67,2%, ალუმინის ოქსიდი 1,5-2%, რკინა 2,8% [3].

სპილენძის მაღნის მოპოვება წარმოებს სამთო სამუშაოების მაღაროზე ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით. კარიერიდან ამოლებული მაღანი შემდგომი გადამუშავებისათვის გადაიზიდება გამამდიდრებელ კომბინატში, ხოლო ფუჭი ქანები - სპეციალურ საყრელებზე (საწარმოს დღეისათვის 4 საყრელი აქვს საერთო ფართობით 239,7 ჰა). მაღნიდან სპილენძის ამოლება ხდება ფლოტაციის მეთოდით. შესქელების, დალექვის, ფილტრაციის და გაშრობის ტექნოლოგიური პროცესების გავლის შემდეგ მიღება მზა სპილენძის კონცენტრატი, ხოლო ნარჩენი კუდები საწარმოდან მიღების საშუალებით გადაიტუბება სპეციალურ საყროზე - კუდსაცავზე. პროექტის მიხედვით საწარმოს სიმბლაკრე 1360 ათასი ტონაა წელიწადში; საწარმო მუშაობს უწყვეტი რეჟიმით. რაღაც კარიერი, კუდსაცავები და ფუჭი ქანის საყრელები მდგებარეობენ მდინარეების მაშავერას და ფლოდაურის წყალგამყოფზე, ხოლო დაბინძურების წყაროები განლაგებულია მდინარეებზე უფრო მაღლა, ეს უკანასკნელი წარმოადგენენ მიწისქვეშა წყლების დრენაჟის ობიექტებს. მდ. კაზრეთულა, რომელიც მაშავერას შენაკადია, კუდსაცავების ქვეშ მიედინება და გაჯერებულია მაღნის ელემენტებით. ის ფაქტიურად კარიერული და საყარქვეშა მუვე წყლების ნაკადს წარმოადგენს. საყრელებიდან გამოსული ნაწრეტი და სანიაღრე წყალი მდ. კაზრეთულაში ჩაედინება. საყრელიდან და კარიერიდან ამოქაჩული წყლის ნაკადი იკრიბება და გადამუშავდება საწარმო „ეკოლოგის“ მიერ. კარიერიდან ამოქაჩული წყალი გამოირჩევა მაღალი მუავიანობით და მეტალების მაღალი შემცველობით. საწარმო ფლობს საკამა ინფორმაციას არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც ფიქსირდება და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, ამასთან, ბოლო წლებში შეკეთდა და განახლდა საწარმო და ტექნოლოგიური კვანძები (მილსადენები, რეზერვუარები, სატუმბი საშუალებები), მაგრამ მუვე წყლის დაჭრა სრულად მაინც ვერ ხერხდება. საღლექარის კედლებიდან მუდმივად უონავს მძიმე ლითონებით გაჯერებული წყალი, რომელიც „2008-ის დაშორებით ჩაედინება კაზრეთულაში. საფრთხეს წარმოადგენს ასევე შესაძლო დარტყმითი და ავარიული ჩაშვებები.

ქართველი და გერმანელი სპეციალისტების მიერ ერთობლივად ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ Cu, Zn, Cd და SO_4^{2-} -ის ჯამური შემცველობები მდ. კაზრეთულაში ბევრად აღემატება ზედაპირული წყლებისთვის დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს [4].

ფირმა „გამამა“ განსაზღვრა მდ. კაზრეთულაში სპილენძის კონცენტრაცია, რომელმაც შეადგინა 286 მგ/ლ, როდესაც დასაშვები ნორმა შეადგენს 1 მგ/ლ-ს. ზოგიერთ ადგილას მდ. კაზრეთულასა და მაშავერაში დაბინძურება ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციას (ზდკ) 50 და 100-ჯერ აღემატება. მაგ., კარიერიდან ჩამონადენ წყალში ჩდ შეადგენს 3,8 მგ/ლ-ს, რაც 2000-ჯერ მეტია ზდკ-ზე (0,002 მგ/ლ) [5]. კარიერისა და ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ჯამში 18 ელემენტის კონცენტრაცია აღემატება ზდკ-ს.

კერ კიდევ 1997 წლის მაის-ივლისში ფონდი „მეცნიერება და განათლება სიცოცხლისათვის“ მიერ ამერიკული ორგანიზაცია „ISAR-Georgia“-ს ფინანსური დახმარებით ჩატარდა მაღნეულის სამთო-მომპოვებელი კომპლექსის მიმღებარე ტერიტორიების (ნიადაგებისა და ბუნებრივი წყლების) გამოკვლევა მათში ტოქსიკური მეტალების შემცველობა-განაწილების დადგენის მიზნით. მონაცემებმა აჩვენა, რომ მდ. კაზრეთულას და იმ სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების ნიმუშებში, რომელთა სარწყავადაც ეს მდინარე გამოიყენება, მძიმე მეტალების შემცველობა მნიშვნელოვნად აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს და რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობა შეფასდა როგორც „საგანგაშო“. ამდენად, მდ. კაზრეთულასა და მდ. მაშავერაში შეიქმნა ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური ზღდა-განვითარებისათვის გაუსაძლისი პირობები.

მდინარეების მაშავერას და კაზრეთულას დეტალური კვლევები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ [6]. გამოკვლეული იქნა ნიადაგისა და წყლის სიჯები ატომურ-ადსორბციული მეთოდების გამოყენებით. განისაზღვრა 10 ქიმიური ელემენტის: Li, Cu, Zn, Cd, Pb, Mn, Fe, Co, Ni, Sr შემცველობა. ამ კვლევებით დადგინდა, რომ როგორც კარიერთან, ასევე მისვან მოცილებით, 40 კმ-ზე მდ. მაშავერას გასწროვ, დაბინძურება აჭარბებდა მსოფლიო პიდროგრაფიული ქსელისათვის მიღებულ მძიმე მეტალების დასაშვებ გასაშუალოებულ მნიშვნელობებს. ავტორების მიერ შესწავლით იქნა აგრეთვე ფონური მნიშვნელობებიც, ანუ მდ. მაშავერაში მძიმე ლითონების კონცენტრაციები მის შეერთებამდე მდ. კაზრეთულასთან და ნაჩვენებია, რომ მდინარეებში ელემენტთა კონცენტრაციები კარიერიდან დაშორების მიხედვით უმნიშვნელოდ მცირდება კარიერიდან დაახლოებით 3

ქმ-ის მანძილზე. ამის შემდგომ აღვილი აქვს კონცენტრაციების მკვეთრ კლებას. თუმცა მძიმე მეტალების ნორმაზე მაღალი მნიშვნელობები აღინიშნებოდა 40 ქმ-ის შემდეგაც მდ. ხრამში, სადაც მათი რაოდენობა აჭარბებდა მსოფლიო მასშტაბის გასაშუალოებულ სიღილეს: სპილენდი - 54,3-ჯერ, Mn - 43-ჯერ, Zn - 27-ჯერ, Fe - 2,3-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მდ. მაშავერასა და ხრამის წყლებით უზვად ირწყვება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

დადგენილი იქნა აგრეთვე ელემენტების მიგრაციის უნარის თანმიმდევრობა $Mn > Zn > Cu > Fe$.

ჰიდროქმიურ კვლევებზე დაყრდნობით გაშუქებულია კარიტრიდან მთელი ბოლნისის რაიონის მძიმე მეტალებით დაბინძურების შედეგ-მიზეზობრივი კავშირი [7].

მდ. მაშავერას წყლის საანალიზო სინჯებში, მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგებში და მოცემულ აღვილში მოყვანილ სხვადასხვა ტიპის პროდუქტებში (ბოსტნეული, 79 სახეობის მარცველული, ხილი და სხვ.) დაფიქსირებული ზოგიერთი მძიმე მეტალის (Fe, Zn, Cu, Mn, Pb, Cd და სხვ.) მაღალი შემცველები ქმნან იმის რეალურ საშიშროებას, რომ ამ ტოქსიკური ელემენტების მოძრავი ფორმები მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში.

მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ მძიმე მეტალების სისტემატური მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში განსაკუთრებით სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ისინი ხასიათდებან ისეთი ბიოლოგიური თავისებურებებით, როგორიცაა: ორგანიზმში კუმულაციის უნარი, მუტაგენური, კანცეროგენული, ემბრიოტოქსიკური თვისებები. მძიმე მეტალების ტოქსიკურ ზემოქმედებას განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი აქვს ბავშვებსა და ორსულ ქალებში. მთელი რიგი გამოკვლევებით დადასტურებულია მიკროლეგენტების მნიშვნელოვანი როლი ე.წ. „თანდაყოლილი სიმახინჯვების“ ჩამოყალიბებაში. იაპონელი მეცნიერების გამოკვლევებში ხაზგასმითა აღნიშნული, რომ Cd, Mn, Cu, Zn და Fe კომბინირებული ზემოქმედება მძიმედ აზიანებდა ნაყოფს და პრაქტიკულად არ ვნებდა დედის ორგანიზმს; Cd მთლიანად გადადიოდა პლაცებური და გროვდებოდა ნაყოფის თითქმის ყველა შესწავლილ ქსოვილში. აღმოჩენილია სპილენდის ანომალური შემცველობა მცენარებსა და ნიადაგში საღნობი ქარხნიდან 8 ქმ დაშორებით [8].

სპილენდის დიდი რაოდენობით დაგროვება ადამიანში იწვევს ვილსონის დაავადებას, რაც გულისხმობს სპილენდის ჭარბ დაგროვებას ტვინის ქსოვილში, კანში, ლვიძელში, კუჭქეშა ჯირკვალში, თვალებში, თირკმელებში. ის აზიანებს ლვიძლს და ნერვულ სისტემას და ხშირად ფატალურ შედეგს იწვევს [8].

მოსახლეობაზე მძიმე მეტალების უარყოფითი გავლენის დასადგენად 1999-2001 წლებში ჩატარებული იქნა გამოკვლევები ბოლნისის რაიონის სოფლებში. გამოკვლევა ჩაუტარდა 1450 ადამიანს [9]. შედეგებმა აჩვენა, რომ ფონურთან შედარებით რაიონის მოსახლეობის თმაში მაღალი იყო Cd, Zn და Pb შემცველობა. დაავადების სტრუქტურაში წამყვანი აღვილი ეკავა სისხლის მიმოქცევის - 56,5%, სუნთქვის ორგანოების - 27%, შარდსასქესო სისტემების - 30,3% დაავადებებს. აღნიშნებოდა აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა გავრცელების სიხშირე. არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება მოზრდილ მოსახლეობაში შეაღვნდა 30,4%-ს.

ამდენად, ცალსახად იყვეთება ადამიანის ჯანმრთელობაზე მაღნეულის პოლიმეტალური კომბინატის ეკოლოგიურად გაუმართავი ექსპლუატაციის გავლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

გაერთს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მაღნეულის კომბინატს დაუწესა დამაბინძურებლების მაქსიმალურად დასაშვები მნიშვნელობები კონკრეტული მონიტორინგის ერთეულებისათვის: „მაშავერა 500“ (მდ. მაშავერაზე 500 მ დინების მიმართულებით კაზრეთულას შესართავთან) და კაზრეთულაზე, ცხრილი 1.

2010 წლის მონაცემებით სამინისტროს მიერ „მაშავერა 500“-ის მონიტორინგი ბოლოს განხორციელებული იქნა 2006 წელს ორჯერ [10].

ზემოთ აღნიშნული მონაცემების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, თუ რამდენადაა დაბინძურებული გარემო ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ბუნებრივ ეკოლოგიურ ფონთან შედარებით. ამსთან უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესად არასახარბიერო მონაცემების ფონზე შეიმჩნევა ცალკეულ სინჯებში მეტალების მინიმალური, ბუნებრივ ფონთან ერთგვარად დაახლოებული შემცველობა [3]. მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისია და ეკოლოგიური კუთხით საერთო ნებატიურ მდგომარეობაზე ნაკლებად მოქმედებს.

მდგომარეობა არ იცვლება არც გარემოს დამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ; მკვეთრი პოზიტიური გაუმჯობესება არ არის მოსალოდნელი, ამიტომ უკეთესია კომბინატის გარეთ, მდინარე მაშავერას ჩადინებაში მოწყობის შეოფლით პრაქტიკაში აპრობირებული ხელოფური გეოქიმიური ბარიერები, რათა მოხდეს სალექარ-საცავებიდან გამოსული მძიმე მეტალებით დაბინძურებული წყლის გასუფთავება

(სორბციული და სხვა მეთოდებით) ადგილობრივი მინერალური ნედლეულის გამოყენებით. ასეთი მიდგომა ეკონომიკურადაც ხელმისაწვდომია და ხასიათდება მაღალი ეფექტურობით.

ცხრილი 1. ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მონიტორინგის წერტილში „მაშავერა 500“

| მონიტორინგის წერტილი | ჰარამეტრი | ზღვა (მგ/ლ) | |
|-------------------------|-------------|-------------|-----------|
| | | 2001-2005 | 2005-2006 |
| „მაშავერა 500“ | Cu | 1,0 | 1,0 |
| | Zn | 1,0 | 1,0 |
| | Fe | 0,3 | 1,5 |
| | SO_4^{2-} | 500 | 500 |
| კაზრეთულა | Cu | 2,0 | 1,0 |
| | Zn | 1,85 | 1,0 |
| | Fe | 0,47 | 0,3 |
| | SO_4^{2-} | 983 | 500 |

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Алгебраистова Н.К., Кондратьева А.А. Технология обогащения руд цветных металлов, Электронный ресурс. Конспект лекций – Красноярск, ИПК СФ, 2009, 283с.
2. ბაქრაძე ე., კუჭავა გ., არაბიძე ბ., ბუბლაძე ე. მდ. მაშავერას და ფოლადაურის თანამედროვე გეოქიმიური დახასიათება მასზე ანთროპოგენული დატვირთვის გათვალისწინებით. საქ. საინჟინრო სიახლენი, 2012, №3, გ. 63, გვ. 86-90.
3. ბაქრაძე ე. მდ. მაშავერას და მდ. ფოლადაურის წყალშემკრები აუზების გეოეკოლოგიური მონიტორინგი, დისერტაცია, თბილისი, 2014წ., 155.
4. მინდორაშვილი ა. გარემოს ობიექტების ხარისხობრივი მდგომარეობა საქართველოში და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. მდ. კაზრეთულა და მაშავერა. ბიულეტენი №100, 2006, გვ. 27-34.
5. მელიქაძე გ. საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი და სივრცულ-დროითი მოდელირება ეკოლოგიური და სეისმური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით. დისერტაცია, 2006წ., გვ. 182.
6. ზვიადაძე უ., ლომინაძე ი., ცომაია ზ., კალანდაძე დ. კაზრეთის რეგიონის ჰიდროგრაფიულ ქსელში მძიმე ტოქსიკური ლითონების განაწილების საკითხისათვის. „მეცნიერება და ტექნიკა“, №1-3, 2000.
7. კალანდაძე დ. მადნეულის სპილენძ-კოლჩედანიანი საბადოს კარიერული წესით დამუშავების ზეგავლენა ბოლნისის მადნიანი რაიონის ჰიდროეკოლოგიურ მდგომარეობაზე. დისერტაცია, 2004წ. გვ. 162.
8. M.I. Abdullah, L.G. Royle, and A.W. Norris. Nature, 235:158 (1979).
9. K. Nakaidze, D. Virsaladze, O. Gogiberidze, D. Tsereteli, G. Dvali. Impact of heavy metals on the thyroid gland. The first national conference / National program on environment and health. Collection works. 2001:281-283.
10. გუგუშვილი თ., წიკლაური ნ. სახელმძღვანელო ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის, მწვანე ალტერნატივა, თბილისი, 2010წ.

EFFECT OF COPPER-BEARING WASTE OF MINING AND CONCENTRATING PRODUCTION ON THE ENVIRONMENT

Neli Kalabegashvili, Dali Ioseliani, Gulnara Balarjishvili, Lia Samkharadze, Irma Mikadze, Avtandil Dolidze

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry at Iv. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Extraction of copper-bearing mineral raw materials at Madneuli mining and concentrating mill is carried out by open-pit method and due to this fact local natural resources and soils experience strong technogenic (man-made) impact. The basic mass of heavy metals (copper, zinc, cadmium) is located in bottom sediments, content of copper in which sometimes reaches extremely high concentrations. Increase in concentration (densification) of heavy metals is registered in food products, which are growing at contaminated soils. Evidences of negative impact of increased copper concentration on human's health are well known for a long time but there are no expectations of dramatic improvement of technologies applied at the mill. The most prospective is an installation of artificial geochemical barriers tested and approved in the world practice at Mashavera River (along the current after the mill, up to junction with Mtkvari River). Sorptive part of geochemical barriers will be made with the use of local mineral raw materials that will make possible the improvement of purification efficiency along with keeping of economic profitability and will drastically reduce negative load on the environment.

ВЛИЯНИЕ МЕДЬСОДЕРЖАЩИХ ОТХОДОВ ГОРНО-ОБОГАТИТЕЛЬНОГО ПРОИЗВОДСТВА НА ОКРУЖАЮЩУЮ СРЕДУ

Н.Г.Калабегашвили, Д.К.Иоселиани, Г.И.Баларджишвили, Л.О.Самхарадзе, И.И.Микадзе,
А.В.Долидзе

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили . Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

РЕЗЮМЕ

В Маднеульском горно-обогатительном комбинате добыча медьсодержащего минерального сырья проводится открытым карьерным способом, вследствие чего местные природные ресурсы и почва подвергаются сильному техногенному воздействию. Основная масса тяжелых металлов (меди, цинка, кадмия) находится в донных отложениях, в которых содержание меди иногда достигает экстремально высоких концентраций. Повышение концентраций тяжелых металлов зафиксировано в продуктах питания, которые произрастают на загрязненных почвах. Факты негативного влияния повышенной концентрации меди на здоровье человека давно известны, но резкое улучшение применяемых в комбинате технологий не ожидается. Наиболее перспективным является устройство на р. Машавера (по течению после комбината до слияния с р. Мтквари) апробированных в мировой практике искусственных геохимических барьеров. Сорбционная часть геохимических барьеров будет изготовлена с применением местного минерального сырья, что позволит при сохранении экономической рентабельности повысить эффективность очистки и резко уменьшит негативную нагрузку на окружающую среду.

კლასტმასის ნარჩენების მეორადი გადამუშავება სასარგებლო პროცესებად

ნინო ქარქაშაძე, ნანა წეროძე, ქეთევან ებრალიძე, ირმა მიქაძე, როზა კუბლაშვილი*

თუ კეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაპონელი, ბრიტანელი და მსოფლიოს სხვა მეცნიერთა მიერ განხილულია პლასტმასის ნარჩენებითა და ძველი ავტოსაბურავებით განპირობებული გაოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეთოდები. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ამიტომ აუცილებელია ნარჩენების გადამუშავების ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა და ინტენსიური სამუცნიერო კვლევა არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიზნით.

ცხოვრების თანამედროვე წესი თითქმის წარმოუდგენელია პლასტმასების გამოყენების გარეშე. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე პლასტმასების წლიური გამოყენება გერმანიაში შეადგენდა 44 კგ, უვეღეთში 38კგ, აშშ-ში 35კგ, ხოლო აშშ-ზე გაყიდული პლასტმასის ბოთლების რაოდენობამ, რომელიც 1997 წელს 3,3 ბილიონს შეადგენდა, 2002 წელს 15 ბილიონს მიაღწია. მიუხედავდ ასეთი მასშტაბებისა, პლასტმასების წარმოება ყოველწლიურად სისტემატურად იზრდება. შესაბამისად იზრდება აგრეთვე პლასტმასის ნარჩენების რაოდენობაც, რაც გარემოს გაფუჭყვიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

იაპონელი მკვლევარების მიხედვით, [1] პლასტმასის ნარჩენების გამოყენება შეიძლება კოქსის ნაცვლად ფოლადის წარმოებაში, სადაც პლასტმასის დაშლის შედეგად წარმოქმნილი გაზები გამოიყენება რკინის ნაღნობისათვის საჭირო თერმული წყაროს სახით, ხოლო მური და ნამწვი - ნახშირბადის წყაროს სახით. აღსანიშნავია, რომ პოლიეთილენი მხოლოდ 15% წყალბადს შეიცავს, ხოლო მისი 85% ნახშირბადზე მოდის, რითაც ის მაღალხარისხოვან ქვანახშირს ემსგავსება.

აღმოჩნდა, რომ ბრძმედში პლასტმასის წვის პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნაწილაკების ზომაზე. პლასტმასის მსხვილი ნაწილაკები, წვრილ ნაწილაკებთან შედარებით, ხასიათდება წვისა და გაზრიარმოქმნის უფრო მაღალი უნარით, ხოლო პლასტმასის ნამწვი და ნახშირორჟანგის წარმოქმნის სიჩქარე უფრო მაღალია, ვიდრე ქვანახშირის ფენილიდან მიღებული ნამწვი და ნახშირორჟანგის წარმოქმნის სიჩქარე. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ პლასტმასის მსხვილი ნაწილაკები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ბრძმედულ პროცესში აღმდეგენელი აგენტის სახით [2-3].

პლასტმასის ნარჩენების გადამუშავების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პლასტმასის აირად პროდუქტებად დაშლის პროცესი. თუმცა, როგორც კანადის პლასტმასების წარმოების ასოციაციასთან არსებული გარემოს დაცვისა და პლასტმასების წარმოების საბჭო მიუთითობს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს პლასტმასების ნარჩენების წვის დროს ეწ. „სათბურის გაზების“ ემისიის მინიმუმამდე დაყვანას. გარდა ამისა, ზოგიერთი პოლიმერული ნარჩენის წვისას წარმოიქმნება ტოქსიკური გაზები, როგორიცაა ქლორწყვალბადი, აზოტის ოქსიდები, ამიაკი, ციანის ნაერთები და სხვ. ამიტომ ასეთი ნარჩენების გადამუშავებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ამ ნაერთების შებოჭვა და გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება.

პლასტმასის ნარჩენების ძირითადი ტიპებიდან, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია პლასტმასის ბოთლები და ავტოსაბურავები. ამერიკის პლასტმასების საბჭოს [American Plastics Council (APC)] მონაცემებით, პლასტმასების ბოთლებისა და მსგავსი ნაკეთობების შეგროვება-გადამუშავების პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: ნარჩენებს აგროვებენ, შემდეგ ზღება მათი გადარჩევა (მექნიკურად ან ზელით). გადარჩეულ პლასტმასებს ახასიათებენ პლასტმასის ტიპის მიხედვით და გზავნიან გადამუშავებულ საწარმოში, სადაც ამ მასალას ატარებენ ვიბრაციულ სივრცეში ნაგვისა და ტალახის მოსაცილებლად, შემდეგ პლასტმასის ნარჩენებს რეცხვენ და აქცემაცებენ წვრილ ნაწილაკებად; შემდეგ, სიმკვრივეში სხვაობიდან გამომდინარე, სალოტაციო რეზერვუარში კიდევ აშორევებს; შემდეგ ნაწილაკებს

აშრობენ, ადნობენ, ფილტრავენ და აყალიბებენ გრანულების სახით. მიღებულ გრანულებს გზავნიან დამამზადებელ საწარმოებში, სადაც ამ გრანულებისაგან ამზადებენ პლასტმასის ახალ ნაკეთობებს. აშშ-ში 1997 წლის გადამუშავებული პლასტმასის ნარჩენების დაახლოებით ნახევარს შეადგენდა პოლიეთილენტერეფთალატისა და მაღალი წნევის პოლიეთილენის ბოთლები. 2003 წელს პოლიეთილენტერეფთალატისაგან დამზადებული, უალკოჰოლო სამშელებისათვის გათვალისწინებული ბოთლების ახალ ბოთლებად გადამუშავებამ დაახლოებით 25% შეადგინა, ხოლო მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისაგან დამზადებული რძისა და წყლის ნარჩენი ბოთლების დაახლოებით 32%-ია.

APC-ის მონაცემებით, მოთხოვნილება პლასტმასის გადამუშავებულ ნარჩენებზე, როგორიცაა პოლიეთილენტერეფთალატი და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი, აშშ-ის ბევრ რეგიონში საკმაოდ მაღალი და სტაბილურია. კერძოდ, პლასტმასის ნარჩენებიდან აღდგნილ პოლიეთილენტერეფთალატს იყენებენ ხალიჩებისა და სხვადასხვა ქსოვილებისათვის საჭირო ბოჭკოს დასამზადებლად, ხოლო მაღალი წნევის პოლიეთილენს – ბოთლების დასამზადებლად. მაღალი პერსპექტიულია ასეთი პოლიეთილენტერეფთალატის გამოყენება გოფრირებული ქაღალდის და სხვა ბუნებრივი ბოჭკოს დამცავი ფენის სახით.

ბრიტანეთის პლასტმასების ფედერაციის (BPF) [BPF's Online Directory – www. bpf. co. uk/directory] მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში 2003 წელს პოლიეთილენის ფირისაგან დამზადებული შესაფერი მასალის ნარჩენების აღდგენა წლიურად შეადგენდა 50000 ტონაზე მეტს. დიდ ბრიტანეთში ინტენსიურად აღადგენენ აგრეთვე პოლიპროპილენის, პოლივინილქლორიდის, პოლისტიროლის, აკრილონიტრილ-ბუტადიენის და სტიროლის თანაბოლიმერის ნარჩენებს.

მაღალი შენიშვნელოვანია პოლიმერიზაციული პოლიმერების (პოლიეთილენტერეფთალატი, პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლისტიროლი და ა. შ.) შესაბამისად დახარისხება, ვინაიდან მათი შემდგომი დამუშავება დამოკიდებულია ამ პროცესზე. მაგალითად, პოლიეთილენ-ტერეფთალატი მეორადი გადამუშავებისას არ საჭიროებს პლასტიფიკატორების დამატებას; მაგრამ, თუ პოლიეთილენტერეფთალატი ნარევის სახით შეიცავს პოლივინილქლორიდს, მაშინ, ამ უკანასკნელის თერმული დაშლის შედეგად წარმოიქმნება ქლორწყალბადი, რომელიც იწვევს პოლიმერის ინტენსიურ დესტრუქციას, რაც გაუარესებს ამ გზით მიღებული აღდგენილი პოლიეთილენტერეფთალატის ხარისხს. მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისას, აღდგენილი პროდუქტის ხარისხის შესანარჩენებლად უნდა ვერიდოთ მასში დაბალმოლექულური პოლიეთილენის შერევას და ა.შ.

პლასტმასის ნარჩენი პარკების გადამუშავების საინტერესო პროექტი შეიმუშავეს ბანგალორის (ინდოეთი) უნივერსიტეტის საგზაო ტრანსპორტის ცენტრში [4-5]. ეს პროექტი ითვალისწინებს პლასტმასის ნარჩენი პარკების გამოყენებას ბიტუმოვან კომპოზიციებში დანამატების სახით. აღსანიშნავია, რომ პირველად ეს იდეა წამოაყენეს 1993 წელს [6], სადაც დასაბუთებული იყო, რომ პლასტმასის ნარჩენების დამატება გზის ასფალტის საფარში შეამცირებს სიცხეში ასფალტის დენადობას და დაბალ ტემპერატურაზე - ასფალტის ზედაპირის დასკდომას. ექსპერიმენტულად ნაჩვენები იქნა, რომ პოლიპროპილენისა და დაბალი სიმკვრივის პოლიეთილენის ნარჩენების აღდგენის შედეგად მიღებული გრანულების შეტანა ასფალტის (ბიტუმის) კომპოზიციებში, სუფთა ასფალტთან (ბიტუმთან) შედარებით, მნიშვნელოვანად ზრდის გზის ასფალტის საფარის გამდლეობას. პლასტმასის შემცველ ასეთ კომპოზიციას პლასტიფილატს უწოდებენ [7,8]. პრაქტიკულად, პლასტმასის ნარჩენების აღდგენის შედეგად მიღებულ მასალას 1-12% რაოდენობით ურევნენ გაცხელებულ ბიტუმს. ამის შედეგად მიღებული მოდიფიცირებული კომპოზიციის დარბილების ტემპერატურა და დენადობა მცირდება დამატებული პოლიმერის რაოდენობის პროპორციულად; კერძოდ, წონით 12% პლასტმასის დამატების შემთხვევაში, კომპოზიციის დარბილების ტემპერატურა 8%-ით მცირდება.

ნარჩენი ავტოსაბურავების პრობლემა ასევე ძალზე აქტუალურია. აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემებით, 1990 წელს გადაგდებულ იქნა 240 მილიონი, ხოლო საწყობებში დაგროვდა 3 ბილიონი ძველი საბურავი [9]. ძველი ავტოსაბურავების უტილიზაციის ერთ-ერთი ვარიანტია მათი საწვავად გამოყენება. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი პირველი იყო, რომელმაც ძველი ავტოსაბურავები გამოიყენა ვულკერპემპტონის თბოლეუტროსადგურში საწვავის სახით და ეს ელექტროსადგური 25 ათას საცხოვრებელ სახლს დღემდე უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსაბურავების წვა საჭიროებს განსაკუთრებულ რეგულირებად პირობებს, ვინაიდან ამ დროს გამოყოფილი აირები (მათ შორის მიკრომტერი) შეიცავს პოლიციკლურ ნახშირწყალბადებს, CO, SO₂ და HCl. 1 ტონა საბურავების დაწვისას გამოიყოფა 270 კგ მური (ჭვარტლი) და 450 კგ ტოქსიკური გაზები.

ძველი ავტოსაბურავების დაქუცმაცების შედეგად მიღებულ მასას იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა კომპოზიციებში შემავსებლების სახით. საბურავების დაქუცმაცება საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდნ საბურავი სხვადასხვა კომპონენტებს (მეტალს, ბოჭკოს) შეიცავს. რაც უფრო მაღალია დაქუცმაცების ხარისხი, მთ უფრო მაღალს ხარისხის ხილვანა მიღებული ფხვნილი. მაგრამ, დაქუცმაცების არსებული ტექნიკური საშუალებებიდან გამომდინარე, 0,5 მმ და უფრო ნაკლები ზომის ნაწილაკების მიღება ეკონომიურად უკვე არარენტაბელურია. ავტოსაბურავების დასაქუცმაცებლად სხვადასხვა ტექნიკას იყენებენ. მათ შორის უპირატესობა ეძლევა ე.წ. კრიოგენულ დაქუცმაცებას ანუ დაქუცმაცებას გაყინვით. ასეთი ტექნილოგია გამოყენებულია საბურავების გადამუშავების სხვადასხვა სქემაში, რომელიც შემუშავებულია ფირმის INTEC მიერ, როგორც აღნიშნეთ, მიღებული რეზინის ფხვნილს მირითადად იყენებენ სხვადასხვა კომპოზიციებში შემავსებლის სახით. თუმცა შესაძლებელია ამ მასალის სხვაგვარი გამოყენებაც. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მერდოკის უნივერსიტეტის საიტზე [10] გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ტარდებოდა ექსპერიმენტები ასეთი ფხვნილის გამოსაყენებლად ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის შესაბოჭავად [11-13]. გადამუშავების პროცესის მიზანია გადამუშავების საბოლოო პროცესის - პლასტმასის გრანულატის ან კაუჩუკის ფხვნილის - მიღება. ეს საბოლოო პროცესი მრეწველობაში მრავალმხრივ გამოყენებას პოულობს. როგორც აღნიშნეთ, პოლიმერული გრანულატის მირითადი გამოყენების სფეროა მათი ხელახლი გადამუშავება ბოთლების და მსგავსი ტარის სახით. გარდა ამისა, გრანულატისაგან მზადდება პოლიმერული ფირები. ამ სახით გადამუშავდება დაბალი წნევის პოლიეთილენი, მაღალი წნევის პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლიეთილენტერეფთალატი, პოლისტიროლი, პოლიამიდი. პოლიმერული გრანულატი და კაუჩუკის ფხვნილი გამოიყენება აგრეთვე სამშენებლო მასალების წარმოებაშიც, როგორიცაა კომპოზიციური სამშენებლო მასალები რეზინის ფხვნილისა და პოლიმერული ნარჩენების საფუძველზე. ეს მასალები წარმატებით ანაცვლებს რადიაციული ზემოქმედებისა და აგრესიული არებისადმი მდგრად, ძვირადლირებულ ბეტონს.

დაბალი და მაღალი წნევის პოლიპროპილენის, პოლიეთილენტერეფთალატის სამრეწველო ნარჩენები გამოიყენება ისეთი მასალების წარმოებაში, როგორიცაა კრამიტი, ტროტუარის ფილები, კედლის ბლოკები, დეკორაციული აგური, აბრაზივები, ასაწყობი მიღები და ა.შ. მაგალითად, პოლიეთილენის ნარჩენებს აქუცმაცებენ შენერ ან როტორულ დამაქუცმაცებელში. ბურთულიან წისქვილში ფქვავენ შემავსებელს, როგორიცაა ნახერხი, მინა, ხრეში, აგურის ნამტვრევები, სამშენებლო ნაგავი. პოლიმერისა და შემავსებლის შესაბამისი წონა-მოცულობით ნარევს ათავსებენ ცივ შემრევში, სადაც უმატებენ აგრეთვე მინერალურ საღებავებს. მიღებული ნარევი გადაქვეთ ცხელ შემრევში, სადაც ის პომოვენიზირდება გარკვეული ტექნილოგიური თვისებების მქონე პომოვენური მასის სახით. მზა ცხელ ნარევს ათავსებენ საწინებულებისა და წნესავენ პილრავლიკური წნებით, რის შემდეგ ნაკეთობა რეგულირებადი რეჟიმით ცივდება და მზა პროცესის საწყობში გადადის. როგორც ცნობილია, ავტოსაბურავის კარკასი, ჩვეულებრივ, შედეგება სპეციალური რეზინით დაფარული ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან (კორდი). საბურავის მუშა ნაწილი, პროტექტორი, მზადდება დაღარული რეზინის სქელი ფენისაგან. საბურავის კიდეები გათვალისწინებულია დასამაგრებლად და ფოლადის მავთულს შეიცავს. ავტოსაბურავების ნარჩენებს გადამუშავების მიზნით აჭრიან ბორტებს და დანარჩენ ნაწილს აქუცმაცებენ 100-250მმ ნაჭრებად. უხეში დაქუცმაცების შემდეგ, ხდება უფრო წვრილად დაქუცმაცება. მიღებული ფქვილი გადის ორ-ბადიან (ზედა ბადე 3-5 მმ, ქვედა ბადე 1 მმ) ვიბროსაცერში; ზედა საცერში რჩება ქსოვილის ბოჭკოვანი ნარჩენები, ხოლო რეზინის ფხვნილი, ქვევით ჩამოვარდინის დროს, გადის მაგნიტურ სეპარატორში, სადაც მას სცილდება ლითონის ნაწილაკები (თუ საბურავი დამზადებული იყო ლითონის კორდის საფუძველზე).

რეზინაში გოგირდის შემცველობის მიხედვით, განასხვავებენ სამი სახის რეზინს: რბილ რეზინს (2-8% გოგირდი), ნახევრადმკვრივ რეზინს (12-20% გოგირდი) და მკვრივ რეზინს ანუ ებონიტს (25-30% გოგირდი), რეზინის რეგენერაციის პროცესის ძირითადი ეტაპი დევულკანიზაციაა, როდესაც მექანიკური, თერმული და ქიმიური უანგვის პროცესის შედეგად, ვულკანიზირებული რეზინი პლასტიკურ პროდუქტად გარდაიქმნება. ვულკანიზატიის ფხვნილის დევულკანიზაცია ხდება ვერტიკალურ ავტოკლავებში, წყლის არეში, ჭარბი თხევადი ფაზის თანაობისას, დაახლოებით 180°C -ზე, 6-8 საათის განმავლობაში.

უკასკნელ წლებში განსაკუთრებული ჭურადღება ექცევა საბურავების წვის პროცესების გამოყენებას ტექნილოგიურ პროცესებში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ პლასტმასის ნარჩენებითა და ქველი ავტოსაბურავებით განპირობებული ეკოლოგიური პრობლემა ასევე მწვავედ დგას საქართველოშიც. ამიტომ, აუცილებელია ნარჩენების გადამუშავების ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა და ინტენსიური სამუცნიერო კვლევა არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიმართ ულებით.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. I.Naruse, T. Kameshima, H. Omori.-Application of waste plastics to electric furnaces for steel making as thermal and carbon sources. – Transssactions of the Wessexs Institute, 26 February 2008;
2. Asanuma M., Ariyama T., Sato M., Murai R., Nonaka T., Okochi I., Tsukui H., Nemoto K. – Development of waste plastics injection process in blast furnace. ISIJ Int., Vol. 40 (2000) No. 3, pp. 244-251;
3. Bruce G. Chem. Week. 1997. V.159. N15, p.32.
4. Prof. C.E.G. Justo. Utilization of waste plastic bags in bituminous mix for improved performance of roads. Centre for Transportation Engineering, Bangalore University, India;
5. Heya R; Okada H; Ogawa Y; Toguchi H; Int. J. Pharm; 72 199-205 (1991);
6. Flinn L. “Recycled plastic finds home in asphalt binder” – Journal, Roads and Bridges, March 1993;
7. Zoorob S.E., SuparmaL.B. “Laboratory design and investigation of proportion of bituminous composite containing waste recycled plastics aggregate replacement (Plastiphalt)” CIB Symposium – Construction and Environment Theory into Practice. Sao Paulo, Brazil November, 2000;
8. Zoorob S.E. “Laboratory design and performance of improved bituminous composites utilizing plastics packaging waste.” Conference on Technology Watch and Innovation in Construction Industry. Belgium. Building Research Institute, Brussels April, 2000;
9. U. S. Environmental Protection Agency et al, Scrap tire Technology and Markets Noyes Data Corporation, NJ 1993;
10. Mod. Plast. Int. 1996 v26 N3, p.86;
11. Sinclair R. G. J. Macromol Sci, A. 1996. V33, N5, p.703(3) Schlichtr. Kunststoffe. 1998. 88. N6, S.888-890;
12. Фомин В. А. Гузеев В.В. Пластические массы. 2001 №2. С.42-46.
13. Mista S.K. vallapil S. P, Roy 1; Boccaccini A.R; 2006, Biomacromolecules, 7(8), 2249-58.

SECONDARY PROCESSING OF PLASTIC WASTES IN USEFUL PRODUCTS

Nino Karkashadze, Nana Tserodze, Ketevan Ebralidze, Irma Mikadze, Roza Kublashvili*

TSU Petre Melikishvili Physical and Organic Chemistry/

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Methods of the solution of environmental problems, the caused plastic and chemical wastes from tires of old cars it is discussed by Japanese, British and other scientists worldwide. This problem is most actual in Georgia. Therefore it is necessary to acquire new methods of technology of processing and intensive scientific researches for improvement of the existing technologies.

ВТОРИЧНАЯ ПЕРЕРАБОТКА ПЛАСТИМСОВЫХ ОТХОДОВ В ПОЛЕЗНЫЕ ПРОДУКТЫ

Н.Г.Каркашадзе, Н.П.Церодзе, К.Г.Эбралидзе, И.И. Микадзе, Р.И. Кублашвили*

ТГУ Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишивили

* Тбилисский Государственный Университет им. Ив.Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Методы решения экологических проблем, вызванных пластмассовыми и химическими отходами от покрышек старых автомобилей, обсуждаются японскими, британскими и другими учеными во всем мире. Эта проблема довольно актуальна и в Грузии. Поэтому, нужно усвоить новые методы технологии обработки и интенсивные научные исследования в целях улучшения существующих технологий.

გოსტიულში ნიტრატ-ნიტრიტის ტრანსფორმაციის მექანიზმზე მოძმედი ზაქტორების შესწავლა

გიორგი ანდრიაძე, ევგენია შენგელია, ლერი გვასალია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დაჭრილი მწვანილეულის და ზოგიერთი ბოსტნეულის (კომბოსტო, პომიდორი, მველი კარტოფილი) ჰაერზე გარკვეული დროით დაყოვნებისას უანგბადის გავლენით მიმდინარეობს ნიტრატ-ნიტრიტების შემცველობის ზრდა. ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია მათი ოთახის ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში თავდაზურულ ჭურჭელში მოთავსებით.

ნიტრატები წარმოადგენენ ბუნებაში აზოტის გლობალური წრებრუნვის ძირითად კომპონენტებს, ამიტომ ისინი გარემოში ყველგან გვხვდება.

ადამიანის ორგანიზმში ნიტრატები ძირითადად ბოსტნეულის და სასმელი წყლის საშუალებით ხვდება [1]. ოპტიმალური რაოდენობით მოხმარებისას ნიტრატები არ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. მათი დიდი რაოდენობა კი იწვევს მწვავე და ქრონიკულ მოწამვლას. ქრონიკული მოწამვლისას მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის ცვლილებები და გულის დაავადებების განვითერება. მწვავე მოწამვლისას სისხლში მიმდინარეობს ჰემოგლობინის მეტაჰემოგლობინად გარდაქმნა, მას არ შესწევს უანგბადის გადატანის უნარი, რაც იწვევს პიპოქსიის განვითარებას [1,2].

გაცილებით მეტ საშიმროებას იწვევს ნიტრატების მეტაბოლიტები – ნიტრიტები და ნიტროზონაერთები, რომელთა უმეტესობას ღრმა ტოქსიკოლოგიური ეფექტი გააჩნია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ნიტრატების მიღების დღიური ნორმა ადამიანის წონის ყოველ კილოგრამზე განისაზღვრება 5 მილიგრამის ოდენობით.

ბოსტნეულს ნიტრატების სხვადასხვა რაოდენობით დაგროვების უნარი გააჩნია, მათ შორის ყველაზე მეტად: მწვანილეულს, ჭარხალს, კომბოსტოს, სტაფილოს, კიტრს და ა.შ.

სხვადასხვა ბოსტნეულში ნიტრატების შემცველობა განსხვავებულია და იცვლება 1-დან 10000 მგ/კგ ზღვრებში [3]. ნიტრატების განსაკუთრებულად მაღალი შემცველობით გამოირჩევა სასათბურე პირობებში მოყვანილი ბოსტნეული.

ნიტრატების შემცველობა ბოსტნეულში მკვეთრად იცვლება მათი კულინარული დამუშავებისას.

ცალკეული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები [4], რომელთა გათვალისწინებით ნიტრატების კონცენტრაციების შემცირება შესაძლებელია ბოსტნეულის კულინარული დამუშავებით. ზოგიერთ ნაშრომში კი, სადაც მწვანილეულის, როგორც სასარგებლო, ისე მავნე თვისებებზე საუბარი, რეკომენდირებულია ისეთი კერძების, რომელშიც ცოცხალი მწვანილეულია გამოყენებული, საკვებად დამზადებისთანავე მიღება, რადგან 15–20 წუთის შემდეგ ნიტრატებით მდიდარი მწვანილეულის ჰაერზე გაჩერების დროს მიმდინარეობს მათი გარდაქმნა ტოქსიკურ ნიტრიტებად.

ნაშრომში [5], რომელიც მიზნად ისახავდა დაჭრილ მწვანილეულში ნიტრატ-ნიტრიტის შემცველობის დროში ცვლილების დინამიკის შესწავლას ნაჩვენებია, რომ დაჭრილი მწვანილეულის ჰაერზე დაყოვნებით დახლოებით ორი საათის განმავლობაში, მიმდინარეობს არა მხოლოდ ნიტრიტების, არამედ ნიტრატების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდაც, ამდენად დროის ამ ინტერვალში დაჭრილ მწვანილეულში ნიტრატების დენიტრიფიკაციის პროცესი არ მიმდინარეობს ლიტერატურაში აღწერილი მექანიზმის თანახმად – ნიტრატების შემცირება ნიტრიტებად აღდგნის ხარჯზე . ღენიტრიფიკაციის პროცესი აღნიშნული მექანიზმით დაჭრილ მწვანილეულში იწყება მხოლოდ გარკვეული დროის (დაახლოებით ორი საათის) შემდეგ, რის შედაგადაც ხდება ნიტრატების შემცირება და ნიტრიტების კონცენტრაციის ზრდა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა კულინარულად დამუშავებულ (დაჭრილ) ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტის ტრანსფორმაციის მექანიზმის და მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. ნიტრატ-ნიტრიტის ბოსტნეულში შემცველობა ისაზღვრებოდა ISO-სტანდარტის მიხედვით [6].

შესწავლილია ნიტრატ-ნიტრიტების შემცველობის დროში ცვლილების დინამიკა და გრუნტის ახალ და შენახულ გახეხილ სტაფილოში, ჭარხალში, კომბოსტოში, კარტოფილში, პომიდორში, ოხრახუშში და ქინძში. მიღებული შედეგების თანახმად გახეხილ სტაფილოში, ჭარხალში და ახალ კარტოფილში ჰაერზე დაყოვნებისას მიმდინარეობს დენიტრიფიკაციის პროცესი, ნიტრატების კონცენტრაციის შემცირებით და ნიტრიტების კონცენტრაციის ზრდით, ხოლო როგორც შენახულ ისე ახალ გახეხილ კომბოსტოში, შენახულ კარტოფილში, პომიდორში, დაჭრილ ოხრახუშსა და ქინძში აღინიშნება ნიტრატ-ნიტრიტების კონცენტრაციის ზრდა. გამოკვლეულ ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტების საწყისი შემცველობა და მათი შემცველობა დაჭრილ მდგომარეობაში ჰაერზე 20 წუთით დაყოვნების შემდეგ მოცემულია ცხრილში 1.


ცხრილი 1. გახეხილ შენახულ და ახალ ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტების საწყისი შემცველობა და მათი შემცველობა ჰაერზე 20 წუთით დაყოვნების შემდეგ

| სინჯის დასახელება | | ნიტრატ-ნიტრიტების კონცენტრაცია მგ/კგ | | ნიტრატ-ნიტრიტების კონცენტრაცია 20 წთ შემდეგ მგ/კგ | |
|-------------------|----------|--------------------------------------|-----------------|---------------------------------------------------|-----------------|
| | | NO ₃ | NO ₂ | NO ₃ | NO ₂ |
| სტაფილო | ახალი | 179,8 | 4,05 | 152,70 | 3,55 |
| | შენახული | 9,14 | 6,40 | 2,57 | 3,44 |
| ჭარხალი | შენახული | 733,92 | 19,88 | 655,45 | 25,8 |
| კომბოსტო | ახალი | 545,43 | 5,86 | 601,13 | 3,65 |
| | შენახული | 117,64 | 5,46 | 195,57 | 5,63 |
| კართოფილი | ახალი | 390 | 15,71 | 175,9 | 19,8 |
| | შენახული | 546,29 | 13,65 | 585,3 | 11,8 |
| პომიდორი | | 38,08 | 0,26 | 40,5 | 0,53 |
| ოხრახუში | | 1055 | 6,25 | 1428 | 21,56 |


შესწავლილია დაჭრილ ოხრახუშსა და ქინძში ნიტრატ-ნიტრიტების შემცველობის ცვლილების დინამიკაზე სხვადასხვა ფაქტორების (ტემპერატურა, უანგბადისა და დაყოვნების დროის) გავლენა.

ნიტრატ-ნიტრიტების ცვლილების დინამიკაზე უანგბადის ზემოქმედების გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებულია დაკვირვება 40 წუთის განმავლობაში თავისი და ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში მოთავსებული დაჭრილი ოხრახუშსა და ქინძის ნიმუშზე.

ნიტრატ-ნიტრიტების ცვლილების დინამიკაზე ტემპერატურის ზეგავლენის შესწავლის მიზნით იგივე ოხრახუშისა და ქინძის დაჭრილი ნიმუშები ინახებოდა თერმოსტატში 40 წუთის განმავლობაში, (+42⁰C) და (+62⁰C) და მაცივარში (+3,2⁰C)-ს და (+1,8⁰C)-ს ტემპერატურის პირობებში. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 2 და ასახულია სურათებზე 1 და 2.



სურ.1. დაჭრილ ქინძში ნიტრატების შემცველობაზე სხვადსხვა პირობების გავლენა.



სურ. 2. დაჭრილ ქინძში ნიტრიტების შემცველობაზე სხვადასხვა პირობების გავლენა.

როგორც ცხრილი 2-დან და სურ. 1,2-დან ჩანს, ჟანგბადის ზეგავლენით (ნიმუში თავდა ჭურჭელში), როგორც დაჭრილი ქინძის ისე ოხრახუშის ნიმუშში მიმდინარეობს ნიტრატ-ნიტრიტის კონცენტრაციის ზრდა, ხოლო ჟანგბადის ნაკლებობისას (თავდახურულ ჭურჭელში) – დენიტრიფიკაციის პროცესი ნიტრატების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირებით და ნიტრიტების კონცენტრაციის ზრდით. იგივე პროცესი, მხოლოდ ნაკლები ინტენსივობით აღინიშნება მაცივარში შენახულ და თერმოსტატში გამთბარ ნიმუშებში, სადაც ცხადია, ასევე იქნებოდა ჟანგბადის ნაკლებობა.

ცხრილი 2. დაჭრილ ქინძსა და ოხრახუში ნიტრატ-ნიტრიტის შემცველობის ცვლილების დინამიკაზე სხვადასხვა პირობების გავლენა

| სინჯის დასახელ. | ექსპერიმენტის პირობები | NO_3^- მგ/კგ | NO_2^- მგ/კგ |
|-----------------|----------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| ქინძი ოხრახუში | შაწყისი კონცენტრაცია | 2176,15 833,6 | 16,77 72,8 |
| ქინძი ოხრახუში | +27°C, თავდა ჭურჭ. 40წუთ. შემდეგ | 2212,70 956,42 | 19,91 99,17 |
| ქინძი ოხრახუში | +27°C, თავდა ჭურჭ. 40წუთ. შემდეგ | 1463,99 498,77 | 21,88 88,77 |
| ქინძი ოხრახუში | +42°C-40წუთ. შემდეგ +62°C-40წუთ. შემდეგ | 1954,13 567,34 | 10,75 38,64 |
| ქინძი ოხრახუში | +3,2°C-40წუთ. შემდეგ +1,8°C-40წუთ. შემდეგ | 2029,70 480,64 | 12,92 63,33 |
| ქინძი | +27°C 24 საათის შემდეგ | 847,25 | 1467,40 |

თავდა ჭურჭელში ნიტრატების კონცენტრაციის ზრდის სავარაუდო მიზეზად მიგვაჩნია მათი შემადგენელი ორგანული ნივთიერებების ჟანგვითი პროცესები, რომლის შედეგად შესაძლებელია შემდეგი თანამდე პროცესების განვითარება. დაჭრილი მწვანილეულის შემადგენელი ორგანული ნივთიერებების ჟანგვისას მიმდინარეობს ფერმენტების (ნიტრობაქტერიების) გააქტიურება, რომლებიც ახორციელებენ ნიტრატების ნიტრიტებად ინტენსიურ აღდგენას, რაც იწვევს ნიტრიტების კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას. პარალელურად მწვანილეულის შემადგენელი ცნიშების ცხიმოვანი მჟავები ჰაერზე დაყოვნებისას განიცდიან დაჟანგვას ჟანგბადთა ურთიერთქმედებით, ამ დროს უჯერი მჟავების ორმაგი ბმების ადგილას წარმოქმნება ზეჟანგები [7], რომლებიც თავის მხრივ ჟანგავენ წარმოქმნილ ნიტრიტების ნაწილს და გადაჰყავთ ისინი ნიტრატებში. ამ ვარაუდით ნიტრატების ზრდის დონამიკა მწვანილეულში უნდა გაგრძელდეს უჯერი ნაერთების სრულ ამოწურვამდე. ის, რომ 24 საათის შემდეგ მწვანილეულის ნიმუშებში ნიტრატ-ნიტრიტის კონცენტრაცია მნიშვნელოვანად შემცირებულია და მათი ურთიერთგარდაქმნა მიმდინარეობდა ლიტერატურაში აღწერილი მექანიზმით, მეტყველებს იმაზე, რომ

ორგანული ნივთიერებების უანგვითი პროცესები მოცემულ ნიმუშებში დამთავრებული იყო გაცილებით ადრე.

ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, დაჭრილ მწვანილეულში და ზოგიერთ ბოსტნეულში (კომბინატორი, ჰელიუმი, კარტოფილი) ჰაერზე გარკვეული დროით დაყოვნებისას უანგბადის გავლენით მიმდინარეობს ნიტრატ-ნიტრიტების შემცველობის ზრდა. ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია მათი ოთახის ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში თავდაზურულ ჭურჭელში მოთავსებით.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. H.Kosaka, K.Imaizumi, K.Imai, I.Tyuma. Stoichiometry of the reaction of oxyhemoglobin with nitrite. *Biochim. Biophys. Acta*. 1979, p., 184-188.
2. M.Doyle, J.Herman, R.Dykstra. Autocatalytic oxidation of hemoglobin induced by nitrite: activation and chemical inhibition. *J. Free Radicals Biol. Med.* 1, 1985, p.,145-154.
3. L.Pickston, J.Smith, M.Todd. Nitrate and nitrite levels in fruit and vegetables in New Zealand, Food Technology in New Zealand,1980, p.,11-17.
4. С. Петровская. Пути снижения нитратов в овощах М. 1988, с., 42-46.
5. გ. ანდრიაძე, ე. მჩენაშვილი, ე. შენგელია, ლ. გვასალია. ნიტრატ-ნიტრიტის შემცველობის ცვლილება მწვანილეულის კულინარული დამუშავებისას, მეცნიერება და ტექნოლოგიები, 2014, №1 (715), გვ. 109-113.
6. ГОСТ 29270-95 Методы определения нитратов. Межгосударственный совет по стандартизации, метрологии и сертификации, Издание официальное, Минск, 1997.
7. Б.Тютюников, Химия жиров, Москва, 1966, 632с.

STUDYING THE FACTORS THAT INFLUENCE A MECHANISM OF NITRATE-NITRITE NITROGEN TRANSFORMATION IN VEGETABLES

Giorgi Andriadze, Evgenia Shengelia, Leri Gvasalia
Georgian Technical University

SUMMARY

By keeping chopped vegetables open for some time under the influence of oxygen, there grows the process of nitrate-nitrite nitrogen concentration. Considerable reduction of nitrate-nitrite nitrogen concentration in chopped greens and vegetables is achieved by keeping it for 40 minutes in hermetically sealed container.

ИЗУЧЕНИЕ ФАКТОРОВ, ВЛИЯЮЩИХ НА МЕХАНИЗМ ТРАНСФОРМАЦИИ НИТРИТ-НИТРАТНОГО АЗОТА В ОВОЩАХ

Г.Т.Андиадзе, Е.Г.Шенгелия, Л.И.Гвасалия
Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

При хранении на воздухе кулинарно обработанных овощей (измельченные, терты) в течении некоторого времени под воздействием кислорода воздуха наблюдается процесс роста концентрации нитрат-нитритного азота. Значительное уменьшение содержания нитрат-нитритного азота в измельченной зелени и овощах достигается при их хранении в течении сорока минут в герметически закрытой посуде.

PROCESSING OF THE TECHNOLOGY OF DRESSING OF COPPER- GOLD ORE

Ekaterine Ukleba, Nino Shekrladze, Nestan Gogia, Marlen Mchedlishvili*

Ivane Javakhishvili Tbilisi state university Caucasian Alexander Tvalchrelidze Institute of

Mineral Resources

*Georgian Technical University

Results of research of enrichment technology of the oxidized copper-gold ore are presented in the article. In the presented test was determined that the content in the ore of gold and copper is 1.0 – 1.2 g/t and 0.56-0.6 %. In this ore, from minerals of copper, only malachite is floated and the copper connected with a silicate phase remains in tails. Therefore enrichment of such ores by method of flotation is inexpedient. More than 97 % of initial copper are presented of minerals soluble in sulfuric acid. Proceeding from it, the hydrometallurgical method of enrichment with use of sulfuric acid was chosen. The factors influencing quality of extraction of copper: expenditure and concentration of solvent, time of leaching, coarseness of material, s : l relationship, temperature are presented in article.

Depending on the content of the oxidized minerals and forms of sulfides, copper ores are divided into the oxidation, the mixed and the primary chalcopyrite-bornite. Depending on the type of ore the methods of processing can be flotation, hydrometallurgy or their combination.

To the present days flotation remains the dominant method of dressing of copper ores and is irreplaceable for processing of complex sulfide ores. For oxidized and mixed ores, the hydrometallurgical, i.e. chemical method of dressing or its combination with flotation is successfully used. Technical ways which solve these processes are various: the underground, i.e. local leaching, dense and vat leaching. Chemical mechanisms of all these processes, of copper ores leaching, are identical.

Latest achievements in the technology of extraction - electrolysis and the low capital and operational expenditures make the methods of leaching gradually taking a leading place in copper manufacture.

The purpose of the presented work was the investigation of the technology of the primary processing of oxidized copper-gold ores using the method of chemical dressing.

For studying the technological properties of ore the test was carried out on the solubility in sulfuric acid.

Only 53% of copper has passed from ore to the solution of sodium cyanide. This indicates that insoluble copper is connected with aluminosilicate and silicate phase. The minerals of such types float with difficulty or not at all, that is why extraction of copper is 3-4% lower than extraction into cyanic drawing.

The ability of natural flotation of ore has been studied in order to state fitness of flotation method for its enrichment. The results of the experiment are presented in Table 1.

Only 24% of copper has the ability of natural flotation (Table 1). Visually only malachite floats and copper connected with silicate phase remains in tails, from where 76% are extracted. Copper contents in tails is 0,5 %, while initial ore contains 0,6-0,62 %.

In the concentrates 37% of gold is extracted, while 63% remains in tails. Therefore, the natural flotation of copper-gold ores is low and ore dressing by this method is not advisable.

Ore contains copper minerals in large quantities (98-99%) which are dissolved well in sulfuric acid. Therefore, for ore processing the method of hydrometallurgy was selected, in this case sulfuric acid is applied as a solvent.

The experiments were carried out on the samples of 1 kg mass in open and closed mixers.

The factors acting on the process of copper dissolution: expenditure and concentration of solvent, time of leaching, coarseness of material, s : l relationship, temperature were studied.

Concentration and expenditure of sulfuric acid depends on mineral composition of ore. For example, malachite, azurite, bornite and atacamite are readily soluble. Copper connected with silicates, phosphates, etc. lixiviate slowly and incompletely.

Table 1. The experimental results of natural flotation of ore

| Product designation | Yield, % | Content of the components | | Extraction of the components, % | |
|------------------------------------|----------|---------------------------|---------|---------------------------------|-------|
| | | Cu, % | Au, g/t | Cu | Au |
| I fraction | 2.0 | 2.2 | 18.5 | 7.10 | 26.43 |
| II fraction | 1.9 | 2.4 | 5.4 | 7.35 | 7.33 |
| III fraction | 1.3 | 3.8 | 2.8 | 7.97 | 4.59 |
| IV fraction | 0.8 | 2.0 | 3.2 | 2.58 | 1.82 |
| I-IV fractions | 6.0 | 2.58 | 9.37 | 25.0 | 40.17 |
| Tails | 94.0 | 0.47 | 0.89 | 75.0 | 59.83 |
| On the balance | 100.0 | 0.62 | 1.4 | 100.0 | 100.0 |
| According to the chemical analysis | | 0.6 | 1.2 | | |

The dependence of sulfuric acid concentrations on copper extractions in the solution is given in Fig. 1. Optimum concentration of sulfuric acid for the maximum extraction of copper from ore must be taken as 10%. During one hour more than 80% of copper is lixiviated, the concentration of solution is 2.5 g/l of copper. In the process of circulation of this solution the concentration of the dissolved copper increases and this, in its part, simplifies the extraction – electrolysis or extraction-electrolysis - of copper from the solution.




Fig. 1. The dependence of copper extraction in the solution on sulfuric acid concentrations:
1) $t = 25-28^{\circ}\text{C}$, 2) $t = 35-38^{\circ}\text{C}$

The duration of lixiviation process depends on the variety of copper minerals and concentrations of acid. The higher the concentration of acid, the sooner it is spent. In this case not only copper, but also the minerals of other elements are dissolved, all this increases the expenditure of acid.

Proceeding from the above mentioned, for the establishment of time of leaching the experiments with use of 5, 10 and 15% sulfuric acid were carried out. The results are given in Fig. 2.

As it is seen from Fig. 2, the speed of leaching with use of 10% and 15% solvent are close and during 4 hours 90 % of copper passes from ore into solution.

As to the action of coarseness on the process of leaching, because of limited choice of samples, the experiments were carried out on $-3 + 0$ mm and $-1 + 0$ mm dimension of material. The reaction rate and the quality of copper extraction is almost 10% more in the case of coarseness of $-1 + 0$ mm than of coarseness of $-3 + 0$ mm (Fig.3).




Fig. 2. The dependence of copper extraction on the period of leaching:
 1) Sulfuric acid concentrations – 5%; 2) Sulfuric acid concentrations – 10%;
 3) Sulfuric acid concentrations – 15%




Fig. 3. The dependence of different coarseness ore lixiviation on solvent concentrations:
 1) Material coarseness -3 + 0 mm, 2) Material coarseness -1 + 0 mm

Temperature is an important parameter for the process of leaching (Fig.1.). If we compare the experimental results carried out, using 10% of sulfuric acid and 1 hour leaching, on different temperatures ($25 - 28^{\circ}\text{C}$ and $35 - 38^{\circ}\text{C}$), we will see that copper extraction into solution exceeds 98%, which actually equals even theoretical results, i.e., results obtained by chemical-phase analysis.

This indicates that at usual temperature the same value can be achieved after increasing the time of leaching.

Furthermore, the results of experiments conducted in the open and closed mixers were compared. In open mixer 83.3% of copper has passed to solution of 5% sulfuric acid, during one hour, on $28-30^{\circ}\text{C}$ temperature, while in closed mixer, in the same conditions, only -80%. The same occurs with high concentration solutions. For example, the solution of 10% sulfuric acid, for the hour, in open mixer dissolves 85%, and in the closed - 83% copper.

Thus, as the results have proved the primary processing of copper-gold ores using hydrometallurgical method allows to extract more than 90% copper from copper-gold ores.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. S. I. Mitrofanov. Combined methods of processing the oxidized and mixed copper ores. Publishing house "NEDRA", Moscow, 1970. . P. 494
2. S.I. Polkin, E.B.Adams. Enrichment of colored and rare metal ores. Publishing house "NEDRA", Moscow, 1975. . P. 464
3. S.I.Polkin, E.B.Adams. Enrichment of nonferrous metal ores. Publishing house "NEDRA", Moscow, 1983. P. 400
4. S.I.Polkin,. Enrichment ores and scatterings of rare and noble metals . Publishing house "NEDRA", Moscow, 1987. P. 432

სპილენძ-ოქროს შემცველი მაღნების გამდიდრების ფექტოლოგიის დამუშავება

ეკატერინე უკლება, ნინო შეყრილაძე, ნესტან გეგია, მარლენ მჭედლიშვილი*

თხუ აღ. თვალშრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია სპილენძ-ოქროს შემცველი ოქსიდური მაღნების გამდიდრების ტექნოლოგიის კვლევის შედეგები. წარმოდგენილ სინჯში სპილენბის შემცველობა 0.6 %-ია, ხოლო ოქროსი 1.2 გ/ტ. აღნიშნულ მაღანში სპილენბის მინერალებიდან ფლოტირებს მხოლოდ მალაქიტი, ხოლო სილიკატურ ფაზასათან დაგავშირებული სპილენი კუდში რჩება. ამიტომ ასეთი მაღნების გამდიდრება ფლოტაციური მეთოდი მიზანშეწონილი არ არის. საწყისი სპილენბის 97 %-ზე მეტი წარმოდგენილია გოგირდმჟავაში ზენადი ფორმით. აქედან გამომდინარე შერჩეულია გამდიდრების ჰიდრომეტალურგიული მეთოდი გოგირდმჟავას გამოყენებით. სტატიაში წარმოდგენილია მასალის დაფენის სიმსხოს, გოგირდმჟავას კონცენტრაციის, მყარის და თხევადის თანაფარდობის, ხსნარის ტემპერატურის, დროის ზეგავლენა სპილენბის გამოტუტვის ხარისხზე.

РАЗРАБОТКА ТЕХНОЛОГИИ ОБОГАЩЕНИЯ МЕДНО-ЗОЛОТОСОДЕРЖАЩИХ РУД

Э.Н.Уклеба, Н.Ш.Шекриладзе, Н.А.Гегия, М. Мchedlishvili*

ТГУ Кавказский институт минерального сырья имени А. Твалчелидзе

*Государственный технический университет

РЕЗЮМЕ

В статье представлены результаты исследования технологии обогащения окисленных медно-золотосодержащих руд. В представленной пробе содержание меди 0,6 %, а золота 1,2 г/т. В данной руде из минералов меди флотируется только малахит, а медь, связанная с силикатной фазой остается в хвостах. Поэтому обогащение таких руд методом флотации нецелесообразно. Более 97 % - ов исходной меди представлено, минералами, растворимыми в серной кислоте. Исходя из этого, был выбран гидрометаллургический метод обогащения с использованием серной кислоты. В статье представлены факторы влияющие на качество извлечения меди: крупность измельчения материала, концентрация серной кислоты, соотношение т : ж, температура раствора и время выщелачивания.

ძიმიური ტექნიკური

ცემანტის კლინდერის სილიკატზრი მოდულის რეგულირების
შესაძლებლობების კვლევა აღმოჩენის მქანე ვულკანური ქანების
გამოყოფილი

ელენე შავაქიძე, იოსებ გეჯაძე, მარინე ნადირაშვილი, ვერა მაისურაძე, გურამ
ნადარეიშვილი, მურად ტყემალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კვკასიის ალექსანდრე თვალჭრულიძის მინისტრური ნედლეულის ინსტიტუტი

ლაბორატორიულ პირობებში გამოკლეულია ბოლნისი-დაბანის აღილდებარების მუკე გულკანური ქანების გამოყენებით ცემენტის კლინკერის ნედლეულის კაზმის ნაწილობრივი ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც სილიკატური მოდულის აწევის საშუალებას იძლევა 1.7-დან 2.3-მდე ესპერიმენტულად დაგენილია, რომ სილიკატური მოდულის მომატება არ იწვევს კლინკერის შეცხობის ტემპერატურის გაზრდას, რაც სავარაუდოდ განაირობებულია მუკე ვულკანური ქანების მაღალი რეაქციისუნარიანობით: ვულკანური მინეს და მზა სილიკატების შემცველობით. მიღებული ცემენტები გამოიჩინან მაღალი მუკანიკური სიმტკიცით გამყარების 3 თვის შემდეგ, მაღალი ხანმედევობით და კოროზიული მუდავიბით.

სამშენებლო ინდუსტრია წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ და წამყვან დარგს, რომელშიც პორტლანდცემენტის წარმოებას უდიდესი წილი უდევს. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, პორტლანდცემენტის ხარისხშე და თვითღირებულებაზე ბევრად არის დამოიდებული ამ დარგის ეფექტურობა. სწორედ ხარისხი და თვითღირებულება განსაზღვრავს ცემენტის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზარზე.

პორტლანდცემენტის ხარისხი მირითადად ხასიათდება მისი მარკანობით და ხანმედევობით, ასევე რიგი თვისებებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია მედეგობა აგრესიული გარემოს (გრუნტისა და ზღვის წყლების) მიმართ.

პორტლანდცემენტის ეს თვისებები განისაზღვრება მისი მთავარი შემადგენელი ნაწილის - კლინკერის ქიმიური და მინერალოგიური შემადგენლობებით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ის ნედლეული, რომლისგანაც ეს კლინკერი იწარმოება.

ცემენტის კლინკერის მისაღებად გამოიყენება კარბონატული (კირქვები) და თინური კომპონენტები, რომელსაც მაღლობელი კომპონენტის სახით რკინის ოქსიდის შემცველი მასალები (მირითადად მეტალურგიული წარმოების ნარჩენები) ემატება.

როგორც ცნობილია, კლინკერი ხასიათდება გაჯერების კოეფიციენტის (KH), სილიკატური (n) და თიხამიწივანი (p) მოდულების მიხედვით, რაც მის ქიმიურ და მინერალოგიურ შემადგენლობებს განსაზღვრავს [1].

აღილობრიბი ცემენტების გაჯერების კოეფიციენტი საშუალოდ 0.90 - 0.91-ის, თიხამიწივანი მოდული - 1.2 - 1.4-ის, ხოლო სილიკატური - 1.7 - 1.9 -ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა სასურველია, რომ ეს უკანასკნელი 2-ზე მეტი მნიშვნელობისა იყოს, ვინაიდან მაღალი სილიკატური მოდული განაპირობებს ცემენტის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორიცაა მისი მუკანიკური სიმტკიცე გვიანდელ ასაკში (3 - 6 თვე), ანუ ხანმედევობას და მედეგობას აგრესიული გარემოს მიმართ, ანუ კოროზიამედევობას.

ეს შეუძლებელია აღილობრივი თიხების გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან თვით ეს თიხები დაბალი სილიკატური მოდულით ხასიათდებიან, ხოლო მათ საფუძველზე მიღებულ კლინკერებში სილიკატური მოდული n = 1.7 - 1.9-ზე მეტ მნიშვნელობას ვერ აღწევს.

სილიკატური მოდულის გაზრდის მიზნით ცემენტის ქარხნებში, რიგ შემთხვევებში, ნედლეულის კაზმში შეყვათ კვარცის ქვიშა, თუმცა ასეთი კაზმი ძნელადლობადია, რაც კლინკერის გამოწვაზე ენერგეტიკულ დანახარჯებს საგრძნობლად ზრდის, ეს გზა კი არარენტაბელურია, ვინაიდან ცემენტის თვითღირებულებაზე უარყოფითად მოქმედებს.

ცემენტის კლინკერის სილიკატური მოდულის გაზრდა შესაძლებელია ნედლეულის კაზმში ახალი ბუნებრივი არადეფიციტური კომპონენტის შეყვანით, როგორიცაა საქართველოში ფართოდ გავრცელებული მჟავე ვულკანური ქანები, კერძოდ, რიოლიტები, იგნიმბრიტები კვარცალულარიანი მეტსომატიტები, ტრაქირიოლიტები და ა.შ. მჟავე ვულკანური ქანების სილიკატური მოდული $n = 3.0 - 4.0$ ფარგლებშია, ამიტომ ნედლეულის კაზმში მათი ჩართვით შეიძლება კლინკერის სილიკატური მოდულის რეგულირება სასურველ ფარგლებში. გარდა ამისა მზა ალუმოსილიკატების არსებობა კაზმის გამოწვისას საწვავის ხარჯის ეკონომიის საწინდარი გახდება.

წინა წლებში ჩვენს მიერ ჩატარდა ლაბორატორიული კვლევები [2 - 5], სადაც დავით-გარეჯის ბარიტ-პოლიმეტრალური საბაზოს გადამხურავი ქანები - კვარც-ალულარიანი მეტსომატიტები (კამ) გამოყენებული იქნა ცემენტის ნედლეულის კაზმის შემადგენელ კომპონენტად თიხური კომპონენტის ნაწილობრივ ჩანაცვლებით. შედეგად შესაძლებელი გახდა კლინკერის გამოწვის ტემპერატურის დაწევა $50 - 70^{\circ}\text{C}$ -ით და ცემენტის, როგორც ადრეულ (3 დღ.-ღ.), ასევე სამარკო (28 დღ.-ღ.) სიმტკიცის მომატება ტრადიციულ ნედლეულზე დამზადებულ კლინკერებთან შედარებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი დაეკისრა კამ-ის შემადგენლობაში BaSO_4 -ის არსებობას, რომელიც მინერალიზატორის, მამოდიფიცირებელი და მალეგირებელი დანამატის როლს ასრულებს, თუმცა სხვა ტიპის მჟავე ვულკანური ქანებიც შეიძლება გარკვეული ეფექტის მატარებლებიც გახდენ.

ქანების საძიებლად შერჩეული იქნა ტერიტორია, რომელიც ძირითადად მოიცავს ბოლნისის მაღლიან რაიონს, რომლის გეოლოგიურ აგებულებაში, ერთ-ერთ ძირითად როლს ვულკანოგენურ-დანალექი სერია ასრულებს. ყურადღებას იპყრობს ე.წ. „მაშავერას წყება“. ესაა მძლავრი, რიცლითური და დაციტური შედგენილობის ვულკანოკლასტური ქანების: იგნიმბრიტების, პემზის და ფერფლის ტუფების მრავალჯერადი მორიგეობით აგებული წყება.

დაციტური შედგენილობის პიროკლასტური ქანები ასევე ფართოდაა გავრცელებული

რეგიონის კილურ დასავლეთ ნაწილში - საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ზოლის სიახლოვეში სოფ. გუგუთის მიდამოებში.

რაც შეეხება ვულკანურ ფერფლს, რეგიონში ამ ტიპის წარმონაქმნების ორი გამოვლინებაა ცნობილი: პირველი - მდ. ალეგეთის ხეობის მარჯვენა ფერდზე, სოფ. გოლთეთი-მაწევანის ზოლში, ხოლო მეორე გამოვლინება მდებარეობს დმანისის რაიონის სოფ. ქარიანის მიდამოებში.

დასახული მიზნისთვის, ჩვენს მიერ შერჩეული იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (ბოლნისის და დმანისის რაიონებში) ფართოდ გავრცელებული რიოლიტური, რიოდაციტური და დაციტური შედგენილობის პიროკლასტური ქანები - იგნიმბრიტები, პემზის და ფერფლის ტუფები და ვულკანური ფერფლის გამოსავლები, რომლებიც ხასიათდებიან SiO_2 -ის მაღალი შემცველობით, შეიცავენ გარკვეული რაოდენობით ვულკანურ მინას, რომელიც, თავის შერივი, მაღალი რეაქციისუნარიანობით ხასიათდება, შეიცავნ მზა ალუმოსილიკატებს, განსხვავებით კვარცის ქვიშისგან, და სავარაუდოდ, არ გამოიწვევნ კლინკერის შეცხობის ტემპერატურის აწევას.

ცხრილში 1 მოყვანილია ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი ქანების ქიმიური შემადგენლობები.

ცხრილი 1. ბოლნისი-დმანისის რაიონის ზოგიერთი მჟავე ვულკანური ქანების ქიმიური შემადგენლობები

| ქანის დასახელება | ოქსიდების შემცველობა, % | | | | | | | | |
|---------------------------|-------------------------|------|----------------|-------------------------|-------------------------|---------------|--------------|--------------|----------------------|
| | ტენიანობა | ხ.დ. | SiO_2 | Al_2O_3 | Fe_2O_3 | SO_3 | CaO | MgO | R_2O |
| იგნიმბრიტი (კაზრეთი) | 0.62 | 1.40 | 73.30 | 12.60 | 2.60 | 0 | 0.86 | 1.70 | 6.00 |
| იგნიმბრიტი (მუშევანი) | 1.30 | 3.30 | 70.60 | 12.30 | 1.52 | 0.47 | 2.20 | 0.40 | 7.5 |
| იგნიმბრიტი (დავით-გარეჯი) | 2.40 | 3.70 | 70.70 | 11.90 | 1.30 | 0 | 2.20 | 1.10 | 6.1 |
| ტუფი ფერფლის (ქარიანი) | 1.76 | 3.37 | 69.50 | 14.60 | 1.62 | 0.17 | 1.20 | 0.94 | 5.90 |
| ტუფი შემცველი (არაქელი) | 0.35 | 2.20 | 75.90 | 11.9 | 2.80 | 0.20 | 0.28 | 0 | 5.70 |
| ტუფი ფერფლის (ქარიანი) | 0.80 | 2.10 | 75.10 | 11.90 | 2.74 | 0.70 | 0.34 | 0 | 5.70 |

ცემენტის ნედლეულის კაზმების შესადგენად გამოყენებული იქნა დედოფლიწყაროს კირქვა, გარდაბნის თიხა და რკინის ნამწვი. შესაძარებლად შედგენილ იქნა საკონტროლო კაზმი - №1, რომელიც შეოლოდ ტრადიციული ნედლეულის საფუძველზე იქნა დამზადებული.

ცხრილში 2 მოყვანილია ნედლეული კომპონენტების ქიმიური შემადგენლობები.

ცხრილი 2. ნედლეული კომპონენტების ქიმიური შემადგენლობები

| კომპონენტის დასახელება | ოქსიდების შემცველობა, % | | | | | | | |
|---------------------------|-------------------------|------------------|--------------------------------|--------------------------------|------|------|-----------------|------------------|
| | ნ.ღ. | SiO ₂ | Al ₂ O ₃ | Fe ₂ O ₃ | CaO | MgO | SO ₃ | R ₂ O |
| დედოფლიწყაროს კირქვა | 43.2 | 0.32 | 0.03 | 0.34 | 55.4 | 0.23 | 0.37 | 0.08 |
| გარდაბნის თიხა | 10.5 | 52.31 | 17.14 | 6.55 | 6.6 | 3.0 | 1.65 | 1.72 |
| რკინის ნამწვი | 0 | 14.81 | 5.45 | 74.49 | 2.27 | 1.53 | 0.56 | 0.00 |

გაანგარიშების შემდეგ ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა ნედლეულის კაზმები, რომელთა ნივთიერი შემადგენლობა წარმოდგენილია ცხრილში 3, ხოლო ნედლეულის კაზმების და კლინკერების თეორიული ქიმიური შემადგენლობები - ცხრილში 4.

ცხრილი 3. ნედლეულის კაზმების ნივთიერი შემადგენლობები

| კაზმის № | ნედლეული კომპონენტის შემცველობა, მას. % | | | |
|-------------|-----------------------------------------|-------|---------------|------------------------------------|
| | კირქვა | თიხა | რკინის ნამწვი | ვულკანური ქანი |
| 1 | 73.35 | 24.51 | 2.14 | - |
| 2 | 75.98 | 11.90 | 1.94 | 10.18 იგნიმბრიტი (კაზრეთი) |
| 3 | 75.65 | 11.58 | 2.10 | 10.68 იგნიმბრიტი (მუშევანი) |
| 4 | 75.66 | 12.12 | 2.09 | 10.13 იგნიმბრიტი (დავით-გარეჯი) |
| 5 | 76.47 | 7.04 | 2.41 | 14.01 ტუფი ფერფლის (ქარიანი) |
| 6 | 75.91 | 13.22 | 1.85 | 9.02 ტუფი შემცხვრი (არაქელი) |
| 7 | 75.87 | 13.09 | 1.86 | 9.17 ტუფი ფერფლის (კაზრეთი) |


ნედლეულის კაზმები დაიფენა სველი მეთოდით ლაბორატორიულ ბურთულებას წისქვილში. მიღებული შლამები გამოშრა საშრობ კარადაში 100 - 120 °C ტემპერატურაზე. გამოშრალი მასიდან დაიწნეს IXIX4 სმ ზომის პრიზმები, რომლებიც გამოიწვა მაღალტემპერატურულ კარბონატის გამანურებლებიან ღუმელში. გამოწვის საერთო ხანგრძლივობამ შეადგინა 4.5 სთ., 1250 - 1400°C-ზე დაყოვნებით 1 სთ.

გამოწვის პროცესის ხარისხის დასადგენად კლინკერებში განისაზღვრა თავისუფალი CaO-ს შემცველობა.

ნახ.1-ზე წარმოდგენილია კლინკერებში თავისუფალი CaO-ს შემცველობის დამოკიდებულება გამოწვის ტემპერატურაზე.

ცხრილი 4. ნედლეულის კაზმების / კლინკერების თეორიული ქიმიური შემადგენლობები

| Nº | b.დ. | SiO ₂ | Al ₂ O ₃ | Fe ₂ O ₃ | CaO | MgO | SO ₃ | R ₂ O | KH | n | p |
|----|-------|------------------|--------------------------------|--------------------------------|-------|------|-----------------|------------------|-----|-----|------|
| 1 | 34.28 | 13.45 | 4.36 | 3.47 | 42.32 | 0.94 | 0.69 | 0.48 | 0.9 | 1.7 | 1.26 |
| | — | 20.46 | 6.64 | 5.28 | 64.40 | 1.43 | 1.05 | 0.73 | | | |
| 2 | 34.24 | 14.37 | 3.48 | 2.77 | 42.94 | 0.65 | 0.67 | 0.89 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.84 | 5.29 | 4.21 | 65.30 | 0.99 | 1.01 | 1.35 | | | |
| 3 | 34.27 | 14.31 | 3.47 | 2.76 | 42.79 | 0.79 | 0.53 | 1.08 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.78 | 5.28 | 4.20 | 65.10 | 1.21 | 0.80 | 1.64 | | | |
| 4 | 34.36 | 14.31 | 3.47 | 2.76 | 42.78 | 0.80 | 0.61 | 0.91 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.80 | 5.28 | 4.21 | 65.18 | 1.22 | 0.93 | 1.38 | | | |
| 5 | 34.28 | 14.36 | 3.48 | 2.77 | 42.93 | 0.60 | 0.55 | 1.04 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.85 | 5.30 | 4.21 | 65.31 | 0.91 | 0.84 | 1.58 | | | |
| 6 | 34.40 | 14.39 | 3.49 | 2.77 | 43.00 | 0.63 | 0.51 | 0.81 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.93 | 5.32 | 4.23 | 65.56 | 0.96 | 0.78 | 1.23 | | | |
| 7 | 34.36 | 14.39 | 3.49 | 2.78 | 43.02 | 0.63 | 0.51 | 0.82 | 0.9 | 2.3 | 1.26 |
| | — | 21.93 | 5.31 | 4.23 | 65.55 | 0.96 | 0.77 | 1.25 | | | |



ნახ.1 კლინკერებში თავისუფალი CaO-ს შემცველობის დამოკიდებულება გამოწვის ტემპერატურაზე.

ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ყველა კლინკერის შეცხობის პროცესი სრულდება 1400°C -ზე, მიუხდავად იმისა, რომ კლინკერები №№2-7 უფრო მაღალი სილიკატური მოდულით გამოირჩევინ, ვიდრე კლინკერი № 1.

საკონტროლო კლინკერის თეორიული მინერალოგიური შემადგენლობაა:

$$\text{C}_3\text{S} = 55\%; \text{C}_2\text{S} = 18\%; \text{C}_3\text{A} = 9\%; \text{C}_4\text{AF} = 16\%.$$

ხოლო ვულკანური ქანების დანამატით მიღებული კლინკერების მინერალოგიური შემადგენლობებია:

$$\text{C}_3\text{S} = 58\%; \text{C}_2\text{S} = 19\%; \text{C}_3\text{A} = 7\%; \text{C}_4\text{AF} = 12\%.$$

როგორც ნათლად ჩანს, საკვლევი ქანების დამატებამ ნედლეულის კაზმში და თიხის ნაწილობრივად შეცვლამ გამოიწვია სილიკატური მინერალების: C_3S -ის და C_2S -ის მომატება, რაც სილიკატური მოდულის გაზრდის შედეგია, რასაც ალუმინატური და ალუმინფერიტული (მალლობელი) მინერალების შემცირება მოყვა. ოღონდაც ამას არ გამოიწვევია კლინკერის გამოწვის ტემპერატურის მომატება, რაც სავარაუდო, ვულკანური ქანების მაღალი რეაქციისუნარიანობით აიხსნება.

გადრა ზემოთხსენებულისა, ცნობილია, რომ ცემენტის კოროზიული მედეგობა დამოკიდებულია კლინკერში ალუმინატური მინერალების შემცველობაზე. რაც მეტია C_3A -ს შემცველობა, მით ნაკლებად

უძლებს ცემენტი და მისგან დამზადებული ბეტონი აგრესიულ გარემოს. საცდელ კლინკერებში C₃A-ს შემცველობა ნაკლებია, ვიდრე საკონტროლოში, რაც განაპირობებს პირველის მედეგობას აგრესიული გარემოს მიმართ.

სილიკატური მინერალების ფარდობითი წილის გაზრდამ კლინკერებში უნდა უზრუნველყოს ამ კლინკერების საფუძველზე მიღებული ცემენტების მაღალი მექანიკური სიმტკიცე საკონტროლო კლინკერთან შედარებით გამყარების შედარებით გვიანდელ ასაკში (3 თვის შემდეგ) და რაც შემდგომი ექსპერიმენტების შედეგად დადასტურდა.

ცემენტების მექანიკური სიმტკიცის განსაზღვრის მიზნით სინთეზირებული კლინკერები დაიფქვა ლაბორატორიულ ბურთულებიან წისქვილში 5 მას.% ორწყლიანი თაბაშირის დამატებით. მიღებული ცემენტებისგან დამზადდა ნორმალური კრისისტენციის ცომები და დაყალიბდა 2 X 2 X 2 სმ ზომის კუბები. 24 სთ. განმავლობაში კუბები მყარდებოდა ჰიდრავლიკურსაკეტიან კამერაში, ხოლო შემდეგ - წყალში 18 - 20 °C ტემპერატურის პირობებში გამოცდის მომენტამდე. ცემენტების კუმშვაზე სიმტკიცის ზღვარი გამოიცადა 10 ტ სიმძლავრის ჰიდრავლიკურ წნევზე. გამოცდების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 5.

ცხრილი 5. ცემენტების ფიზიკურ-მექანიკური გამოცდების შედეგები

| № | ნორმალური სისქის ცომი, % | შეკვრის ვადები, სთ. - წთ. | | სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, მგპა | | |
|---|-----------------------------|---------------------------|----------|---------------------------------|-----------|-------|
| | | დასაწყისი | დასარული | 3 დღ.-ღ. | 28 დღ.-ღ. | 3 თვე |
| 1 | 27.5 | 1 - 50 | 3 - 30 | 45 | 75 | 120 |
| 2 | 27.0 | 2 - 10 | 3 - 40 | 40 | 72 | 145 |
| 3 | 26.5 | 2 - 20 | 3 - 50 | 35 | 70 | 150 |
| 4 | 27.5 | 2 - 10 | 3 - 45 | 38 | 73 | 140 |
| 5 | 27.5 | 2 - 25 | 3 - 25 | 42 | 70 | 135 |
| 6 | 26.5 | 2 - 20 | 3 - 25 | 35 | 77 | 160 |
| 7 | 27.0 | 2 - 30 | 3 - 55 | 42 | 71 | 155 |

ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი ბოლნისი-დამანისის ადგილმდებარეობის მუვე ვულკანური ქანების გამოყენების შესაძლებლობაზე კლინკერის ნედლეული კომპონენტის სახით თიხის ნაწილობრივი ჩანაცვლების გზით, რაც იწვევს კლინკერის სილიკატური მოდულის აწევას. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება ცემენტის მექანიკური სიმტკიცის გაზრდა გამყარების გვიანდელ ასაკში (3 თვე), ამავე დროს სილიკატური მინერალების გაზრდა კლინკერში არ იწვევს მისი შეცხობის ტემპერატურის ზრდას, და შესაბამისად სათბობის ხარჯის მომატებას. ეს განპირობებულია მუვე ვულკანური ქანების მაღალი რეაქციისუნარიანობით: ვულკანური მინისა და მზა სილიკატების არსებობით.

გარდა ამისა, საცდელი კლინკერებისგან დამზადებული ცემენტები და ბეტონები აგრესიული გარემოს (გრუნტისა და ზღვის წყლების) მიმართ უფრო მედეგნი იქნებინ, ვიდრე ტრადიციულ ნედლეულზე დამზადებული ცემენტები და ბეტონები, C₃A-ის შედარებით დაბალი შემცველობის გამო.

ამრიგად მუვე ვულკანური ქანების შეყვანით კლინკერის ნედლეულის კაზში შესაძლებელია ამ უკანასკნელის სილიკატური მოდულის რეგულირება, რაც გაზრდის ცემენტების და ბეტონების ხანმედეგობას და კოროზოამედეგობას და უარყოფითად არ მოქმედებს მათ თვითღირებულებაზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Дуда В. Цемент. Стройиздат. Москва, 1981, 232 стр.
2. Шапакидзе Е.В., Надарейшвили Г.Ш., Майсурладзе В.Н., Надирашвили М.Р., Ткемаладзе М.В. Перспективы использования вскрышных пород баритовой руды Давид Гареджского месторождения в производстве цемента. kmni-s saiubileo SromaTa krebuli, Tbilisi, 2009, gv. 412–415.

3. E.Shapakidze, V.Maisuradze, M.Nadirashvili, O.Melkadze, S.Kavtaradze, M.Tkemaladze. Investigation Of The Possibility Of Barium Containing Clinker Production Using Volcanic Rocks. 1ST International Conference for Students and Young Scientists on Materials Processing Science, Tbilisi, 2010. WWW/ECERS-1ICSY.GE
4. ე. შაფაქიძე, გ.ნადარეიშვილი, რ. კვატაშიძე, ვ. მაისურაძე, მ. ნადირაშვილი, ი.გეჯაძე, მ. ტყემალაძე. ადგილობრივი ვულკანური ქანების კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები მინის და სამშენებლო მასალების წარმოებაში. „სამთო ჟურნალი“, თბილისი, 2012, №1(28), გვ. 88-92.
5. მ. ტყემალაძე, ე. შაფაქიძე. დავით-გარეჯის ბარიტ-პოლიმეტალური საბაზოს გადამხურავი ქანები - არატრადიციული ნედლეული მინის და ცემენტის ადგილობრივი წარმოებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქმის სერია, თბილისი, 2014, გ.39, №3-4, გვ.243-247.

RESEARCH OF POSSIBILITY OF REGULATION OF SILICA MODUL OF THE CEMENT CLINKER WITH USE OF LOCAL SOUR VOLCANIC ROCKS

Elene Shapakidze, Ioseb Gejadze, Marine Nadirashvili, Vera Maisuradze, Guram Nadareishvili,
Murad Tkemaladze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Caucasian Alexander Tvalchrelidze Institute of Mineral Resources*

SUMMARY

The possibility of X-ray structural analysis for determination of chemical composition of metallurgical Si and silicon pulled from its melt has been established. In laboratory conditions possibility of partial replacement of clay in a cement raw mixes is investigated by sour volcanic rocks of the Bolnisi-Dmanisy deposit that gives the chance to increase silica modul of a clinker from 1.7 to 2.3. It is experimentally positioned, that the increase in silica modul does not cause a rise of temperature of sintering of a clinker, that, possibly, is defined by high reactivity of sour volcanic rocks: the maintenance of volcanic glass and ready aluminosilicates. The received cements are characterised by high mechanical strength through 3 monthly concreting, high working life and corrosion stability.

ИССЛЕДОВАНИЕ ВОЗМОЖНОСТИ РЕГУЛИРОВАНИЯ СИЛИКАТНОГО МОДУЛЯ ЦЕМЕНТНОГО КЛИНКЕРА С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ МЕСТНЫХ КИСЛЫХ ВУЛКАНИЧЕСКИХ ПОРОД

Е.В.Шапакидзе, И.В Геджадзе, М.Р.Надиашвили, В.Н.Майсурадзе, Г.Ш.Надарейшили,
М.В.Ткемаладзе

*Тбилисский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили
Кавказский Институт Минерального Сырья им. Александра Твалчрелидзе*

РЕЗЮМЕ

В лабораторных условиях исследована возможность частичной замены глины в цементной сырьевой смеси кислыми вулканическими породами Болниси-Дманинского месторождения, что дает возможность увеличить силикатный модуль клинкера от 1.7 до 2.3. Экспериментами установлено, что увеличение силикатного модуля не вызывает повышение температуры спекания клинкера, что, вероятно, определяется высокой реакционной способностью кислых вулканических пород: содержанием вулканического стекла и готовых алюмосиликатов. Полученные цементы характеризуются высокой механической прочностью через 3 месячного твердения, высокой долговечностью и коррозионной стойкостью.

ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ

ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ПАРАМЕТРОВ БЕНТОНИТОВЫХ ГЛИН

К.К.Хачатурян, Н.А.Гегия, Г.Ш.Энукидзе, Е.Н.Уклеба

ЮЛПП ТГУ Кавказский институт минерального сырья им. А. Твалчелидзе

